# საქართველოს რესპუბლიკა

www.sakresp.ge







იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვითი სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბეჭდის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.


სამშაბათი, 20 სექტემბერი. 2016 წ. №175 (8067), გამოცემის 98-ე წელი | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 50 თეთრი.


# აღარ შევცდეთ! აღარ მოვტყუვდეთ!

## მელიას თავისი მახრჩობელა უყვარდაო!

**ნაციონალებს საქართველოც და ქართველი ხალხიც სულ ფეხებზე ჰკიდიათ. ისინი მხოლოდ და მხოლოდ თავიანთი გახელისუფლებისთვის ძვრებიან გველის ხვრელში!**

**შენ**, შენ მოგმართავ, საქართველოს ყველა კუთხის ამომრჩეველო, ხომ არ დაგავიწყდა ის უსამართლობისა და ძალმომრეობის თითქმის ათი წელიწადი, რაც 2004 წლიდან 2012 წლამდე ვაებითა და კვნესით გამოვიარეთ, როცა ადამიანის ღირსებამ ჩალის ფასიც დაკარგა, როცა აშკარად ნეოფაშისტურ ხელისუფლებას უადამიანობის სისხლიანი ჯაჭვით ყელში წაჭერილნი ვყავდით, როცა კერძო საკუთრება აღარ კერძოსაკუთრობდა, როცა საკუთარ ჭერს თავზე გვანგრევდნენ და ქუჩის ბინადართ გვხდიდნენ, როცა მოგონილი მიზეზით ეგრევე ციხის კედლებში შეიძლება რომ აღმოვჩენილიყავით, სადაც გვაუპატიურებდნენ, ნამუსს გვხდიდნენ და გვხრწნიდნენ, როცა სამართლის პოვნა ისევე შეუძლებელი იყო, როგორც ვულკანივით ამოხეთქილი უკანონობისთვის წინააღმდეგობის გაწევა!..



ნუთუ მართლა საბედისწეროდ დაგვავიწყდა ეს საშინელებანი, აღარ გვახსოვს და ისევ ყურს ვუგდებთ ამ ნაჯალათარი ნაციონალების უსირცხვილოდ ტკბილ-ტკბილ სიტყვებში შეფუთულ ტყუილებს?!

საუბედუროდ, არა მარტო ყურს ვუგდებთ, ძალიან ხშირად საქართველოს ზოგიერთ მხარეში, მეტადრე აჭარასა და სამეგრელოში, სჯერათ კიდეც, რასაც ძებნილი სააკაშვილის საშიში ნარჩენები უსარსალებენ.

ნამდვილად დიდად სამარცხვინოა, რომ აქაიქ ყვავილების თაიგულებითაც კი ხვდებიან ცოლის კაბაში გადაცმულ ძებნილ პრეზიდენტყოფილს, რომელიც ამ მწარედ მოტყუებული ადამიანების იმედით არა მარტო ყვარლის დაყადაღებული ვენახის, არამედ თვითონ არჩევნების სათავისოდ მორთვლიანებით იმუქრება.

აი, სწორედ ამაზე უთქვამს ძველ, ისტორიისგან ჭკუანასწავლ ქართველს: მელიას თავისი მახრჩობელა უყვარდაო!

ამ მელიამ თავის მსუნაგ მელიებთან ერთად ერთხელ უკვე დაგვახჩრო.

ნუთუ კიდევ უნდა დავეხრჩობინოთ?!

**შენ, შენ მოგმართავ საქართველოს ყველა კუთხის ამომრჩეველო!**

**და ნურც იმას დავივიწყებთ, რომ კანს კი იცვლის, მაგრამ გველი გველად რჩება, ნაციონალების ამჟამინდელი მამალი ტყუილები სწორედაც გველის მიერ კანის გამოცვლაა მხოლოდ!**

**აღარ შევცდეთ! აღარ მოვტყუვდეთ!**

**ნუღარ წამოვეგებით ქვეყნის მავნებელი ნაციონალების შხამიან ნესტარს!**



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია დიდი მწუხარებით იუწყება გამოჩენილი ქართველი ხელოვანის, ბრწყინვალე მოქანდაკის, საპატიო აკადემიკოსის

## მერაბ ბერძენიშვილის

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებს გარდაცვლილის ოჯახს.

## ვემშვიდობებით დიდ მაესტროს



**ქართველ** ჟურნალისტთა თაობები შეძრა ბატონ **ნოდარ ტაბიძის** გარდაცვალებამ. მძიმე ავადმყოფობის შემდეგ წავიდა ამ ქვეყნიდან ერისა და მამულის წინაშე ვალმოხდილი, ქართული ჟურნალისტიკის პატრიარქი, მრავალი თაობის აღმზრდელი, მწერალი, პუბლიცისტი, ბიძის — დიდი გალაკტიონის ცხოვრების ჟამთააღმწერელი და „გალაკტიონოლოგიის“ სულისჩამდგმელი, დიდი ადამიანი და პედაგოგი. იგი, ჩვენთვის, ყველასთვის ახლობელი იყო, გულითადი, დიდთან დიდი და პატარასთან პატარა, იუმორით აღსავსე და ტკბილქართულად მოუბარი, დიდი დამრიგებელი, თავის აღზრდილთა წარმატებით ხარობდა და ამაყობდა.

ღმერთმა ნათელი დაუმკვიდროს მის სულს.

**გურამ გოგიაშვილი, ალეკო ასლანიშვილი, ოთარ ხუციშვილი, რუსლან რუსია, სპარტაკ ქობულია, მამუკა ვაშაკიძე, ოთარ ტურაბელიძე.**

**ბიძინა ივანიშვილი:**



## ჩემი გული, სული და ფული – ჩემს საქართველოს

②

**არმაზ სანებლიძე:**

## დემოკრატია ერთი სოფლის გადასახედიდან

③

**ერთობლივი პროექტი**

## „ჰარლი-დევიდსონი“: რკინის რაშის ჯადოსნური ამბავი

⑤


მაგთიკომი MAGTICOM
HARLEY AND THE DAVIDSONS
Discovery

# ბიძინა ივანიშვილი:
# ჩემი გული, სული და ფული – ჩემს საქართველოს

ყოფილი პრემიერ-მინისტრი ბიძინა ივანიშვილი ჟურნალისტის კითხვას – რა სტატუსით ხვდება პოლიტიკიდან წასული ბიძინა ივანიშვილი მედიას, ყოფილმა პრემიერმა უპასუხა:

**„პოლიტიკა არ იყო ჩემი მოწოდება და სურვილი, მაგრამ, რომ ვნახე, რომ ქვეყანას გაუჭირდა, გავიხსენებ პატრიარქის სიტყვებს – უფსკრულისკენ მივექანებოდით, მოვედი, – თავშივე განვაცხადე, რომ ამ სიტუაციას დავალაგებ და წავალ... თანამდებობისთვის არ მოვსულვარ. მოვედი, დავალაგე და წავედი. ზუსტად გავთვალე დრო. ასევე ვამბობ, ბიზნესი არ მაქვს საქართველოში. დღეს რა სტატუსით ვხვდები მედიას? მოქალაქე გახლავართ მე დღეს. ვისაც ხელეწიფება და სურვილი აქვს, ვინ დაუშლის ხელს? კიდევ ერთხელ გეტყვით, რომ ვარ მოქალაქის როლში და გათავისუფლებული ვარ ყველა პირადი ინტერესებისგან. ჩემი პირადი ინტერესი ემთხვევა ყველა მოქალაქის ინტერესებს. საჯარო ცხოვრება არ არის ჩემი მოწოდება. ეს არის ჩემი ვალდებულება და არა მოწოდება. როდესაც ჩრდილში ვიჯექი და ისე ვაკეთებდი, კინაღამ თავზე დაგვანგრიეს ქვეყანა. თუ სწორი მთავრობა არ აირჩიეთ, არავითარ ქველმოქმედებას და ბიზნესს არ ექნება აზრი“.**

## როდესაც ვიჯექი და საქმეს ვაკეთებდი, კინაღამ ქვეყანა თავზე დამანგრიეს და დამამხეს

საჯარო ცხოვრება არ არის ჩემი მოწოდება, არ მომწონს, – განაცხადა ბიძინა ივანიშვილმა რეგიონულ მედიასთან შეხვედრაზე. მისი თქმით, მას აქვს ვალდებულება, დაეხმაროს საზოგადოებას სწორი არჩევანის გაკეთებაში:

**„ეს არის ჩემი ყოფა. მე ძალიან მიყვარს ოჯახი, ბაღი, ადამიანები. საჯარო ცხოვრება არ არის ჩემი მოწოდება, არ მომწონს, უკაცრავად ვარ, მაგრამ ასეც რომ დავდივარ რეგიონებში, არავითარ სიამოვნებას არ მანიჭებს, ვალდებულებად მაქვს მხოლოდ, რომ მგონია, ამით კიდევ დავეხმარები საზოგადოებას, რომ სწორი არჩევანი გავაკეთოთ და სწორი მიმართულებით განვვითარდეთ. ეს არის სულ, ეს მაწვალებს. ამით ვერ ვჩერდები. როდესაც ვიჯექი და საქმეს ვაკეთებდი, კინაღამ ქვეყანა თავზე დამანგრიეს და დამამხეს. თუ სახელმწიფო მოწყობა არ იქნა სწორი, არავითარი ქველმოქმედება და ბიზნესი არ განვითარდება და არაფერს აზრი არ ექნება“.**

## ვისაც არ მოსწონს ჩემი ეკონომიკური შეფასება, ვეპატიჟები ეკონომიკურ ფორუმზე, ოღონდ გამოგზავნეთ სპეციალისტები და არა დემაგოგები

ბიძინა ივანიშვილის ინფორმაციით, 24 სექტემბერს საქართველოში ეკონომიკური ფორუმი გაიმართება. ივანიშვილმა პარტიები და ექსპერტები ფორუმზე დაპატიჟა:

**„ვისაც არ მოსწონს ჩემი ეკონომიკური შეფასება და მაინც სკეპტიკურად არიან განწყობილი, ოპონენტებს, პარტიებს, ყველას, ვეპატიჟები 24 სექტემბერს ეკონომიკურ ფორუმზე, რომელიც ჩემი თაოსნობით დაფუძნდა და 6 თუ 7 შეხვედრა უკვე გაიმართა. ძალიან გთხოვთ ყველა პარტიას, წარმოადგინოთ თქვენი სპეციალისტები, ვინც ეკონომიკა იცის, მეც დავესწრები ამ ფორუმს. მობრძანდით და შევაფასოთ ერთად, რისი გაკეთება შეიძლებოდა კიდევ ამ მიმართულებით და არ გაკეთდა. ვეპატიჟები ყველას, ოღონდ გამოგზავნეთ სპეცალისტები და არა დემაგოგები, რომლებიც ისაუბრებენ არგუმენტებით და ციფრებით“,** – განაცხადა ბიძინა ივანიშვილმა.

## პროკურატურის მუშაობა არ არის იდეალური, უნდა დაიხვეწოს მისი ქმედითუნარიანობა

ბიძინა ივანიშვილი მიიჩნევს, რომ პროკურატურის მუშაობა იდეალური არ არის და მისი მუშაობა უნდა დაიხვეწოს.

**„პროკურატურა მძიმედ მუშაობდა პირველ წელს, რადგან კუბლაშვილი მართავდა ისევ სასამართლოს. პროკურატურას კრიმინალის დაკავების უფლებასაც არ აძლევდა სასამართლოს პირველ წელს. ყველაზე მძიმე ეტაპი იყო, რომ პროკურატურაში მიმდინარეობდა კადრების შეცვლა, დალაგება. ეს არ არის პოლიცია, რომ სამოქალაქო საზოგადოებიდან მიიყვანო კადრი. პროკურატურას სჭირდება პროფესიონალი. ეს პროცესი ხანგრძლივი და რთული იყო. პროკურატურის მუშაობა დღესაც არ არის იდეალური და ვერც იქნება, უნდა დაიხვეწოს მისი მუშაობა და ქმედითუნარიანობა“...**

## ვერავინ იტყვის, რომ პოლიცია ხალხზე ძალადობს

ვერავინ იტყვის, რომ პოლიცია ხალხზე ძალადობს. ერთეული შემთხვევები მსოფლიოში ყველგანაა და მასზე ადეკვატური რეაქცია კეთდება, – განაცხადა ყოფილმა პრემიერ-მინისტრმა ბიძინა ივანიშვილმა რეგიონულ მედიასთან შეხვედრაზე:

**„ოპონენტები ამას სულ ამბობდნენ, რომ აი, ჩამოიშალა პოლიცია, კრიმინალი გამძაფრდა, სახლში ველარ ვიცხოვრებთ, მანქანებს იტაცებენ. თვითონ დაამტვრიეს რამდენიმე მანქანა, გააკეთეს ამის მსგავსი პროვოკაცია. შედეგი მივიღეთ, რომ დღეს პოლიცია არის აბსოლუტურად ხალხის სამსახურში ჩამდგარი. ვერავინ იტყვის, რომ პოლიცია ხალხზე ძალადობს. ერთეული შემთხვევები მსოფლიოში ყველგანაა და მასზე ადეკვატური რეაქცია კეთდება. შესაბამისად, საერთაშორისო რეიტინგები ნახეთ, ევროპაში მე-9 ადგილზე ვართ ამ მხრივ. 2012 წლამდე ყველაზე მაფიოზური ქვეყნების რიგში იდგა საქართველო, 75-ე ადგილზე იყო“,** – განაცხადა ივანიშვილმა.

## თუ არ მოხვალთ არჩევნებზე, არავითარი უფლება არ გექნებათ მოთხოვნების და ხელისუფლების კრიტიკისა!

ექსპრემიერი ბიძინა ივანიშვილი მოსახლეობას არჩევნებზე მისვლისკენ მოუწოდებს და აცხადებს, რომ წინააღმდეგ შემთხვევაში მათ არაფრის მოთხოვნის უფლება არ ექნებათ.

**„მე არაფერს ვითხოვ, ერთადერთი, რისი ვალდებულებაც გააჩნია ყველა მოქალაქეს, თუ არ მოხვალთ არჩევნებზე დღეს, გამოდის თქვენ არ იმსახურებთ არავითარ კრიტიკას და არავითარ მოთხოვნებს. არავითარი უფლება არ გექნებათ, მორალურად ვამბობ, არ გექნებათ უფლება აკრიტიკოთ ის ხელისუფლება, რომლის არჩევაში თქვენ მონაწილეობა არ მიგიღიათ,“** – აცხადებს ივანიშვილი.

## ვერ იშოვა გუბაზმა ფული და ეს აღიზიანებს!

ექს-პრემიერი ბიძინა ივანიშვილი მის მიმართ გამოთქმულ კრიტიკას ეხმაურება. მისი თქმით, გუბაზ სანიკიძე იმის გამო აკრიტიკებს, რომ მილიონერი ვერ გახდა.




**„გუბაზთან არასდროს პირადი წყენინება არ მქონია. გადმოხტა და ასე ცუდად მომიხსენიებს. ასევე ნახეთ, გაიხსენეთ, გუბაზის გამონათქვამი, რომ პოლიტიკაში იმიტომ მოდის, მილიონერი უნდა გახდეს. ვერ იშოვა ფული ამ კაცმა ან ეს აღიზიანებს, რომ ფული ვერ იშოვა და ამაში მე მადანაშაულებს. ერთი- ორჯერ გამოასხივეს, რომ ჩემ წასვლას ნატრობენ ესენიც. გაბრაზებულია, თუ ფულს იღებს ამაში, რომ მაგინოს, ეს მაყურებელმა გამოიცნოს“,** – აცხადებს ექსპრემიერი.

## „მაესტრომ“ მოახერხა თავის დახსნა... კავკასია“ კი კეკლუცობს!..

„მაესტრო“ და „კავკასია“ ფსევდოსახელისუფლებო ტელევიზიები იყო, „მაესტრომ“ მოახერხა თავის გახსნა, „კავკასია“ კი კეკლუცობს.

**„მედიათავისუფლების მიხედვით, საქართველო უფრო თავისუფალია, ვიდრე მედია უნგრეთში, იტალიაში, სამხრეთ კორეაში და ა.შ. 2012 წელს ვიყავით 104-ე ადგილზე. ხელისუფლებას მედიაზე არანაირი გავლენა არ აქვს. ერთადერთი კორპორატიული მედია ჰყავს ნაციონალურ მოძრაობას“. . .**

მისი თქმით, ეს არამარტო „რუსთავი-2“-ია, არამედ „ტაბულა“ და სხვებიც.

**„რუსთავი-2“ აბსოლუტურად აგრესიულად ეწევა ნაციონალური მოძრაობის პროპაგანდას, რომელიც მოგეხსენებთ, სიცრუეზე არის აგებული. მედიის მხრივ რა იყო უნდა გავიხსენოთ – პირველივე წერილში ვთქვი, რომ მედია ტოტალურად კონტროლდებოდა. ორი ფსევდოტელევიზია დავასახელე მაშინ და აგრესიული განცხადებები გააკეთეს „კავკასიამაც“ და „მაესტრომაც“. „მაესტრომ“ მოახერხა თავის დახსნა და „კავკასია“ დღესაც კეკლუცობს და აფორმებს უფრო ჩემს შენიშვნებს. არავითარი პრეტენზია არ მაქვს, მაგრამ აგრესიული გამოსვლები ჰქონდათ. ორი ფსევდოოპოზიცური ტელევიზია იყო, ამასთან უფრო ცუდ როლს თამაშობდნენ. 26 მაისს „მაესტრომ“ გადააჭარბა რუსთავი 2-ს, ისე დაუდგა გვერდით ხელისუფლებას“,** – განაცხადა ბიძინა ივანიშვილმა.

## ნაციონალური მოძრაობის დროს ბიზნესი მთლიანად დათრგუნვილი იყო!

საქართველოს ექსპრემიერ ბიძინა ივანიშვილის განცხადებით, ქონების დაცვის მხრივ საქართველო საუკეთესო ოცეულში იმყოფება.

**„ქონების დაცვის თვალსაზრისით უფლებები მკვეთრად გაუმჯობესდა. აქაც მსოფლიოს საუკეთესო ოცეულში შევდივართ. ვიკავებდით 131-ე ადგილს ნაციონალური მოძრაობის დროს საკუთრების დაცვის რეიტინგში და არაფერი გასაკვირი აქ არ არის. გახსოვთ, ალბათ, რომ მთელი ბიზნესი კონტროლდებოდა, რომ მთავარი პროკურორი აკეთებდა მონიტორინგს, 5 ათასი დოლარის გადარიცხვაც კი კონტროლდებოდა და რეალურად საქართველოში ბიზნესი იყო მთლიანად დათრგუნვილი. დღეს საუკეთესო ოცეულში ვართ“...**

## 2012 წლამდე საქართველო ყველაზე მაფიოზური ქვეყნების რიცხვში შედიოდა!

საქართველოს ექსპრემიერ ბიძინა ივანიშვილის განცხადებით, 2012 წლამდე საქართველო ყველაზე მაფიოზური ქვეყნების რიცხვში შედიოდა.

**„2012 წლამდე საქართველო ყველაზე მაფიოზური ქვეყნების რიცხვში შედიოდა. დღეს საქართველო მსოფლიოში იჭერს მე-17 ადგილს ამ მხრივ და ევროპაში, ევროკავშირის 27 ქვეყანაში მე-9 ადგილზე ვართ. საქართველოში აღარ არის ორგანიზებული დანაშაული. თავიდან ოპონენტები ამბობდნენ, რომ ჩამოიშალა პოლიცია, კრიმინალი გამძაფრდა, სახლში ველარ ვიცხოვრებთ, მანქანებს იტაცებენ – ეს პერმანენტულად ისმოდა. შედეგად მივიღეთ ის, რომ პოლიცია აბსოლუტურად ხალხის სამსახურში იმყოფება, ვერავინ ვერ იტყვის, რომ პოლიცია ხალხზე ძალადობს, ერთეული შემთხვევები მსოფლიოში ყველგან არის და მასზე კეთდება ადეკვატური რეაქცია და, შესაბამისად, საუკეთესო ქვეყნების რიცხვში აღმოვჩნდით“...**

## ახალი ხელისუფლება რომ არ მოსულიყო, დღეს ეკონომიკა საერთოდ აღარ გვექნებოდა!

**„რომ წარმოვიდგინოთ მოდელი, და ვინც იცის ეკონომიკა, ამის მოდელირება ძალიან მარტივია, ნაციონალური მოძრაობის პერიოდის მსგავსად რომ მართულიყო ეკონომიკა 2013 წელს, შემდგომ და დღეს, გარწმუნებთ, დღემდე არ მოვიდოდით. 2013-2014 წლებში უკვე ვეღარ გასცემდნენ ხელფასებს და პენსიებსაც. იმ მეთოდმა ბოლომდე ამოწურა საკუთარი თავი და ახალი ხელისუფლება რომ არ მოსულიყო, ახალ მეთოდებზე, თავისუფალ საბაზრო სისტემაზე რომ არ გადასულიყო – დღეს ეკონომიკა საერთოდ აღარ გვექნებოდა“.**

მისი თქმით, დღეს ვერავინ იტყვის, რომ ხელისუფლება ბიზნესის ჯიბეში ან საკუთრებაში „ძვრება“.

**„ამ მხრივ არანაირი კითხვა არ არსებობს. ამის თქმას ნაციონალური მოძრაობის წევრებიც კი ვერ ახერხებენ. მეც, როგორც მოქალაქე, ძალიან დიდ ყურადღებას ვაქცევ, რომ ბიზნესი იყოს თავისუფალი. არ მოხდეს ხელისუფლების მხრიდან ბიზნესში ჩარევა. ჩარევა უნდა მოხდეს მხოლოდ ერთი მიმართულებით: ინფრასტრუქტურა უნდა ააშენოს ხელისუფლებამ და რაც შეიძლება სწრაფად და ხარისხიანად, რომ ბიზნესი სწრაფად განვითარდეს და უნდა დაეხმაროს ლობირებაში, ბაზრების მოპოვებაში. ამ მხრივ კვირიკაშვილი არის იდეალური“.**

მისივე თქმით, ნაციონალური მოძრაობის დროს ბიზნესის კეთების სიიოლის მხრივ ბევრი რამ გაკეთდა, თუმცა ამას ფასი არ ჰქონდა.

**„რადგან მაშინ კვალი საიდანაც ამოვიდოდა, მიადგებოდა საწარმოს საგადასახადო პოლიცია, შენით მოიტან ფულს თუ ციხეში შეგიშვათო. ამას ფასი არ ჰქონდა. ასე მოტყუებით შემოყავდათ ბიზნესმენები და ატყავებდნენ, რაც ქვეყანას უარეს იმიჯს უქმნიდა. ორ დღეში გახსნიდი კომპანიას, კი ბატონო, მაგრამ როგორც კი კვამლი გამოვიდოდა და ნახავდნენ, რომ რაღაცა გაქვს, მოვიდოდნენ და ეპატრონებოდნენ“.**

## „ქართული ოცნებიდან“ წამოყენებულ ყველა მაჟორიტარს მხარს ვუჭერ!

ყოფილი პრემიერ-მინისტრის ბიძინა ივანიშვილის განცხადებით, ის მხარს უჭერს ყველა იმ მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატს, რომელიც კენჭს „ქართული ოცნების“ სახელით იყრის.

ამასთან, ბიძინა ივანიშვილი გავრცელებულ ინფორმაციაზე, რომ თითქოს, ის გურიაში, მხარს უჭერს დამოუკიდებელ კანდიდატ აკაკი ჩხაიძეს, აცხადებს, რომ მას პირადად არ იცნობს.

**„არ ვიცნობ ბატონ აკაკის. შეიძლება, სადღაც შენახვედრი ვარ, ხელი ჩამომირთმევია. მე ვუჭერ მხარს ყველა მაჟორიტარობის კანდიდატს, რომელიც „ქართული ოცნებიდან“ არის წამოყენებული. ეს არის ერთადერთი გუნდი, რომელსაც ხელეწიფება, რომ ქვეყანა სწორი მიმართულებით განავითაროს. მაჟორიტარობის კანდიდატებს, ისევე როგორც მთელ გუნდს აყალიბებს კვირიკაშვილი და მთელი გუნდი. მე არ ვარ გუნდის ჩამოყალიბების მონაწილე. პირადად ყველას არ ვიცნობ. ეს პროცესი უჩემოდ მიდის“,** – განაცხადა ივანიშვილმა.

**კახეთი არჩევნებისა და რთველისთვის ერთდროულად ემზადება.**

**ხალხში გავიდნენ ისეთი პარტიებიც, რომელთა პრეტენზიული ხელმძღვანელობა, როგორც მანტრას, ისე იმეორებს დაზეპირებულ ლანძღვას ხელისუფლების, ყოველი მხრიდან და ნაირ-ნაირ რაკურსში.**

**ეს შეხვედრა, რომელიც „ოცნების“ მიერ წამოყენებულმა დეპუტატობის კანდიდატმა დავით სონღულაშვილმა გასული კვირის პარასკევს სოფელ ჯიმითში გამართა (კაჭრეთის ზონაში რომ არის, იქ, სრულად იყო დაცლილი ამ ავი ზნისგან.**



# დემოკრატია ერთი სოფლის გადასახედიდან



**„ავი ზნე — იგივეა, რაც ბნედა“** (ქართული *ენის განმარტებითი ლექსიკონი, გვ. 232*).

შეეძლოთ, საფუძველიც ჰქონდათ, მაგრამ არც პერსონალურად შეჰხებიან ვინმეს, არც თავს არ დაუტეხიათ მავანთათვის ორლობეში ყურმოკრული ჭორების „უტყუარი ფაქტები“.

— დეპუტატად მოვდივარ იმიტომ, რომ საქმე ვაკეთო, — თქვა შეხვედრის დაწყებისთანავე დავითმა და საჭირო მიმართულება მისცა ამ სახელდახელო სახალხო კრებას.

მეორედ მართავდა შეხვედრას ამ სოფელში დავით სონღულაშვილი. პირველზე მეტი ამომრჩეველი მოვიდა 15 სექტემბერს, სამუშაო დღის ბოლოს. ვენახებიდან — ძირითადად. დაიგვიანა მოსვლა დეპუტატობის კანდიდატმა (რაც აბსოლუტურად უცხოა მისთვის) — დარჩეთში გულიაშვილების ოჯახს მიუსამძიმრა. იცოდნენ ეს და შეკრებილთაგან არავინ დაძრულა ადგილიდან.

გურჯაანის რაიონში ბევრია მოსაგვარებელი, ბოლომდე მისაყვანი საქმე, წლობით დაგროვებული, გადასაწყვეტი: ბუნებრივი გაზით უზრუნველყოფა, უმუშევრობა, სოციალურ პროგრამაში ჩართვა და ა.შ. ეს პრობლემები ჯიმითის მოსახლეობასაც აწუხებს. განსაკუთრებით, სოციალურად დაუცველ ოჯახებს, რომლებიც გაუგებარი (უმეტესად) მიზეზების გამო სახელმწიფო დახმარების პროგრამიდან ამოშალეს. ამ საკითხების მოგვარებას სთხოვენ დეპუტატობის კანდიდატს ამომრჩევლები.

და კიდევ ერთ, კერძოდ, განათლების პრობლემაზეც განსაკუთრებით ლაპარაკობენ. ამ თემაზე დავით სონღულაშვილის სამოქმედო პროგრამა და აქაურების პოზიცია სრულად დაემთხვა ერთმანეთს (იხ. *„საქართველოს რესპუბლიკის“ 31 აგვისტოს ნომერი)*.

სოფლის ინტელიგენციას ზედმეტად მიაჩნია სკოლებში თორმეტწლიანი საშუალო განათლების დატოვება, ამასთან, არავითარი გამართლება არ აქვს ქვეყანაში ამდენი უმაღლესი სასწავლებლის არსებობას. ასეთი რეალობა უნივერსიტეტების კურსდამთავრებულთა უმუშევრობის წინაპირობაა: სპეციალისტების რეალური მოთხოვნა შეთავსებული არ არის უმაღლესი სასწავლებლების პროფილებთან.

მოკლედ: განათლების სისტემამ უნდა მოამზადოს განათლებული პროფესიონალები იმ დარგებისთვის, რომლებიც ქვეყნის დღევანდელობისა და პერსპექტიული განვითარებისთვისაა საჭირო.

პირდაპირ განაცხადეს, რომ უმაღლესების მოჭარბებული რაოდენობა ბიუჯეტის შესავსებად არსებობს — სტუდენტები სწავლის ღირებულებას გაუნათლებლობაში იხდიანო.

ამ პრობლემის გადაჭრის გზას ადგილობრივ სინამდვილეში დავით სონღულაშვილი ხედავს ასე: კაჭრეთში მოქმედებს სანიმუშო პროფესიული სასწავლებელი, ეს რეალურს ხდის, კახეთის ამ კუთხეში — გურჯაანის რაიონში — ჩამოყალიბდეს პროფესიული სწავლების ერთგვარი ცენტრი, სადაც მოამზადებენ სოფლის მეურნეობის სპეციალისტებს, რომლებიც გარანტირებული იქნებიან დასაქმების ადგილებით, და უმუშევრობის პრობლემა, ასე მწვავედ რომ დგას აქაურების წინაშე, ეტაპობრივად გადაიჭრება.

ფიქრობენ, რომ ამ მიმართულებით სიკეთის მომტანი იქნება კაჭრეთის გაუქმებული სკოლა-ინტერნატის ბაზის, რომელიც 6 ჰექტარზეა გაშლილი, სპორტულ კომპლექსად გადაკეთებაც. დავით სონღულაშვილი დაჰპირდა, რომ ამ იდეის ხორცშესხმისთვის აუცილებლად იზრუნებს.

— უმუშევრობას განსაკუთრებით ქალები განვიცდით, — ამბობს უცხო ენების უნივერსიტეტის კურსდამთავრებული **ხათუნა სოლოღაშვილი**, — მეც მათ შორის ვარ, ფრანგული ენის სპეციალისტი სოფელში არავის დაჭირდა. არც არის სხვა ისეთი სამუშაო, რომლითაც შეიძლება დავკავდე. სკოლაში, საბავშვო ბაღში ყველა ადგილი შევსებულია. ჩემი ასაკის თაობა, თბილისიდან რომ ჩამოვიდა, ძირითადად დაუსაქმებელი დარჩა. რით ეშველება ამ საქმეს? დახურული საწარმოების ამოქმედებით: საავადმყოფო, სამკერვალო ფაბრიკა, რკინა-ბეტონის ქარხანა, პურპროდუქტების საწარმო, სკოლა-ინტერნატიც ხომ გაუქმდა და ეს ხალხი დარჩა უმუშევარი. კაჭრეთის ზონაში ბევრი სოფელია — კაჭრეთი, ზემო კაჭრეთი, არაშენდა, ჯიმითი, ნანიანი, ქოდალო, დარჩიეთი — საავადმყოფო, თუნდაც ერთი, ათსაწოლიანი მაინც, ძალიან კარგი იქნება ჩვენთვის. ახლა ავადმყოფები გურჯაანში გადაჰყავთ. ადგილობრივ კი ბევრი კარგი ექიმი გვყავს, შენობაც არის, ოღონდ გარემონტება დაჭირდება და სათანადოდ აღჭურვა.

**ხატია ბურდულაძემ** დავით სონღულაშვილის მიმართ ხალხის განწყობილებაზე ილაპარაკა.

— ერთი პერიოდი ბურჭულაძის პარტიაში ჩვენი ზონის უფროსი ვიყავი. სულ რამდენიმე დღეა, რაც ჩემი გუნდით დავტოვე ის პარტია. სანამ აქეთ გადმოვიდოდი, იმდენი დადებითი მესმოდა ბატონ დავითზე, ჩემი გუნდის წევრებიდანაც კი, რაც არც ერთ სხვა კანდიდატზე არ გამიგია. არ დაგიმალავთ, რომ იმ პარტიაში ყოფნისას დიდი მონდომებით ეძებდნენ მაკომპრომენტირებელ მასალებს „ოცნების“ კანდიდატზე, მაგრამ ვერაფერი, აბსოლუტურად ვერაფერი უპოვეს. მაშინ მამამისზე გადავიდნენ — ბიძინა სონღულაშვილზე, მაგრამ აქაც ხელი მოეცარათ.

**„ცხენს ვერ მისწვდნენ და უნაგირს დაუწყეს მტკვრევაო“. ხინჯი ვერ მოუძებნეს ამ დამსახურებულ ადამიანს, დამოუკიდებელი საქართველოს ღირსეულ სახელმწიფო მოღვაწეს, ცნობილ მეტრომშენებელს, ურთულეს პერიოდში (მაშინ, როცა პანკისის ხეობას ჩეჩენმა მებრძოლებმა თავი შეაფარეს) პრეზიდენტის სახელმწიფო რწმუნებულს კახეთის მხარეში.**

— ბატონ ბიძინა სონღულაშვილს 20 წელიწადი მაინცაა, რაც ვიცნობ, — ამბობს **გივი თამაზაშვილი,** ბიზნესმენი კაცი, — იქიდან მოყოლებული, როცა გურჯაანის რაიონის გამგებლად მუშაობდა. მაშინ აქ სოფლის გამგებელი გახლდით.

როგორც კი დანიშნეს, დაგვიძახა სოფლების გამგებლები და შეგვეკითხა, რა გიჭირთო. მე ჩემი შევჩივლე: კაჭრეთის ზონაში, რომელიც 12 სოფელს მოიცავდა, ტელევიზიის გადაცემებს ვერ ვიღებდით. კუსალიას გორაზე მდგარი ტელეანძა წლების განმავლობაში გაპარტახდა და აღარც არსებობდა. ჩემი კი ვთქვი, მაგრამ მეგონა, რომ, როგორც ყოველთვის, ყურად არავინ იღებდა.

ერთი კვირის შემდეგ, დილაადრიან, ბატონმა ბიძინამ სწორედ კუსალიას გორაზე შეკრიბა ჩვენი ზონის საწარმოების ხელმძღვანელები, სოფლის გამგებლები, განვიხილეთ ანძის აღდგენის საკითხები, მივიღეთ დავალებები და ერთი თვის თავზე საქმე დამთავრებული გვქონდა.

არ არსებობდა საკითხი, რომელიც სოფელს სტკიოდა, ბიძინა სონღულაშვილს ოპერატიულად რომ არ გადაეწყვიტა. მაგალითისთვის დავასახელებ მელაანის ავარიული სკოლის საკითხს: ისეთი რემონტი ჩაუტარა, რომ საძირკვლიდან დაწყებული, ახლადააშენებინა. ან როგორ ამოგვიდგა მხარში, როცა მზესუმზირის ნათესებს ამერიკული კალია, ეს დაუნდობელი მავნებელი შემოესია. მაშინ ჩამოაყვანინა ბატონმა ბიძინამ სპეციალური ვერტმფრენები, რომლებმაც შხამქიმიკატების მინდვრებზე მოფრქვევით მოსპეს მავნე მწერები და ხალხს მოსავალი გადაურჩინეს. გუბერნატორად რომ გადაიყვანეს, მისი დახმარებაც უფრო მასშტაბური გახდა. ძალიან უყვარდა აქაურობა, ხშირად დადიოდა სკოლებში, ხვდებოდა ჩვენებურებს და ხალხიც სიყვარულითა და პატივისცემით უპასუხებდა.

დავითი, მისი ვაჟი, დეპუტატობის კანდიდატად რომ დაასახელეს, გულით გამიხარდა, რადგან დარწმუნებული ვარ, მამის გზას სახელოვნად გააგრძელებს. შეხვედრები, რომლებსაც ამომრჩევლებთან მართავს, ურთიერთობა ადამიანებთან, რომელიც ნდობითაა გამსჭვალული, რადგან უშუალო და მართლის მთქმელია, უფლებას მაძლევს ვთქვა, რომ ხალხი სწორედ მას აირჩევს საქართველოს უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოში.

* * *

**ჯიმითის შეხვედრა თაფლივით ტკბილი იყოო, ვერ ვიტყვი. მწვავეც იყო და სერიოზულიც, უკომპრომისო. აშკარად გამოჩნდა, რომ დეპუტატობის კანდიდატი სულაც არ ცდილობდა დაპირებების კასკადით ამომრჩევლების გულის მოგებას. ამბობდა იმას, რასაც ფიქრობდა და სურდა თავისი პოზიცია გასაგები და მისაღები გაეხადა მასთან შესახვედრად მოსული ხალხისთვის. მაგალითად, არ მოერიდა და პირდაპირ უთხრა, რომ სოფელი მთავრობის ხელისშემყურე არ უნდა იყოს, რომ გლეხობისთვის გაცილებით მომგებიანი და ოპერატიულად შედეგის მომცემი იქნება, თუ აქაურები გააქტიურდებიან და გრანტების, მცირეპროცენტიანი სესხებით დაფინანსების სახელმწიფო პროგრამაში თავიანთ მცირე პროექტებს შეიტანენ; რომ სოფელი სახელმწიფოს არ უნდა სთხოვდეს, მაგალითად, ფეხბურთის მოედნის დაცვას უპატრონოდ მოხეტიალე საქონლისგან, ყველა წვრილმან საქმეში დახმარებასა და თანადგომას ზემდგომ ინსტანციებში არ უნდა ეძებდეს.**

ერთმა, არცთუ ხანდაზმულმა კაცმა, რომელმაც შეამჩნია, რომ ბლოკნოტში რაღაცას ვიწერდი, მითხრა:

— ჩაწერე, — სასაფლაოს ყარაული სჭირდება.

— რისთვის-მეთქი, რომ ვკითხე, გვერდზე მდგომმა ახალგაზრდამ მიპასუხა, — საქონელი რომ არ შევიდესო (!).

ჭირისუფლები სასაფლაოს ვერ უვლიან თურმე (!).

ეს საკითხი შეხვედრის „კულუარებში“ წამოიჭრა. საჯაროდ გამოტანა უხერხული იქნებოდა უთუოდ. მაგრამ იმ გაჭირვებულ კაცს თავისი პრობლემა აწუხებდა...

როგორც სხვებს — თავ-თავიანთი.

ეგებ, ამიტომაც თქვა ქალბატონმა **ლამარა გეთიაშვილმა**:

— ხალხო, ჯერ ავირჩიოთ, მერე მოვთხოვოთ.

— უწინ სხვებიც დაგვპირდნენ და არ შეასრულეს, — შეეპასუხნენ იქვე.

— ეგ იმიტომ, რომ სკამის საჯდომი რბილი იყო. ახლა გაუხმათ. მაგრამ ეს ბიჭი (ბიჭიო, ასე თქვა წლებით დამძიმებულმა ქალბატონმა და უცებვე შეასწორა) — ბატონი დავითი იმათ არ ჰგავს.

**იმედი აქვთ დავით სონღულაშვილის ჯიმითელებს, კაჭრეთელებს და, როგორც ადგილობრივები ამბობენ, გურჯაანის რაიონის მოსახლეობის უმრავლესობას. არა მარტო მათ, ვინც მისი მომხრეები იყვნენ იმთავითვე, არამედ იმათაც, ვისაც ხელი ჰქონდა ჩაქნეული ყველაფერზე, ან სხვაგან ეძებდა შველასა და გამოსავალს.**

**ეტყობა, ამ კატეგორიის ადამიანების აზრი გამოხატა ჯიმითელმა ქალბატონმა ნათელა ვარაზაშვილმა, ოთხი შვილიშვილის ბებიამ, რომელიც მწვავე შეპასუხებასაც არ ერიდებოდა შეხვედრის მსვლელობის დროს, როცა ასე მიმართა დავით სონღულაშვილს:**

**— თქვენგან ისეთი დაჯერება მაქვს, რომ არ მინდოდა, მაგრამ ახლა წავალ არჩევნებზე. მერე ნახეთ ხალხის სიყვარული!**

**— ალტერნატივა არ ჰყავსო, — ყურს ხვდებოდა მსგავსი რეპლიკები, ერთმანეთს შთაბეჭდილებას რომ უზიარებდნენ ჯიმითელი კაცები.**



**დავით სონღულაშვილზე რომ ამბობდნენ — მასთან შეხვედრების დროს დადებითი აურა იქმნებაო, სიტყვის მასალა არ ყოფილა.**

**არმაზ სანებლიძე**




# ქვეზი ქვეყნის უსაფრთხოების ბოსტანში

## ნიკა ოღრაშო, მართალია, რომ საკუთარ საუბრებს თავადვე უსმენთ, ამონტაჟებთ და შემდეგ ასაჯაროებთ კიდეც?!.

**ეს ლეგიტიმური კითხვა, რომელსაც „რუსთავი-2“-ის გენდირექტორ ნიკა გვარამიას ვუსვამ, არც თუ შემთხვევით დამებადა. დღეს იმათგან, ვისაც ჭკუა მოეკითხება, ბევრი დასაბუთებულად ფიქრობს, რომ გვარამია გენპროკურორის მოადგილედ მუშაობის პერიოდში სხვათა პირადი საუბრების მოსმენა-გავრცელებაში იმდენად დახელოვნდა, რომ ამ ბინძურ საქმეში დღესაც ხშირად წაუცდება ხოლმე ხელი და სხვა თუ ვერავის გამოკრა კბილი, არც იმას თაკილობს, პოლიტამფსონებთან საკუთარ საუბრებს თავადვე მოუსმინოს, სურვილისამებრ დაამონტაჟოს და თუ საჭიროდ ჩათვალა, მთავრობის დასაშანტაჟებლად და ხალხში შფოთის ასაგორებლად, საჯაროდ გაახმაუროს კიდეც.**

ამ კონკრეტულ შემთხვევაშიც (ლაპარაკია გვარამია-ბურჭულაძის პირადი საუბრების ფარულ მოსმენა-გასაჯაროებაზე) ნიკა ოღრაში, სავარაუდოდ, აკი ასე მოიქცა. ბუნებრივია, თუ არა ნაცბანდის ხელმძღვანელობასა და მის ტელერუპორ გვარამიას, ოცნების ხელისუფლებას რისთვის უნდა დასჭირვებოდა ამ საძრახისი საქმის მოთავეობა? განა იმისთვის, რომ კიდევ ერთხელ გაემყარებინა მის მიმართ წაყენებული ბრალდება, რომ ყველას უსმენს, რომ ის უნიათოა და ვერავის სჯის?

**— აი, ნახეთ, ჩვენო ამერიკელო და ევროპელო კეთილისმყოფელებო, — ღიღინებს გულში პოლიტთხუნელა გვარამია, — რა სიბინძურეებითა და სისულელეებით ერთობა ჩვენი უგერგილო და უქნარა ხელისუფლება; ნახეთ, აღშფოთდით და დარწმუნდით, რომ თუ ნაცბელადი სააკაშვილი ხელისუფლებაში დროულად არ მობრუნდა, საქართველო დასაღუპად განწირულია!**

არა მგონია, ჩვენს უცხოელ პარტნიორებს ალსაშფოთებლად ნიკა გვარამიას წაქეზება სჭირდებოდეთ, მით უფრო ამერიკის ელჩს, რომელიც მის დაუხმარებლადაც არ გვაკლებს „საქმიან რჩევებსა“ და შენიშვნებს. არადა, არის კი საჭირო ამ საქმეში, ასევე, ბევრ სხვა საქმეში იან კელის თანაგრძნობა? ისედაც ხომ ყველაფერი ნათელია, პირადი საუბრების ფარული მოსმენა, ადამიანთა პირადი ცხოვრების დეტალების საჯაროდ გახმაურება სისხლის სამართლის დანაშაულია და მისი ჩამდენი კანონის მთელი სისასტიკით ისჯება. რა სცენარს შეთითხნის ნიკა გვარამია, ან რამდენად უნიათოა ხელისუფლება, ამან სამართლის დროულად დადგომას ბარიერი არ უნდა შეუქმნას.

დიახ, ამაზე ორი აზრი არ არსებობს, აი თავად გვარამია-ბურჭულაძის საუბრის ჩანაწერმა კი, რა დასამალია და, ჩვენს საზოგადოებას დიდი თავსატეხი გაუჩინა. ქვეყნის პოლიტიკოსებს, ექსპერტებს, ჭორიკანა არასამთავრობოებს, რომ იტყვიან, საქმე გამოუჩნდათ. ისინი გვარამიას პროკურორულ წარსულსა და ბურჭულაძის პოლიტიკურ მომავალს ყველა ჭრილში განიხილავენ. მათი ვარაუდების დიდი ნაწილი თითქმის იდენტურია: ჩანაწერის გაკეთების იდეაც და შესრულებაც ნიკა გვარამიას „შემოქმედების“ ნაყოფია.

ასე ფიქრობს, კერძოდ, საქართველოს უშიშროების ყოფილი შეფი ვალერი ხაბურძანია, რომლის ვარაუდით, ხსენებული აუდიოჩანაწერის გავრცელება ნიკა გვარამიას ორგანიზებულია. **თუ გვარამიას ტექსტს დააკვირდებით, ამბობს ის, მთლიანად შიფრავს „გირჩს“ და ძირავს პაატა ბურჭულაძეს. ნაციონალები ხვდებიან, რომ რაღაც ხმებს ბურჭულაძე და „გირჩი“ მათ წაართმევს და უბრალოდ ბოლომდე ჩაუშვეს მოწინააღმდეგე. ხაბურძანიას მიაჩნია, რომ ნაციონალებმა ამ ჩანაწერის გახმაურებით ქვა სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ბოსტანში ისროლეს.** ამიტომ სასწრაფოდ უნდა დაადგინონ, საიდან აიტვირთა ეს ყველაფერი და შესაბამისი ზომები მიიღონ. თავად უსაფრთხოების სამსახური უარყოფს რაიმე სახის კავშირს აღნიშნული ჩანაწერის მოპოვებასა და გავრცელებასთან და აცხადებს, რომ ამას ყველაფერს გამოძიება დაადგენს.

ამასობაში კარს მოგვადგა 8 ოქტომბერი, რომელიც ზოგიერთი ექსპერტის აზრით, მოძრაობა „სახელმწიფო ხალხისთვის“ საკრალური აღმოჩნდება, რადგან ისინი თავიანთ პოლიტიკურ ისტორიას ამ დღისთვის დაასრულებენ. მანამდეც, ვიდრე პარტიამ ცესკომდე მიაღწია და ოფიციალური განაცხადი გააკეთა არჩევნებში მონაწილეობაზე, ბურჭულაძეს თავისივე შერჩეული თანამებრძოლები უკვე მტრად მოევლინნენ, რომ აღარაფერი ვთქვათ მისი უპირველესი იდეოლოგის ხათუნა ლაგაზიძის სკანდალურ სატელევიზიო გამოსვლაზე, როცა მან საჯაროდ განაცხადა, რომ ბურჭულაძემ სამარცხვინოდ საკუთარი თავიც გაყიდა, ქვეყანაში მესამე ძალად მოვლენილი პარტიაც და მშობლიური ქვეყანაც.

არაო, ხელებს ასავსავებს ბურჭულაძე, არც თავი მიმიყიდია ვინმესთვის და არც ტანჯვა-ჯაფით შეკოწიწებული პარტიაო. ნიკა გვარამიასთან იმ ჩემი საუბრიდან სწორედ ის არის ამოჭრილი, როცა ვამბობ, რომ „მე არ ვარ არც „ქართული ოცნების“ და არც ნაციონალური მოძრაობის ქომაგი, მე ვარ ხალხის წარმომადგენელი-მეთქი. მე რომ მდომებოდა რომელიმე მხარეს ყოფნა, ვინ დამიშლიდა?“

**არავინ, ბატონო პაატა, აბა ვინ დაგიშლიდათ, მაგრამ თუკი უკვე ხართ თქვენთვის საძულველი ნაცბანდელების მხარეს, ხალხის მოტყუება რიღასთვის დაგჭირდათ? ვფიქრობთ, არ არის აუცილებელი პოლიტიკოსი იყოთ (ალბათ, არც როდისმე ყოფილხართ) იმისათვის, რომ ხალხი, რომელსაც ნაციონალური შავბნელი წარსულისგან გამოხსნას უპირებთ, ხელმეორედ გააცუცურაკოთ. საეჭვო აღარაფერია, კაცს, რომელიც ფულის გულისთვის ხალხის ნაძრახ კუბლაშვილებს და გირჩელებს მიეყიდება, ეპოლიტიკოსებოდეს კი არა, ალბათ, აღარც უნდა ემღერებოდეს.**

რეალობას სად გავექცევით. ფაქტია, ხსენებული სატელეფონო საუბრის ჩანაწერმა საბოლოო წერტილი დაუსვა პაატა ბურჭულაძის პოლიტიკურ კარიერას. რაც შეეხება პოლიტვირთხა გვარამიას, მსოფლიო ბანისგან განსხვავებით, ის არც მალავს, რომ წმინდა სისხლის ნაციონალი და მიშისტების თავგამოდებული რუპორია. დაკვირვებაც არ სჭირდება, ერთი შეხედვითაც კარგად ჩანს, რომ საქართველოში თავისუფლების სიმბოლოდ მონათლული „რუსთავი-2“, ფაქტობრივად, სააკაშვილის მიერ დაპყრობილ-დამონებული მედიაა, რომელიც ნაპროკურორალ გვარამიას, მთელ ნაცხროვას უჭირავს ხელში და თავის სურვილისამებრ მართავს.

როგორც ყველა პოლიტწუნკალს, გვარამიასაც შესწევს უნარი, მსოფლიო დემოკრატიულ ელიტას შეაცოდოს თავი, რომ საქართველოში მას ჩაგრავენ, აწვებიან და თავისუფალი სიტყვის უფლებას ართმევენ. სინამდვილეში გვარამია აწვება იქით ხელისუფლებას, რომელსაც ხშირად ღიად და დაუფარავად გადატრიალებით (გავიხსენოთ სააკაშვილის და გვარამიას საუბრების უკრაინული ჩანაწერები) და ჯოჯოხეთის მოწყობით ემუქრება. ჩვენი პროკურატურის სამართლებრივ განსწავლულობასა და პროფესიონათლიზმს რა ვუთხარი, თორემ ისეთი მოწამლული პოლიტიკის მფრქვეველ ტელეარხის თავკაცს, როგორიც გვარამიაა, ალბათ, ჩაყუდებაც არ აწყენდა. არა მგონია, დემოკრატიულობის ნიშით მოსულ დღევანდელ ხელისუფლებას იმის უფლება ეკრძალებოდეს, რომ დემოკრატიის სახელით მოძალადე „გადამტრიალებლები“ საკადრის ადგილზე მოსვას.

**ოთარ ხუციშვილი**

# შემოდის ბევრი, გადის ცოტა

**მსოფლიოს მასშტაბით, 215 მილიონი ადამიანი სამშობლოს გარეთ ცხოვრობს. მიგრანტების ფულადი გზავნილები ყველა განვითარებადი ქვეყნის მთლიანი შიდა პროდუქტის (მშპ) 2 პროცენტს და დაბალშემოსავლიანი ქვეყნის მშპ-ის 6 პროცენტს შეადგენს.**

2016 წლის აგვისტოში ქვეყანაში შემოსული ფულადი გზავნილების მოცულობამ $105.8 მილიონი, ანუ 245.4 მილიონი ლარი, შეადგინა, რაც 25.3 %-ით (21.4 მლნ აშშ დოლარით) მეტია 2015 წლის აგვისტოს ანალოგიურ მაჩვენებელზე. ფულადი გზავნილების უმთავრესი წყარო საქართველოდან უცხოეთში ემიგრირებული ქართველი მოსახლეობის მიერ გამოგზავნილი თანხებია.



გზავნილების ზრდა მნიშვნელოვანწილად საბერძნეთიდან, აშშ-იდან და ისრაელიდან ჩამორიცხვების ზრდამ განაპირობა. გასული წლის ივლის-აგვისტოში საბერძნეთში საგარეო ვალის კრიზისი იყო, რის გამოც საბერძნეთმა ყველა საერთაშორისო გადარიცხვა, დაახლოებით, ერთი თვით შეაჩერა. ამ შეჩერების გამო გასული წლის აგვისტოში საბერძნეთიდან საქართველოში მილიონ დოლარზე ნაკლები გადმოირიცხა, წელს კი საბერძნეთიდან გადმორიცხულმა თანხამ 410 მილიონი შეადგინა.

ფულადი გზავნილების მიხედვით, აგვისტოში უმსხვილესი დონორი ქვეყნების სია ასე გამოიყურება: რუსეთი — $37 მილიონი, აშშ — $11.7 მილიონი, იტალია — $10.5 მილიონი, საბერძნეთი — $10.4 მილიონი, თურქეთი — $8 მილიონი, ისრაელი — $5.5 მილიონი, ესპანეთი — $3 მილიონი, აზერბაიჯანი — $2.5 მილიონი, გერმანია — $2.4 მილიონი, გაერთიანებული სამეფო — $2.4 მილიონი.

როგორც სტატისტიკიდან ჩანს, ცალკეული ქვეყნების მიხედვით, პირველ ადგილზე რუსეთია. ზოგადად, რუსეთი ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკებიდან მიგრანტთა დანიშნულების ნომერ პირველ პუნქტად რჩება დღემდე და საერთაშორისო მიგრანტების რაოდენობით მსოფლიოში, აშშ-ის შემდეგ, მეორე ქვეყანაა. ამასთან, მსოფლიო ბანკი მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში ქართველ მიგრანტთა მასშტაბურ რაოდენობას — მილიონ ადამიანზე მეტს — ასახელებს.

თუმცა, თუ გზავნილების წყაროების სტრუქტურაში ქვეყნებს გადავხედავთ, ფაქტია, რომ ევროკავშირის ქვეყნების როლი გზავნილებში იზრდება. შესაბამისად, იზრდება საქართველოს დამოკიდებულებაც ამ ქვეყნებში მიმდინარე ეკონომიკურ ვითარებაზე. გასული წლები ამ თვალსაზრისით არ იყო მარტივი: რუსეთის კრიზისი, ევროკავშირის ქვეყნების — განსაკუთრებით, საბერძნეთის — კრიზისი ამ ქვეყნებში საქართველოდან ჩასულთა შემოსავლებზე მკვეთრად უარყოფითად აისახა და, შესაბამისად, აისახა გზავნილებზეც. დღეისთვის ეს კრიზისი დაძლეულია და გზავნილების ზრდაც ნელ-ნელა დაიწყო.

რაც შეეხება საქართველოდან გაგზავნილ თანხებს, აგვისტოში საქართველოდან უცხოეთში $17.3 მილიონი გაიგზავნა, რაც, წინა წელთან შედარებით, $5 მილიონით მეტია.

**ნინო ევგენიძე**

# ახმეტაში მეაბრეშუმეობის აღორძინება იწყება

**ახმეტის მუნიციპალიტეტის სოფელ ზემო ხოდაშენში აბრეშუმის პარკიდან ძაფის ამოხვევის საჩვენებელი ღონისძიება გაიმართა. ღონისძიებას საქართველოს პარლამენტის აგრარულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე გელა სამხარაული, ახმეტის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილე დავით ფოცხვერიშვილი და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის თანამშრომლები ესწრებოდნენ.**

ღონისძიების მონაწილეებმა თუთის ახლადგაშენებული პლანტაციები დაათვალიერეს და საქართველოში მეაბრეშუმეობის განვითარების მნიშვნელობაზე ისაუბრეს. აღინიშნა, რომ მომავალი წლისათვის აბრეშუმის პარკის მოსავლის მნიშვნელოვანი ზრდა იქნება შესაძლებელი.

**აღსანიშნავია, რომ სოფლის მეურნეობის სამინისტროს სსიპ სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის მუშაობის ერთ-ერთ მიმართულებას თუთის აბრეშუმხვევიას გენოფონდის შენარჩუნება და მეაბრეშუმეობის დარგის აღორძინების ხელშეწყობა წარმოადგენს. დღეისათვის, საქართველოში მეაბრეშუმეობის განვითარების ხელშემწყობი ღონისძიებები დაწყებულია და წარმატებით მიმდინარეობს. დაირგო ასი ათასი ძირი თუთის ნერგი, რომელიც საქართველოში ბიზნესმენმა ჯიმშერ ჩხაიძემ შემოიტანა და მარტივი ტიპის პარკსახვევ ორ დაზგასთან ერთად სახელმწიფოს უსასყიდლოდ გადასცა.**

**ერთი დაზგა და 2000 ძირი თუთის ნერგი, ახმეტის მეაბრეშუმეობის სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივს „აბრეშუმხვევიას“ გადაეცა. სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითმა ცენტრმა აღნიშნულ კოოპერატივს 100 გ. პირველი ასაკის აბრეშუმის ჭიაც გადასცა.**

# „ჰარლი-დევიდსონი“: რკინის რაშის ჯადოსნური ამბავი



**ჭეშმარიტი ნიჭი — ადამიანის მოღვაწეობის რომელ სფეროშიც გნებავთ — თითქმის ყოველთვის გზას იკვლევს. „თითქმის“ — ეს სიტყვა იმიტომ დავწერე, რომ, სამწუხაროდ, ასე ყოველთვის არ ხდება, სხვა შემთხვევაში კაცობრიობას გაცილებით ბევრი წარმატებული და პატივმისაგები პირი ეყოლებოდა.**

ვირტუალურად მწკრივში რომ ჩავაყენოთ, კაცთა მოდგმის თვალგადასაწვდენ ისტორიაში ყველა საუკუნეს თავის „სატრაბახო“, ერთმანეთისგან გამორჩეულად განსხვავებული მიგნებები აქვს. გამონაკლისი, ცხადია, არც მეცხრამეტე, არც მეოცე საუკუნე ყოფილა, როცა, ამერიკის შედარებით ახლად შექმნილ შეერთებულ შტატებს, ევროპელ ემიგრანტთა დიდად მოზღვავებული ტალღა მიადგა. მათ შორის იყვნენ იმ სატელევიზიო ფილმის გმირები, რომლის დახურული ჩვენება 17 სექტემბერს სასტუმრო „რუმს თბილისში“ ერთობლივად გამართეს საქართველოში ერთ-ერთმა მოწინავე საკომუნიკაციო სფეროს კომპანია მაგთიკომმა და უაღრესად საინტერესო, შემეცნებით ტელეარხ დისქავერის რუსეთულმა წარმომადგენლობამ. მანამდე კი თბილისის ქუჩებში საზეიმოდ ჩაიარა ჩოპერების კოლონამ.

მასპინძელმა დამსწრეთ საქვეყოდ ცნობილი კომპანიის „ჰარლი და ძმები დევიდსონების“ ფირმის ისტორია წარუდგინეს, რომელთა წინაპრები მეცხრამეტე საუკუნეში ევროპიდან ამერიკაში გადასახლდნენ. ფილმის შინაარსის მოყოლას არ შევუდგები, ვინაიდან მისი ჩვენება ტელეარხ დისქავერის მაყურებლებს 18 სექტემბრიდან მოყოლებული თავადვე შეეძლოთ. თუმცა კი აუცილებლად უნდა აღინიშნოს ის პატივისცემა დამსწრე საზოგადოების მიმართ, რომელიც ტელეარხ დისქავერის საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერმა **ანა კოვალსკაიამ** გამოხატა. მან, კერძოდ, აღნიშნა, რომ საქართველოში ფილმის წარდგენამდე, მისი ჩვენება უკრაინაში, ყაზახეთსა და ამერიკის შეერთებულ შტატებში გაიმართა, სადაც მრავალმილიონიანი აუდიტორიის დიდი მოწონება ხვდა წილად.

ფილმ „ჰარლი და ძმები დევიდსონების“ სასტუმრო „რუმს თბილისში“ ჩვენებას ქალბატონი ანა კოვალსკაია სამსახურებრივ მივლინებაში ყოფნის გამო ვერ დაესწრო, მაგრამ დამსწრეთ მეტად გულთბილი სიტყვით ეკრანიდან მიმართა. მან, კერძოდ, საკუთარი გულთბილი დამოკიდებულება გამოხატა ჩვენი ქვეყნის, დედაქალაქის მიმართ, განსაკუთრებით აღნიშნა, რომ ტელეარხ დისქავერისა და კომპანია მაგთიკომს უაღრესად კარგი საქმიანი ურთიერთობა აქვთ, ხაზი გაუსვა იმასაც, რომ საქართველო მათთვის მეტად მიმზიდველი მხარეა. ქალბატონმა ანა კოვალსკაიამ ყურადღება იმაზეც გაამახვილა, რომ ტელეარხ დისქავერის, მაგთიკომის მაუწყებლობის მეშვეობით, საქართველოში მრავალათასიანი მაყურებელი ჰყავს, ასევე მომავალში, მაუწყებლობის უახლესი ტექნოლოგიების გამოყენებით, განსახორციელებელი პროექტების თაობაზე ილაპარაკა.

„ჰარლი-დევიდსონი“ არა მხოლოდ მოტოციკლია, არამედ ცხოვრების სტილი და კულტურის მიმართულება, ხოლო ზოგიერთებისათვის — თითქმის რელიგია. სერიალი გვიამბობს, თუ როგორ იქმნებოდა ეს კულტი და მაყურებელს საინტერესო მოგზაურობაში იწვევს, რომელიც XX საუკუნის გარიჟრაჟზე დაიწყო ამერიკის ქალაქ მილუოკის ერთ შეუმჩნეველ ავტოფარეხში. გიგანტური მოტოკორპორაციის დამფუძნებლები — უილიამ ჰარლი, ართურ დევიდსონი და მისი ორი ძმა — უოლტერი და უილიამი — იმხანად ოცი წლისანი, ენთუზიაზმით სავსენი იყვნენ და გრანდიოზულ გეგმებს აწყობდნენ, რომლებმაც იმაზე უფრო დიდი გაქანებით შეისხა ხორცი, ვიდრე მათ შეეძლოთ ევარაუდათ.

ფილმ „ჰარლი და ძმები დევიდსონების“ ნახვა ტელეარხ დისქავერისა და, მით უმეტეს, მაგთის მაყურებელს როგორც ზემოთ აღვნიშნე, გასული კვირიდან მოყოლებული რამდენიმე საღამოს განმავლობაში ექნება. ეს არაჩვეულებრივი დინამიზმით გადაღებული ამბავი მძლავრი იმპულსი შეიძლება გახდეს ყველა ახალგაზრდა სიახლის მძებნელი კაცისთვის, ვისაც საკუთარი შემოქმედებითი ნიჭის გამოსავლენად — რომელ სფეროშიც გნებავთ! — სასტარტო სახსრები არ გააჩნია. ვფიქრობ, არ შევცდები, თუ ვიტყვი, რომ ყველაფერი თუ არა, უამრავი რამ მაინც იდეისადმი ერთგულებასა და, უწინარესად, როგორც საკუთარ, ისე თანამოაზრეთა რუდუნებაზეა დამოკიდებული.

**ოთარ ტურაბელიძე**







## ფრანგული „ფიგარო“ საქართველოზე სტატიას ამზადებს

**საფრანგეთში სიდიდით მეორე გამოცემის ჟურნალისტები საქართველოში ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის მოწვევით იმყოფებიან.**

პრესტურის ფარგლებში ფრანგმა ჟურნალისტებმა ერთი კვირის განმავლობაში მოინახულეს კახეთი, ყაზბეგი, ბორჯომი, ვარძია, ახალციხე და თბილისი. გაეცნენ ღვინის დამზადების ტრადიციულ მეთოდებს. ჟურნალისტებს თბილისში ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა გიორგი ჩოგოვაძემ უმასპინძლა. საქართველოს შესახებ სტატია „ფიგარო“-ში 2017 წლის გაზაფხულზე დაიბეჭდება. „ფიგარო“-ს ტირაჟი საფრანგეთში დაახლოებით 400 ათასს შეადგენს. ხოლო ონლაინგამოცემას თვეში დაახლოებით 31 მილიონი ინტერნეტმომხმარებელი ჰყავს.



## თბილისში „ბლუმბერგის“ ლაბორატორია გაიხსნება

**აღმოსავლეთ ევროპაში თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი მეორე იქნება, სადაც „ბლუმბერგის“ ლაბორატორია გაიხსნება.**

ინფორმაცია ამის შესახებ ჟურნალისტებს ეკონომიკის საკითხებში ექსპერტმა ემზარ ჯგერენაიამ გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე მიაწოდა.

„ბლუმბერგის“ ლაბორატორიას თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში თავად ემზარ ჯგერენაია უხელმძღვანელებს.

მისი თქმით, კომპანია „ბლუმბერგმა“ მსოფლიო წამყვანი უნივერსიტეტებისთვის შექმნა სპეციალური პროგრამა, რომელიც დანერგილია ლონდონისა და ამერიკის წამყვან უნივერსიტეტებში.

**„აღმოსავლეთ ევროპაში მსგავსი პროგრამა გახსნილია მხოლოდ კაუნასში, მეორე იქნება თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. ამით თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რეიტინგი საკმაოდ მაღლა აიწევს იმის გამო, რომ ის სტუდენტებს შესთავაზებს საკმაოდ სრულყოფილ, დახვეწილ და ძვირად ღირებულ განათლების სისტემას“,** — განაცხადა ემზარ ჯგერენაიამ.

## სიახლე მედიცინაში

**მეცნიერებმა მეტალის ნანოთევზი შექმნეს, რომელსაც სხეულის ძნელად მისაღწევ ნაწილში წამლის შეტანა შეუძლია. აღნიშნულის შესახებ ინფორმაციას National Geographic ავრცელებს.**

ირკვევა, რომ ნანოთევზი ქვიშის მარცვალზე 100-ჯერ პატარაა და ის ოქროს, ვერცხლის და ნიკელისგანაა შექმნილი ნანოთევზი, რომელსაც სხეულის ამა თუ იმ ნაწილში წამლის შეტანა შეუძლია, კალიფორნიის უნივერსიტეტში შეიქმნა და ახლა მედიცინაში მისი დატესტვა მიმდინარეობს. მის შემქმნელებს იმედი აქვთ, ნანოთევზი ჯანდაცვაში წინ გადადგმული ნაბიჯი იქნება და ის პაციენტებსა და თავად ექიმებს დიდ სარგებელს მოუტანს.

ნანოთევზის სხეულში გადაადგილება მაგნიტის მეშვეობითაა შესაძლებელი. მიუხედავად იმისა, რომ ნანოთევზის ტესტირება მიმდინარეობს, ჯერჯერობით გადაწყვეტილი არ არის, თუ როგორ გამოიდევნება ის სხეულიდან, მას შემდეგ რაც თევზი თავის ფუნქციას შეასრულებს.

## კომპანია FIEGE-ში რობოტები იმუშავებენ

**მსოფლიოს უმსხვილესმა ლოჯისტიკურმა კომპანია Fiege-მა, რომელსაც 1,4 მილიარდევროიანი ბრუნვა აქვს, 3 რობოტზე შეკვეთა გააკეთა, რომელიც ძირითადად საწყობში იმუშავებს. თავად TORU Cube-ს გერმანული კომპანია Magazino ამზადებს, რომლის მფლობელიც კორპორაცია Siemens-ია.**



სამუშაოებს რობოტები WLAN-ის შედეგად მიღებული ბრძანების მიხედვით შეასრულებენ. მათ ერთდროულად 6-8 ყუთის გადატანა შეუძლიათ. რობოტს მასში ჩამონტაჟებული მეხსიერების ბარათის მიხედვით, გზის დამახსოვრება შეეძლებათ.



# ნაციონალური გზანი წინასაარჩევნო წამებისანი

**ბოლო წლების განმავლობაში გარკვეული შიდაპარტიული დაპირისპირებისა და დანაკარგების მიუხედავად, ენმ-მ შეინარჩუნა ორგანიზებულობა, სიმყარე და ვერტიკალი, თუმცა ამაში საკმაო ფასიც გადაიხადა: 2016 წლის გაზაფხულზე ნაციონალური მოძრაობა მისმა აქტიურმა წევრებმა - ზურაბ ჯაფარიძემ, პავლე კუბლაშვილმა, გოგა ხაჩიძემ და გიორგი მელაძემ დატოვეს.**

მოგვიანებით, მათ გურამ ჩალაგაშვილი (სემეკის ყოფილი თავმჯდომარე, რომელიც ნაციონალურ მოძრაობის წევრი 2013 წლის შემდეგ გახდა) და ნაციონალური მოძრაობის ერთ-ერთი რეფორმატორი და ახალი პოლიტიკის „ვარსკვლავბიჭუნა“ გიორგი ვაშაძეც შეუერთდნენ. სხვათა შორის, ამ უკანასკნელზე პარტიაში დიდ იმედებსაც ამყარებდნენ, თუმცა რთული სალტო-მორტალეს შემდეგ ის პოლიტიკას „შეწირული“ ბანის, პაატა ბურჭულაძის მოძრაობის – „სახელმწიფო ხალხისათვის“ წევრი გახდა და როგორც ტრადიცია მოითხოვს, მაშინვე არაალერსიანად გათათხა ყოფილი თანაგუნდელები:

„ვფიქრობ, რომ ყველაზე პროფესიონალებმა დატოვეს ნაციონალური მოძრაობა – სწორედ იმ ადამიანებმა და მათ შორის მეც, ვინც მართლა ვცდილობდით ნაციონალური მოძრაობის რეფორმირებას, ცვლილებებს, ვისაც განახლების სურვილი გვქონდა. ნაციონალურ მოძრაობაში დარჩნენ ადამიანები, რომლებსაც არავითარი საერთო არა აქვთ ცვლილებებსა და განახლებასთან“. ასე რომ, ბატონი გიორგი ვაშაძე ახლა სულ სხვა ოპერიდან მღერის არიებს, რომელიც ცალკე საუბრის თემაა.

თუ როგორ შეეყრება სამშობლო ბრძოლის ჟინით ანთებულ და განახლებულ ენმ-ს, ან განდევნილ და „თამაშგარე მდგომარეობაში“ დარჩენილ მიხეილ სააკაშვილს, ცხადია, არჩევნების შედეგებზეა დამოკიდებული. ნაციონალების პარტიულ-საარჩევნო სია არც ისე ახალია, რომ ძველი ფიზიკური თუ ფსიქოლოგიური „ტრავმები“ არ გაგახსენდეთ და არც ისე ძველი, რომ განახლებისა და განვითარების სურვილი ბოლომდე წაგიხდეთ. პირველი ათეული, უფრო ზუსტად, თერთმეტეული ასე გამოიყურება: დავით ბაქრაძე, სანდა რულოვსი, ელენე ხოშტარია, რომან გოცირიძე, ნიკა მელია, გიორგი ტუღუში, ოთარ კახიძე, სალომე სამადაშვილი, ირაკლი აბესაძე, სერგი კაპანაძე, სერგო რატიანი...

სიას ბრძოლებში გამობრძმედილი, მძიმე არტილერია ხსნის – დავით ბაქრაძე, რომელსაც მხარდამჭერები მშვიდსა და გაწონასწორებულს უწოდებენ, ხოლო ოპონენტები ასე მოიხსენიებენ – არც ძმარი, არც წყალი! მოულოდნელიც და დამაინტრიგებელიც იყო ქალბატონ სანდრა რულოვსის გამოჩენა პარტიულ სიაში, რომელმაც ნაციონალების ახალი იკონა თუ ხატი – ელენე ხოშტარია, მესამე „საპრიზო“ ადგილზე ჩააჩოჩა. თუმცა ერთდროულად სამშობლოსა და მეუღლის იმიჯზე ზრუნვა, ბევრად მეტი ღირს, ვიდრე სიის ნომერი. მით უმეტეს, როდესაც ელენე ხოშტარიას ვაკის მაჟორიტარულ ოლქში მოგების შანსი აქვს. თითქმის უცნაურია, რომ პარტიულ სიაში გიგა ბოკერია მეთექვმეტეა, გიგი წერეთელი – ოცდამერვე, ხოლო დავით დარჩიაშვილი – ორმოცდამეოთხე. მაგრამ მოდით, ესეც პარტიული ბრძოლის ტაქტიკურ მეთოდებს მივაწეროთ.

განახლებული ენმ-ს პროგრამა რამდენიმე თვალისმიმჭრელ, კარგად მოფიქრებულ სატყუარას პირდება ამომრჩეველს. მაგალითად, ბიუროკრატიისა და მასზე გაწეული ხარჯის შემცირებას; ზედმეტ რეგულაციებზე უარის თქმას; ბიზნესისა და ინვესტიციების დაცულობას; 2017 წელს საშემოსავლო გადასახადის 15 %-მდე შემცირებას, ხოლო მომდევნო ოთხი წლის განმავლობაში - 10%-მდე. ამის შედეგად, ბიზნესს ინვესტორებისა და სამუშაო ადგილების შესაქმნელად მეტი ფული დარჩება, რასაც დასაქმებულთათვის ხელფასის გასაზრდელად გამოიყენებს.

მოკლედ, ძველი ნაციონალური სლოგანის ენაზე რომ ვთარგმნოთ – დასაქმება ლაპარაკის ნაცვლად! გარდა ამისა, ნაციონალური მოძრაობის ეკონომიკური პროგრამა წელიწადში 45 ათასი ახალი სამუშაო ადგილის შექმნას, ანუ დაახლოებთ 150 ათასი ოჯახის კეთილდღეობის გაუმჯობესებას ითვალისწინებს. მომდევნო წლებში კი ბიზნესისთვის და მოქალაქეებისთვის დამატებითი სახსრების დატოვების შედეგად, ყოველწლიურად კიდევ 30 ათასი დამატებითი სამუშაო ადგილი შეიქმნება.

არჩევნებში გამარჯვების შემთხვევაში, ენმ 2017 წლიდან სახელწიფო პენსიებს 50 ლარით გაზრდის, რომელსაც როგორც თავად პენსიონერები, ისე მკვეთრად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირები მიიღებენ; ხოლო საარსებო შემწეობა სათანადო კრიტერიუმების შემთხვევაში, ყველა ოჯახს აღუდგება. ენმ არც ახალგაზრდებს დაწყვეტს გულს და ახალ თაობას ევროპული განათლების მიღების შესაძლებლობას თავაზობს. ახალგაზრდები არა მარტო უვიზოდ იმოგზაურებენ ევროკავშირის ქვეყნებში (თითქოს ესეც ენმ-ს პრეროგატივა იყოს), არამედ ლეგალურად მოიძიებენ სამსახურს ევროპის ყველაზე კონკურენტუნარიან გარემოში, მიიღებენ განათლებას ევროპულ უნივერსიტეტებში, საქმიან ურთიერთობებს აწარმოებენ ევროპაში და ა. შ. ამას დავუმატოთ, ნარკოპოლიტიკის ლიბერალიზაციით სპეკულირება და წინასაარჩევნო დაპირება უფრო ხატოვანი გახდება.

ცხადია, წინასაარჩევნოდ „რძის მდინარეების“ შესახებ იგავებს ამომრჩეველი კიდევ ბევრი პარტიებისგან მოისმენს, მაგრამ სულ სხვაა, როცა ამას გამოსწორებისა და რეფორმების გზაზე მეორედ (თუ მესამედ) შემდგარი ყოფილი მმართველი პარტია აკეთებს.

მაგრამ რა თვითგანწმენდის ფორმებსაც უნდა მიმართავდეს ნაციონალური მოძრაობა, რა კეთილშობილურიც უნდა იყოს მისი პოლიტიკური ზრახვები და მომნუსხავი – სოციალური თერაპიის ფორმა, ამომრჩეველს მაინც გაახსენდება სისტემური დანაშაული თუ სისტემური კრიზისი; 2008 წლის სამარცხვინოდ წაგებული ომის ექო თუ წამებანი ციხეებში; მიტინგების სასტიკი დარბევა თუ კაბინეტური მმართველობა; დახურულ კარს მიღმა, სამი-ოთხი ადამიანის მიერ მიღებული ანტიჰუმანური გადაწყვეტილებები თუ სოციოპათიის ის დოზა, რაც თავის დროზე ნაციონალურმა მოძრაობამ მართლაც შთამბეჭდავ რეფორმებს შესწირა.

და მაინც, ყველაზე საშიში, დამანგრეველი და შემაფერხებელი საზოგადოებისთვის არის წარსულ დრამებზე მუდმივი წუხილი და ზოგადად, წარსულზე ჩამოკიდება – ანუ „ფიქსირებული ტრავმები“, როგორც ფსიქოლოგები ამბობენ. საზოგადოების წინსვლისა და განვითარებისთვის აუცილებელია მომავალზე ორიენტირებული საქმე, პოზიტიური განწყობა, საქმის ხელახლა წამოწყება, სიახლის ვნება და ენერგია... რეალურად ეს ქმნის სახელმწიფოებრიობისა და მოქალაქეობის განცდას. ნაციონალური მოძრაობა ცდილობს, სწორედ მომავალზე აიღოს ორიენტირი და ასეთ პროგრამას სთავაზობს ამომრჩეველს. სხვა საქმეა, რამდენად სარწმუნოა წინასაარჩევნო „გზანი წამებისანი“.

**დავით ბუხრიკიძე**

# ნუ მოვჭრით იმ ტოტს, რომელზეც ვსხედვართ

## ეკოლოგები 13 ივნისის სტიქიის შესაძლო განმეორებაზე საუბრობენ

**ეკოლოგია მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე აქტუალური საკითხია, რომელიც ყოველთვის ყურადღების ცენტრშია. ეკოლოგების აზრით, დღეს მიწა, წყალი, ფლორა და ფაუნა დაუცველია. რაც უფრო სწრაფად ვითარდება მეცნიერება და ტექნიკა, მით უფრო მრავალფეროვანი ხდება ტყის გამოყენება. ძნელია, დავასახელოთ სახალხო მეურნეობის ისეთი დარგი, სადაც არ იყენებენ მერქანს ან ტყის პროდუქტებს. ეს მნიშვნელოვანი სიმდიდრე უმოწყალოდ იჩეხება ბორჯომში, სვანეთში, რაჭაში და ქვეყნის თითქმის ყველა კუთხეში, მათ შორის დედაქალაქში.**

ბუნებრივ სიმდიდრეთა დაცვის თვალსაზრისით საქართველოში ყველაზე მნიშვნელოვანია ტყე, რადგან მას დიდი ადგილი უკავია როგორც ადამიანის ცხოვრებაში, ისე მატერიალური დოვლათის შექმნაში. ძალიან დიდი პრობლემაა ეროზია, რომელიც ნიადაგის ზედა ფენების დაშლას გულისხმობს. კერძოდ, ჩამორეცხვას, დაღარვას, დახრამვას წყლისა და ქარის მოქმედებით. ეროზიას უდიდესი ზიანი მოაქვს. ტყის განადგურებითა და ხეების მასობრივი მოჭრით ის გლობალური კატასტროფები იწყება რაც ბოლო წლებში, როგორც დასავლეთ, ისე აღმოსავლეთ საქართველოში მოვარდნილმა ღვარცოფებმა, მეწყერმა და წყლის მოვარდნამ გამოიწვია: დაანგრია სახლები, წალეკა ბაღ-ვენახები, მინდვრები და იმსხვერპლა ხალხი.

**ხე-ტყის გაჩეხვაზე საუბრისას შეუძლებელია ყურადღება ერთი წლის წინათ თბილისში მომხდარ კატასტორფაზე არ გავამახვილოთ. გეოლოგების აზრით, 13 ივნისის წყალდიდობის ერთ-ერთ მთავარ გამომწვევ მიზეზად ადამიანის მოქმედებით დეგრადირებული ტყის საფარი ითვლება, საფარმა წყალშემკავებელი ფუნქცია თითქმის მთლიანად დაკარგა. ტყის საფარის დაზიანებამ და ვერეს კალაპოტის ბოლო მონაკვეთზე არასწორად წარმართულმა სამეურნეო სამუშაოებმა, ასევე რამდენიმესაათიანმა გადაუღებელმა წვიმამ მდინარის ადიდება და შემდგომი კატასტროფა გამოიწვია.**

**ქალაქში ხეების მოჭრამ ბოლო პერიოდში დიდი ვნებათაღელვა გამოიწვია. ერთი თვის წინათ თბილისში, ყაზბეგის გამზირზე 45 წიწვოვანი ხე მოჭრეს. როგორც მაშინ ეკოლოგიის სამსახურის უფროსმა ნინო სულხანიშვილმა განაცხადა, ის მისი და მისი სამსახურის შეცდომას ვერ ხედავდა. სულხანიშვილის თქმით, დასკვნის მიხედვით, 68 დან 45 ხეზე, რომელიც დაავადებული, ამორტიზებული და ზეხმელი იყო, მოჭრის ნებართვა სამსახურმა გასცა. მერია მხოლოდ დაზიანებული ხეების გაჩეხვას ადასტურებდა, თუმცა საპირისპიროს ამტკიცებდნენ ყაზბეგის ქუჩის მცხოვრებლები და უფლებადამცველები.**

ზემოთ აღნიშნულ თემებზე საუბრისას „კომერსანტის“ მიერ გამოკითხული ეკოლოგები ერთხმად აღიარებენ, რომ ადამიანის მიერ უფრო მეტი ხე ზიანდება, ვიდრე ეს ბუნებრივი გზით ხდება.

ეკოლოგი **ალექსანდრე გავაშელიშვილი** მიიჩნევს, რომ ტყეების გაჩეხვის თვალსაზრისით ქვეყანაში სიტუაცია არ შეცლილა და ამ კუთხით პროცესები ისე მიმდინარეობს, როგორც ეს მრავალი წლის განმავლობაში იყო.

„მწვანეთა მოძრაობის“ თავმჯდომარის **ნინო ჩხობაძის** განცხადებით, ბევრი ტერიტორია იყო ისეთი, სადაც ხე-ტყის ჭრა წარსულში მიმდინარეობდა და ის ახლა დაფიქსირდა. ჩხობაძის აზრით, ხეების მოჭრა განსაკუთრებით წვიმების სეზონზე არ შეიძლება, რადგან ფერდობები დაუცველი დარჩება.

**„ძნელია იმის თქმა, არის თუ არა გახშირებული ხეების მოჭრა, რადგან ჩვენ ოფიციალური სტატისტიკა ამასთან დაკავშირებით ხელთ არ გვაქვს. ზოგ ადგილზე, ჩვენთვის გაუგებარი მიზეზების გამო, ისეთი პროცესებია დაწყებული, რომელიც წესით არ უნდა იყოს. ზოგადად, თუ ქალაქზე ვისაუბრებთ, მას თავისი სპეციფიკა აქვს. ქალაქი ტყე არ არის. არ შეიძლება შეფასებები ქალაქში ბოლო პერიოდში მომხდარ ფაქტებთან დაკავშირებით მეტყევეებმა აკეთონ, ამიტომ ქალაქის ურბანულ გამწვანებას სხვა უნდა ხელმძღვანელობდეს,** – აღნიშნა ჩხობაძემ.

როგორც ეკოლოგები განმარტავენ, ხე-ტყის გაჩეხვასთან დაკავშირებით მოსახლეობის ცნობიერების ამაღლებაც უნდა მოხდეს, რადგან ხშირად მათ ჰგონიათ, რომ თუ ხეს მოჭრიან, ამით არაფერი დაშავდება. თუმცა ნათლად ჩანს ის მოსალოდნელი კატასტროფები, რაც შესაძლოა ხე-ტყის გაჩეხვამ გამოიწვიოს.

**კობა ნადირაძე,**
„კომერსანტი“



**მის სტილს ზოგადად ისედაც ახასიათებდა პოეტურობა.**

როდესაც კითხულობ მის ბიოგრაფიულ რომანებს, ესეებსა თუ დოკუმენტურ ნოველებს, ყოველთვის გხვდება პასაჟები, რომლებიც უთუოდ მოგაგონებენ თეთრ ლექსებს, რადგან მათი ავტორისათვის ბუნებრივია ესთეტიზმიც, სამყაროს მეტაფორული აღქმაც და რიტმის შეგრძნებაც. ამიტომ იქნებ ბევრს არც გაჰკვირვებია **როსტომ ჩხეიძის** მინიატიურების კრებულის გამოცემა სათაურით „მზის საფეხურები“, რომლის წარდგინებაც **ალექსანდრე ორბელიანის საზოგადოების** — იმავე ჟურნალ **„ჩვენი მწერლობის“** — თაოსნობით ქართული ლიტერატურის ინსტიტუტში გაიმართა.

წიგნის ქვესათაური — **ლექსები პროზად** — თავშივე მიგანიშნებთ, რომ ლექსებისა და პროზის გასაყარზე მიმოიქცევა ეს თხზულებანი — პროზისა და პოეზიის, რომელთა გადაკვეთის საიდუმლოსაც შარლ ბოდლერთან ერთად არაერთი ქართველი მწერალიც ეძებდა ვაჟა-ფშაველადან და შიო არაგვისპირელიდან მოკიდებული... მათ შორისაა ამ კრებულის ავტორიც, უცნაური ხედვითა თუ მისტიკური პარადოქსებით, წარმოსახვისა და რეალობის ზღვარზე მოქანავე ლირიკული გმირებით, მსოფლიო ლიტერატურის პერსონაჟებსაც რომ ენათესავებიან. თითქოს ერთმანეთზე დატანილი პალიმფსესტური შრეებიდან გამოიხმობენ ეკზიუპერის პატარა უფლისწულსა თუ უიტმენის ლირიკულ გმირებს, ვაჟას მინდიას, სერვანტესის დონ კიხოტს, რუსთაველის ავთანდილს ან სულაც გიორგი ლეონიძის პერსონაჟებს — ხან სიტყვით, ხან ხმით, ხან სურნელითა თუ სულიერი ანარეკლებით...

შეხვედრის წამყვანის **მაია ჯალიაშვილის** თქმით — ვისი მცირე, მაგრამ ტევადი ბოლოსიტყვაობაც ერთვის წიგნს — როსტომ ჩხეიძისათვის მთავარი სიტყვაა, იგივე ლოგოსი, ღმერთი, რომელიც ამ ლექსების ციკლში სულ სხვა ფერითა და სხივით აელვარდება. ქვეტექსტებში კი შეფარულად იგულისხმება ადამიანის სულიერი განვითარების გზა, ადამიანისა, რომელიც თითოეულ მინიატიურაში ავტორის სხვადასხვა ალტერ ეგოდ გვევლინება და ყველა შემთხვევაში ცისკენ, ღმერთისკენ მიისწრაფის მზის საფეხურების გავლით.

აი, მზე კი... როგორც ძალზე მნიშვნელოვანი სიმბოლო, ქართულ პოეზიასა და ზოგადად ქრისტიანულ ღვთისმეტყველებაში დამკვიდრებული — ფილოსოფიური, რელიგიური, მითოსური თუ სხვა ასპექტებით, როსტომ ჩხეიძის ამ პატარა კრებულში სხვა ძალით აბრდღვიალდება. ამ ელვარებაშია გახვეული წიგნის ყდაც, ახალგაზრდა მხატვრის **ირაკლი ჩიქოვანის** მიერ დახვეწილი გემოვნებითა და ღრმა გააზრებით შექმნილი, მინიატიურებისათვის დართული ნახატები კი ხელშესახებად აცოცხლებს ავტორის განცდებსაც და მეხსიერებაში ჩარჩენილ სურათხატებსაც, რითაც დამატებით მუხტს სძენს კრებულს.

ამ სამყაროში **ეთერ თათარაიძის** წინასიტყვაობა შეგიძღვებათ, ავტორისათვის ჩვეული მადლიანი და ძარღვიანი ქართულით:

„ახლა უკვე აღარ მესხვარიგება როსტომ ჩხეიძის ლექსები პროზად, მისი პროზა ჩემთვის სულ პოეზია იყო და იქნება. ის კი მართლა მიკვირს, რას არ შეინახავს ადამიანის გულ-გვამი, რას არ აქცევს ნიჭიერი ადამიანი სხვისი გამოფიტული გულ-გრძნობისათვის ძალზედ ღირსეულ-ღირებულად და ფასდაუდებლად. მაშ სხვა რაა თუნდაც სიტყვის შინაარსი, „მეხდაცემული ამბები“ რომ დაურქმევია, ყველა ის ნიმუში, რომელიც იმ „ფულუროში“ სიყრმიდან აუყრ-ჩაუყრია, სიდიდემდე რომ მოჰყოლია და ახლაც ვერ დახსნია უსუფთავეს განცდებს“.

რა ამბები დამეხილა და რომელი მუხა დაუნაფოტებია დელგმას, ამას მკითხველი თვითონ „იხილავს“ მწერლის მიერ ემოციურად გაცოცხლებული სურათებით. ავტორი მათ იმ „ფულუროშიც“ შეახედებს, სულის ღრმა ფენები რომ წაჰფარვია და ასეთი შთამბეჭდავი აღმოჩენილა შეკრებილთათვის, მათ შორის: **მიხეილ ანთაძის, გიგლა ბარამიძის, დალილა ბედიანიძის, კონსტანტინე (უმცროსი) გამსახურდიას, ნინო ქუთათელაძის, თემურ ნადარეიშვილის, ზაზა აბზიანიძის, ლევან ბრეგაძისა** და **იკა ქადაგიძისთვის,** თავიანთი შთაბეჭდილებანი თავყრილობის მონაწილეთაც რომ გაუზიარეს.

გამორჩეული მუხტი შესძინა შეხვედრას **გიორგი ლობჟანიძის** მოხსენებამაც, ვინც ჩვეული კრიტიკულ-ესთეტიკური ხელოვნებით მიმოიხილა კრებული და საგულისხმო პასაჟებიც გადაუშალა შეკრებილებს ხელისგულზე. აი, ამონარიდებიც ამ მოხსენებიდან:

„როსტომ ჩხეიძისაგან ნეტავ კიდევ რა ლიტერატურულმა გმირობამ უნდა გააკვირვოს ადამიანი, რა უნდა იყოს ისეთი, მისი მადლიანი ხელიდან და გონებიდან არ გამოვიდეს, მაგრამ თავიდან, როცა ამ პატარა წიგნის შესახებ გავიგე, ცოტათი შევცბუნდი:

„ლექსები პროზად?“ — ეგ რაღაა, რაღა დროსია?

ხომ ვიცით დიდი ფრანგი პოეტის ლექსები პროზად, ქართულად შესანიშნავად ამეტყველებული არაერთი მთარგმნელის მიერ, ამ თარგმანებს შორის რომ მაინც ყველას ზვიად გამსახურდიას თარგმნილს ვამჯობინებ, შეიძლება სულაც იმიტომ, რომ პირველად სწორედ გამსახურდიას თარგმანი წავიკითხე, თორემ ისე არც სხვები დაუვარდებიან, მაგალითად სულ ბოლოს მარინე ჭილაშვილის თარგმნილი სრული წიგნი.

ან რაღას ნიშნავს დღევანდელ დღეს ლექსები პროზად?

თავის დროზე ფრანგული სიმბოლიზმის მამამ ამ სათაურით ლიტერატურული ჟანრების საზღვართა ერთმანეთში გათქვეფაზეც მიანიშნა, იმაზე, რომ ჟანრი პირობითია და შეუძლებელია პოეზია ან ლექსში ან პროზაში მოვათავსოთ, მიჯნები დავუდოთ და წინასწარ შექმნილი კანონების გისოსებში გამოვამწყვდიოთ.




# მზე ამ კრებულში სხვა ძალით ბრდღვიალებს

## როსტომ ჩხეიძის ლექსები პროზად

ცხადია, მიხვდებოდით, რომ მთელ ამ მსჯელობაში სრულებითაც არ ვგულისხმობ პროზა-პოეზიის განმასხვავებელ ფორმალურ ნიშნებს. აქ სიღრმისეულ მიმართებებზეა ლაპარაკი, თორემ დიდი ხანია, გადაიარა იმ დრომ, როცა ლექსი მხოლოდ რიტმულად ორგანიზებული გარითმული მონაკვეთების მთლიანობად წარმოედგინათ და სხვა დანარჩენს, ყველაფერს, რაც ამ მარკერთა მიღმა იდგა, პოეზიის სამფლობელოს გარეთაც აძევებდნენ.

ასეთმა დამოკიდებულებამაც შვა მეოცე საუკუნის ქართული ლიტერატურული გარემოს თანამდევი ზეპირსიტყვიერების ერთი ნიმუში, რომლის გმირებადაც ეს ფოლკლორული ტრადიცია ხან რომელ და ხანაც რომელ მწერალს ასახელებს.

ვგულისხმობ ამბავს, როცა ერთ პოეტს უთქვამს ერთი მწერლისათვის, ბოლო ხანს პროზის წერა დავიწყეო. პროზაიკოსს მიუგია: კი დიდი ხანია, გატყობდი მაგ ამბავსო, და როცა პოეტს უკითხავს, რაზე მატყობდიო, ლაკონიურად უპასუხია: რაზე და ლექსებზეო!

და აი, ბოლოს და ბოლოს, ბევრი რომ აღარ გავაგრძელო, მეც დიდი ხანია, ვატყობდი როსტომ ჩხეიძეს, რომ ბოლოს და ბოლოს ლექსებამდეც მივიდოდა, ოღონდ იმისათვის რომ ავხსნა, რაზე ვატყობდი, ალბათ, არც მთლად ლაკონიური პასუხი გამომივა:

საერთოდ ლექსის ცოდნას ბევრი იჩემებს, მაგრამ შემიმჩნევია, რომ თვით აღიარებულ ლიტერატორებსაც კი უჭირთ ნამდვილი პოეზიის დანახვა და აღმოჩენა. მათი გული დახურულია და ცოდნა თუ აქვთ, პირადი გამოცდილება მაინც აღარ ჰყოფნით ხოლმე, რომ პოეტის ნაწერებში პოეზიის ჭეშმარიტი ბრწყინვა მოიხელთონ.

კრიტიკოსი როსტომ ჩხეიძე კი ის ბედნიერი გამონაკლისია, რომელიც ზუსტად გრძნობს, სად ფეთქავს პოეზიის ძარღვი და რაც კი განუხილავს, ყველგან დიდი სიხარულით შემიმჩნევია, რომ მისი მსჯელობა სწორედ ამ სიღრმისეულ შეგრძნებებს ეფუძნება, ამ ერთგვარ მეტაფიზიკურ ცოდნას და არა ლიტერატურის თეორიის სქემატურ სქოლასტიკას.

რა თქმა უნდა, თეორიის წინააღმდეგი არც მე ვარ და არც როსტომი, რომელიც ხშირ შემთხვევაში თვითონ წერს ამ თეორიას და ეგებ სწორედ ამიტომ კარგად იცის, რომ სიახლე ვერანაირ სქემაში ვერ თავსდება. სიახლე, როგორც თავისივე სინამდვილიდან ამოზრდილი მცენარე, აუცილებლად გულისხმობს ნიადაგს, მაგრამ საარსებო სივრცეს გარშემო თვითონვე იქმნის და ამ სივრცის შემჩნევას, აღწერას და მერე დახარისხებას ლიტერატურულ კორელატთა ერთიან სისტემაში დიდი განათლება, ზღვა ინფორმაცია და რაც მთავარია, სიღრმისეული ხედვა ესაჭიროება.

ვისაც პოეზიის შესახებ როსტომ ჩხეიძის დაწერილი კრიტიკული სტატიები, ესეები თუ გამოკვლევები წაუკითხავს, ყველა დამეთანხმება, რომ მისი ამ ნაშრომების პოეტურობის ხარისხი არაფრით დაუვარდებოდა იქ განხილული ნიმუშების სიღრმეს და მხატვრულ ოსტატობას. პირიქით, როსტომის ნაწერები იმის დასტურია, რომ კრიტიკა და ლიტერატურისმცოდნეობა შემოქმედების გერი კი არა, ისეთივე ღვიძლი შვილია, როგორც პროზა თუ პოეზია. უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, კრიტიკაც ისეთივე სრულფასოვანი შემოქმედებაა, როგორც ნებისმიერი სხვა ჟანრი ლიტერატურისა.

ხოლო თუ კრიტიკული ნაწერების გარდა, მკითხველი როსტომ ჩხეიძის მიერ გადმოქართულებულ პოეტურ ნიმუშებსაც იცნობს, ვთქვათ, შუა საუკუნეების არაბული პოეზიიდან ბრწყინვალედ თარგმნილ ლექსებს, ან „ბეოვულფის“ ორიგინალური, პავლე ინგოროყვას აღმოჩენილი საზომით გაწყობილ უნიკალურ თარგმანს ძველი ინგლისურიდან, მისთვის უკვე ეჭვგარეშე იქნება, რომ როსტომ ჩხეიძეს, ამ მართლაც მრავალმხრივ მოღვაწეს, ლექსებიც უნდა ეწერა, რომელთა გამოქვეყნებაც უბრალოდ არ ჰქონია განზრახული ანდა თავის პოეტურ ენერგიას ბელეტრისტიკაში „აბანდებდა“.

ამიტომაც წერს ასე თამამად ეთერ თათარაიძე ამ პატარა კრებულის წინასიტყვაობაში: „ახლა უკვე აღარ მესხვარიგება როსტომ ჩხეიძის ლექსები პროზად. მისი პროზა ჩემთვის სულ პოეზია იყო და იქნება“.

მისი ბიოგრაფიული რომანების არაერთი პასაჟი მართლა ნამდვილი პოეზიით სუნთქავს და ზოგ საანთოლოგიო ნიმუშსაც მხატვრულობის ხარისხით ბევრად აღემატება.

ჰოდა, რაღა უნდა ყოფილიყო გასაკვირი იმაში, თუ ბოლოს და ბოლოს ადგა და ცხოვრების განმავლობაში დაწერილი და საქაღალდეებში გაბნეული თავისი პოეტური ნაწერები ერთ წიგნად გაამთლიანა და მკითხველს შესთავაზა.

ოღონდ მთავარი ის არის, რომ როგორც ჩანს, საფუძვლიანად დაუწურავს მთელი ცხოვრების ნაფიქრი და განცდილი, მაქსიმალურად ტევად, საჭირო ფრაზებამდე დაუყვანია, ლამის სახარებისეულ „ჰო-ჰომდე“ და „არა არამდე“; ისე, რომ თვალს ერთი ფრაზიდან მეორეზე ვერსად გულგრილად ვერ გადაატარებ, ყველა სიტყვა გითრევს, თავის თავზე გაჩერებს, გაფიქრებს, გაღელვებს.

და გრძნობ, რომ არ არსებობენ ფუჭი სიტყვები, არსებობს ფუჭი ცხოვრება, რომელიც სიტყვებს შინაარსს აცლის, თორემ თუ ადამიანი სწორად ცხოვრობს, მაშინ ყველა მისი სიტყვა თავის ადგილას ზის, სათანადო სიღრმე და გრძნობაშენარჩუნებული.

საქართველოს ისტორიულად უამრავი ხერხი აქვს თავისი უკეთესი შვილების დასაძირად. ერთ-ერთი ასეთი ხერხი საკუთარ თაობაში გამორჩეულ, მშრომელ მოღვაწეთა მისამართით თანამედროვეთა ქირქილია: „რა ამბავია, რამდენს წერს!“

ჩემზეც მომწვდენია ასეთი ქირქილი და როსტომზე ხომ მსმენია და მსმენია.

პროზაიკოსმა ბევრი თუ არ წერა, მთარგმნელმა ბევრი თუ არ თარგმნა, აბა, რა უნდა აკეთოს, ისე, კაცმა რომ თქვას?! უნდა დადგეს და სხვები, თითებზე ჩამოსათვლელი მშრომელი და ღრმა ადამიანები აქილიკოს!

მაგრამ ახლა მათ საპასუხოდ კი არა, ასეთი ტიპის ქირქილს მხოლოდ ერთადერთი განზრახვით ვიხსენებ:

პოეტური კრებული სწორედაც მომცრო აღნაგობისა უნდა იყოს. წეღან ოქროს მოპოვების ძველი მეთოდი რომ გავიხსენე, ზუსტად ამას ვგულისხმობდი.

როსტომის „მზის ნაფეხურებიც“ ერთი ბეწო წიგნია, მაგრამ რამდენს იტევს ეთერ თათარაიძის მიერ უზუსტესად შეფასებული ეს „პაწია, მაგრამ საიდუმლოებებით დახუნძლული წიგნი!“ პოეზიის ფუნქციაც ხომ ეს არის, ის სწორედ საიდუმლოს წიაღში მიგვიძღვის, ამ წიაღთან გვაშინაურებს, ანუ სიცოცხლესაც გვიადვილებს და სიკვდილსაც“.

**იაკობ აბაშიძე,**
**„მედიანიუსი“**

# ახალი სკოლა ხელვაჩაურის რაიონში

**კიდევ ერთი ახალი სკოლა გაიხსნა ჭარის ერთ-ერთ სოფელში. სასწავლო წლის ახალ სკოლაში დაწყება ზედა ჭარნალის მოსწავლეებს აჭარის მთავრობის თავმჯდომარემ ზურაბ პატარაძემ მიულოცა. სკოლის გახსნას აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის მინისტრი გიორგი თავამაიშვილი, ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის გამგებელი ნადიმ ვარშანიძე, აჭარის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე ავთანდილ ბერიძე და სხვა ოფიციალური პირები ესწრებოდნენ.**

**ზედა ჭარნალში წლების განმავლობაში 100-მდე მოსწავლე ავარიულ, არასტანდარტულ შენობაში სწავლობდა. ახალი სკოლის მშენებლობა 2015 წელს აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მიზნობრივი პროგრამის ფარგლებში დაიწყო. ძველი სკოლის მიმდებარედ აშენდა ახალი, ორსართულიანი, თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი სკოლა შიდა სპორტული დარბაზით. შენობა ადაპტირებულია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მოსწავლებიისთვის. პროექტის მიხედვით კეთილმოეწყო საკლასო ოთახები და სხვა დანიშნულების ფართები. სკოლა აღიჭურვა ახალი სასკოლო ინვენტარით.**

**საჯარო სკოლის მშენებლობისათვის 469 993 ლარი დაიხარჯა. ზედა ჭარნალის საჯარო სკოლაში სწავლობს 71 მოსწავლე, მათ შორის 8 პირველკლასელი. სკოლაში დასაქმებულია 17 პედაგოგი.**

# შეიარაღებულ ნაციონალთა ახალი პროვოკაცია

**„ქართული ოცნების“ აღმასრულებელი მდივანი ირაკლი კობახიძე „ნაციონალური მოძრაობის“ მხრიდან დაგეგმილ კიდევ ერთ პროვოკაციაზე საუბრობს.**



კობახიძე აცხადებს, რომ „ნაციონალური მოძრაობის“ წევრები „ქართული ოცნების“ მაისურებში გადაცმულები, ცეცხლსასროლი იარაღით, საარჩევნო შტაბში მივიდნენ და პროვოკაციის მოწყობა სცადეს.

„ქართული ოცნების“ აღმასრულებელი მდივნის თქმით, **„ნაციონალური მოძრაობის“ წევრებს სურდათ, კამერებით დაეფიქსირებინათ, თითქოს, „ქართული ოცნების“ შტაბში კრიმინალური მიდრეკილების მქონე ადამიანები იკრიბებიან.**

**„ნაციონალური მოძრაობის“ მიერ განხორციელებული მორიგი პროვოკაციის თაობაზე მოგახსენებთ, რომელიც გუშინ, გამთენიისას მოხდა. კერძოდ, „ნაციონალურმა მოძრაობამ“ სცადა პროვოკაციის მოწყობა ჩვენს ერთ-ერთ საარჩევნო შტაბში. „ნაციონალური მოძრაობის“ სამი აქტივისტი შევიდა ჩვენი მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატის ლევან გოგიჩაიშვილის ოფისში.**

**ორ მათგანს ეცვა „ქართული ოცნების“ მაისური და ორივეს ჰქონდა ჩადებული ქამარში პისტოლეტი. შევიდნენ ოფისში, დაიწყეს საუბარი ჩვენს აქტივისტებთან. პროვოკაციის მიზანი ხდებოდა ამ ფაქტის გარედან გადაღება და შემდეგ ტელევიზიის საშუალებით იმის ჩვენება, თითქოს, „ქართული ოცნების“ შტაბებში შეიარაღებული და კრიმინალური მიდრეკილების მქონე ადამიანები იკრიბებიან.**

**ფაქტია რომ „ნაციონალური მოძრაობა“ ვერ ცვლის მოქმედების სტილს, ისინი ძლიერები არიან ბინძური პროვოკაციის მოწყობაში, თუმცა აშკარაა, რომ მათ ამის აღსრულების რესურსი რეალურად აღარ აქვთ.**

**მადლობა მინდა გადავუხადო ჩვენს წევრებს. მათ სათანადო რეაგირება მოახდინეს ამ პროვოკაციაზე, დაუკავშირდნენ სამართალდამცავ ორგანოებს, რის მეშვეობითაც აღიკვეთა პროვოკაცია.**

**ადგილზე მოხდა პირთა იდენტიფიცირება. ერთ-ერთ მათგანს „ნაციონალური მოძრაობის“პარტბილეთი ჰქონდა, რომელიც გაცემულია 2016 წელს. სამივე მათგანი სევდია უგრეხელიძის შტაბის წევრია. სამართლებრივად გაფორმებული ჰქონდათ იარაღი, ანუ არ ვსაუბრობთ იარაღის უკანონო ტარებაზე, საუბარია ბინძურ პროვოკაციაზე“,** – განაცხადა კობახიძემ.

* * *

„ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ საბურთალოს მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატ სევდია უგრეხელიძის განცხადებით, „ქართული ოცნების“ ბრალდებები, თითქოს „ნაციონალური მოძრაობის“ წევრებმა პროვოკაციები მოაწყვეს, სრული აბსურდია.

**„მე, რა თქმა უნდა, ყველა აქტივისტს არ ვიცნობ, მაგრამ ეს შემოგზავნილი წევრები, შტაბიდან დათხოვნილები იყვნენ, რადგან აგენტურაში გამომჟღავნდნენ. სწორედ შტაბიდან გაშვების შემდეგ დაგეგმეს მათ პროვოკაცია და თავს დაესხნენ „ოცნების“ შტაბს. თუმცა ამ დროს მათ „ერთიან ნაციონალურ მოძრაობასთან“ არაფერი აკავშირებდათ. რაც შეეხება მანდატებს, ჩვენთან მარტივად, ელექტრონულადაა გაწევრიანება შესაძლებელი. შესაბამისად, არც მანდატის გაცემაა სირთულესთან დაკავშირებული“,** – განაცხადა სევდია უგრეხელიძემ.

# „ნაწილი დამოკიდებულია დასავლეთზე, ნაწილი ჩრდილოეთზე, ჩვენ ღმერთის ანაბარა ვართ“

„თამაზ მეჭიაური – ერთიანი საქართველოსთვის“ ლიდერის თამაზ მეჭიაურის განცხადებით, მისი პოლიტიკური პარტია მხოლოდ „ღმერთის ანაბარადაა“, გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე მან ასევე აღნიშნა, რომ პარტიისთვის „დაბლოკილია ყველა რეიტინგული მედიასაშუალება, რადგან წარმოადგენენ მხოლოდ პროქართულ ძალას“.

**„პოლიტიკური პარტიების ნაწილი დამოკიდებულია დასავლეთზე, ნაწილი ჩრდილოეთზე, ჩვენ კიდევ ღმერთის ანაბარა ვართ. ჩვენ ამ შემთხვევაში არც ერთი მხრიდან არ ვფინანსდებით. ინტერესი ორივე მხრიდან ჩვენს მიმართ მაინცდამაინც დიდი არ არის, განსაკუთრებით დასავლეთის მხრიდან. იმიტომ, რომ ჩვენ ღიად ვურტყამთ ნატოს, მიგვაჩნია, რომ ნატო არის აბსურდული და შესვლის შემთხვევაშიც კი შეიძლება კატასტროფული შედეგების მომტანი იყოს. გამომდინარე აქედან, მათ ინტერესებში არის, ჩვენ მაქსიმალურად დაგვასუსტონ და არ მოგვცენ ბარიერის გადალახვის საშუალება. ჩრდილოეთის მხრიდან ჩვენს მიმართ ნაკლები ინტერესი გამოიხატება იმით, რომ ჩვენ ვამბობთ, რომ რუსულ ინტერესს ვითვალისწინებთ მხოლოდ იმ დოზით, რა დოზითაც ეს ჩვენი ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის სარგებელს სჭირდება“,** – განაცხადა თამაზ მეჭიაურმა.

# ნარმანია ყაზბეგის გამზირზე ხეების მოჭრასთან დაკავშირებით მიმდინარე გამოძიებაზე საუბრობს

თბილისის მერმა ყაზბეგის გამზირზე ხეების მოჭრასთან დაკავშირებით მიმდინარე გამოძიების საკითხზე ჟურნალისტებთან კომენტარი გააკეთა და განაცხადა, რომ გამოძიებას აქვს თავისი წესები და პროცედურები და იგი ნორმების დაცვით მიმდინარეობს.მისივე თმით, გამოძიების ფარგლებში დაკითხულნი არიან თბილისის მერიის ეკოლოგიის სამსახურის ხელმძღვანელობა.

**„როგორც კი გამოძიება მივა შესაბამის ნიშნულამდე ანუ როცა გამოიკვეთება კონკრეტული საკითხები, რა თქმა უნდა, ეს ინფორმაცია გახდება ღია. ჩვენგან რა ინფორმაციაც იყო საჭირო გამოძიებისთვის, არის წაღებული. დამატებით თუ რაღაც იქნება საჭირო, ისინი მოგვმართავენ. ჩვენ ძალიან აქტიურად ვთანამშრომლობთ გამოძიებასთან. ჩვენს ინტერესშიც შედის, რომ გამოძიება დასრულდეს და ობიექტური ინფორმაცია მივიღოთ იმის შესახებ, იკვეთება თუ არა ვინმეს ბრალეულობა და შემდეგ მივიღოთ შესაბამისი გადაწყვეტილება“,** – განაცხადა ნარმანიამ.

# ახალი სასწავლო წელი სამეთაურო-საშტაბო კოლეჯში

**დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის სამეთაურო-საშტაბო კოლეჯში სასწავლო წელი დაიწყო. სამეთაურო-საშტაბო კურსის ოფიცრებს სწავლის დაწყება გენერალური შტაბის უფროსმა, გენერალ-მაიორმა ვახტანგ კაპანაძემ მიულოცა, მხარდაჭერა აღუთქვა და კურსის მნიშვნელობაზე ისაუბრა. კურსის მონაწილეებს წარმატებები უსურვა ეროვნული თავდაცვის აკადემიის რექტორის მოვალეობის შემსრულებელმა, ვიცე-პოლკოვნიკმა ვასილ კოპეიკინმა.**

თავდაცვის სამინისტროს ინფორმაციით, 2016-2017 სასწავლო წელს, მისაღები გამოცდების შედეგად, კურსზე 40 ოფიცერი ჩაირიცხა. კურსის განმავლობაში ისინი სამეთაურო-საშტაბო უნარ-ჩვევებს დაეუფლებიან. პროგრამა, რომელიც მიმდინარე სასწავლო წლიდან ხორციელდება, კოლეჯში არსებულ აკრედიტებულ სამაგისტრო პროგრამაზეა მორგებული. სამეთაურო-საშტაბო სკოლა 2009 წელს ამერიკელ მრჩეველთა ჯგუფის მხარდაჭერით დაფუძნდა. ხუთი წლის განმავლობაში სკოლა წარმატებით დაამთავრა 145 მსმენელმა, მათ შორის, 142 ოფიცერმა და 3 სამოქალაქო პირმა.

# სასტუმრო „მუზეუმი“ ძველ თბილისში

**თბილისის ისტორიულ ნაწილში, ახალი სასტუმრო „მუზეუმი“ გაიხსნა.** სასტუმრო „მუზეუმი“, რომელიც თავად ორბელიანების ერთ-ერთ ისტორიულ სასახლეშია განთავსებული, ამჟამად 46 ნომერს, სამ რესტორანსა და საკონფერენციო სივრცეს მოიცავს. გათვალისწინებული იქნა ყველა მნიშვნელოვანი დეტალი, რომელიც ორბელიანების ისტორიულ სასახლეს გააჩნდა, მათ შორის, ინტერიერი და აივნები. სასტუმროს მართვას ახორციელებს ამერიკული მენეჯმენტ ჯგუფი „Key Hospitality“. ამჟამად სასტუმროში 80 ადამიანია დასაქმებული.

სასტუმროს გახსნას პირველი ვიცე-პრემიერი, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრი დიმიტრი ქუმსიშვილი და თბილისის მერი დავით ნარმანია დაესწრნენ. პირველი ვიცე-პრემიერის დიმიტრი ქუმსიშვილის განცხადებით, მხოლოდ 2013-15 წლებში, საქართველოში 508 განთავსების ობიექტი შევიდა ექსპლუატაციაში, რაც ქვეყანაში არსებული სასტუმროების ფონდის 41 პროცენტია.



# როგორ ვესაუბროთ ბავშვებს ფულზე

**ბევრი მშობელი თვლის, რომ არ არის საჭირო ბავშვებთან ფულზე ლაპარაკი, უსრულებენ მათ ყველა ახირებულ სურვილს ისე, რომ ბავშვები ვერც კი ხვდებიან იმას, რომ ეს ყველაფერი უბრალოდ ციდან არ ცვივა. ხანდახან მათთვის რაიმეზე უარის თქმა და განმარტება, თუ რა არის ფული, არ ნიშნავს იმას, რომ ჩვენ მათთვის რაიმე გვენანება. ბავშვები ყველაფერს იმაზე კარგად ითვისებენ, ვიდრე ჩვენ გვგონია. რა თქმა უნდა, VIVUS.GE არ არის მომხრე, რომ ბავშვები ზედმეტად გადავტვირთოთ ინფორმაციით და იმ პრობლემებით, რომლებსაც უფროსები ვაწყდებით, მაგრამ ურიგო არ იქნება, თუ ისინი პატარაობიდანვე დაიწყებენ ასაკის შესაბამისი ცოდნის მიღებას ფულის მნიშვნელობაზე, საიდან ჩნდება ის ჩვენ საფულეში და რატომ შეიძლება უცებ „გაქრეს“ ის საფულიდან. გახსოვდეთ, რომ ეს მშობლების ვალდებულებაა ბავშვებს ასწავლონ ფულთან ურთიერთობა და მისი დაზოგვა და არა სკოლის მასწავლებლების.**

ბავშვის ასაკის მიხედვით ცხადია, ჩვენი რჩევებიც განსხვავდება.

## 3-5 წელი

მოიფიქრეთ თამაში, რომ ფულზე საუბარი თამაშის ნაწილი გახდეს. მაგ.: აჩვენეთ მონეტები და უთხარით დაალაგონ ერთნაირი მონეტები ერთად. ამის შემდეგ შეძლებთ აუხსნათ, რომ ისინი არა მარტო გარეგნულად განსხვავდება და ვთქვათ 2 ცალი 5-თეთრიანი მონეტა ერთი 10-თეთრიანის ტოლფასია და ა.შ. ან გაითამაშეთ მაღაზიის სცენა, სადაც გაცვლით მყიდველის და გამყიდველის როლებს. აქ შეგიძლიათ



ბავშვს აუხსნათ, რომ მის ხელთ არსებული ფული ყველაფრისთვის არ არის საკმარისი და მას დაფიქრება მოუწევს, თუ რაზე ეყოფა თანხა.

ფულის მოსაგროვებლად უყიდეთ გამჭვირვალე ყულაბა ან მიეცით რაიმე გამჭვირვალე ქილა. შეეცადეთ, რომ ბავშვმა დაისახოს მიზანი: რისთვის აგროვებს ის ყულაბაში ფულს და დაახლოებით როდის შეძლებს მოგროვებას.

## 6-8 წელი

სკოლის წინა პერიოდში და პირველ კლასებში მნიშვნელოვანია ბავშვს რეგულარულად ჰქონდეს შეხება ფულთან და ისწავლოს მისი მოხმარება.კარგი იქნება, თუ ბავშვს თავის სურვილების ასასრულებლად დაუწესებთ ყოველკვირეულ თანხას, რომელსაც თვითონ განკარგავს. მიეცით ბავშვს საშუალება, დაგეგმოს, თუ რაში დახარჯოს ეს თანხა, იმსჯელეთ ერთად, შეცდომებზე მიუთითეთ მშვიდად.

## 9-13 წელი

აუხსენით რომ შემოსავალი მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული შესრულებული სამუშაოს რაოდენობაზე და ხარისხზე.გააცანით, თუ რაში იხარჯება შემოსავლის დიდი ნაწილი და როგორ შეიძლება თანხის დაზოგვა. მაგ.: ერთი თვის განმავლობაში ყურადღებით იყოს, რომ არ დატოვოს ანთებული ნათურა (გამორთოს ტელევიზორი) , როდესაც ოთახში არ არის და ა.შ. ერთად შეადარეთ წინა და მომდევნო თვის ელექტროენერგიის გადასახადები.

როდესაც ჩათვლით, რომ ბავშვს ესმის შემოსავლები და გასავლები, აუხსენით განსხვავება საჭირო ხარჯებსა და სურვილების დაკმაყოფილებას შორის. ამ ასაკში ბავშვებს ხშირად უჩნდებათ სურვილი, იყიდონ რაიმე ნივთი, მხოლოდ იმიტომ, რომ მის თანატოლს აქვს.

ეს ყველაფერი თქვენს შვილს დაეხმარება მოზრდილ ასაკში იყოს დამოუკიდებელი, ჰქონდეს საკუთარი თავის იმედი და იშვიათად დადგეს ფინანსური პრობლემების წინაშე და თუ მაინც მოუწევს პრობლემებთან გამკლავება, ზედმეტი სტრესის გარეშე ადვილად გადაჭრის მათ.

**„კომერსანტი“**

***P.S. ბავშვს, რომ ასწავლო ფულის ყადრი ჯერ ფული უნდა გქონდეს. თუ ფული გაქვს, ეს რჩევები აუცილებლად გამოადგებათ თქვენს პატარებს, რადგან ათასობით კერძო ბანკებისა და ონლაინ სესხების მაფიოზურ ქსელში არ გაეხვნენ. ისე ყველაფერს ცხოვრება ასწავლის ადამიანს, მათ შორის ფულის ყადრსაც.***

## წინ, საქართველო!

# ევროპა გულში გვიხუტებს

**საქართველოს კალათბურთელ ვაჟთა ეროვნული ნაკრები ზედიზედ მეოთხედ ითამაშებს ევროპის ჩემპიონატის ფინალურ რაუნდში, რომელიც გაისად ერთბაშად ოთხ ქვეყანაში (თურქეთი, რუმინეთი, ისრაელი, ფინეთი) გაიმართება. მომავალი ფორუმის მონაწილეთა წილისყრას, ისევე როგორც ევრობასკეტ — 2017-ის გადამწყვეტ შეხვედრებს, 22 ნოემბერს სტამბოლი უმასპინძლებს.**



რასაკვირველია, თავად ის ფაქტი, რომ, 2011 წლიდან მოყოლებული, კონტინენტის საკალათბურთო ელიტის მუდმივი წევრები ვხდებით, ყველაფერზე თუ არა, ბევრ რამეზე მეტყველებს, მაგრამ წლევანდელ წარმატებას მაინც განსაკუთრებული ხიბლი და წონა აქვს. დავიწყოთ მწვრთნელით.

მოგეხსენებათ, წინა მიღწევები იგორ კოკოშკოვის სახელს უკავშირდება, რომელმაც ესტაფეტა ბერძენ ილიას ზუროსს გადასცა. ელადელ სპეციალისტს საკუთარი სათამაშო კრედოსა და ტაქტიკური იდეების დასამკვიდრებლად არასრული სეზონი ჰქონდა გამოყოფილი, მაგრამ დროის ამ მცირე მონაკვეთში მოახერხა მთავარი — ქართული კალათბურთის მამებთან ერთად მოძებნა და ჩამოიყვანა ისეთი ლეგიონერი, რომელიც, შეზღუდული სელექციური რესურსის პირობებში, „ჯვაროსნებს“ მორიგი, ლოკალურზე გაცილებით მსუყე გამარჯვებისკენ გაუძღვა.

**მონტენეგრო — საქართველო**
**84:90**
**(18:26, 23:19, 21:19, 22:26)**

**საქართველო: დიქსონი — 31, ფაჩულია — 20, ცინცაძე — 15, სანიკიძე — 14, სანაძე — 6, შერმადინი — 4 ქულა. ითამაშეს აგრეთვე ბურჯანაძემ, ბოისამ, ლეჟავამ და ბექაურმა.**

თითქოს საკადრო პრობლემები გვაკლდეს, უძლიერესი შემადგენლობით გამოსვლა ვერც ამჯერად შევძელით, ამიტომაც „F“ ჯგუფის ერთპიროვნულ ლიდერ მონტენეგროსთან ერთბაშად სასტარტო ხუთეულის ორი წევრის — მარკოიშვილისა და შენგელიას გარეშე ბრძოლა, თანაც სტუმრად, დაგვეთანხმებით, კარგს არაფერს გვიქადდა.

საბედნიეროდ, მატჩის დაწყებამდე მოვლენები სხვა ჯგუფებში ისე განვითარდა, რომ ფსიქოლოგიური წნეხი მოგვეხსნა და თუ 73(!) ქულით არ დავმარცხდებოდით, რაც უტოპიას ჰგავდა, პროგრამა-მინიმუმს შევასრულებდით.

თავის მხრივ, სანერვიულოდ საქმე არც ბალკანელებს ჰქონდათ, რომლებმაც ვადამდე მოიპოვეს ევრობასკეტის საგზური, მაგრამ ჯგუფში წამყვანი პოზიციის შენარჩუნებაზე, საკუთარი ქომაგების გახარებასა და, რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია, პრესტიჟის დაცვაზე ამბიციური და მრავალი წარმატების გამომჭედის — ბოგდან ტანიევიჩის შეგირდები უარს, აბა, რატომ იტყოდნენ?

რადგან თანამემამულეთა სპორტული გმირობა სრულიად საქართველომ იხილა ტელევიზიით, გამორჩეულად მხოლოდ ამ ძლევაი საკვირველის უპირველეს შემოქმედს მაიკლ დიქსონს შევუქებთ მკლავ-მარჯვენას, რომელმაც კრიტიკულ ვითარებაში სამაგალითოდ შეასრულა სოლო-პარტიები და შთამბეჭდავი თამაშით პირველი ნატურალიზებული ოკეანისგაღმელი შემონდ უილიამსი გაგვახსენა. ალბათ,, მისი და გუნდის სულისა და გულის ზაზა ფაჩულიას დამსახურებაცაა, ბოლოსდაბოლოს ცინცაძემ და სანიკიძემაც რომ აიწყვიტეს და უსაზღვრო სიხარული გვაჩუქეს.

გმადლობთ, ბიჭებო!

**ვიტალი ჯაფარიძე**

## ძალოსნობა

# იღბლიანი პოლონური ფიცარნაგი

**15 და 17-წლამდელ ძალოსანთა ევროპის პირველობაზე, რომელსაც პოლონური ნოვი ტომისლი მასპინძლობდა, შეჯიბრების ბოლო დღეს ქართველმა ათლეტებმა ხუთი მედალი მოიპოვეს. 17-წლამდელებში ძალებს ცდიდა ირაკლი ჩხეიძე (94 კგ). ქართველმა ათლეტმა 150 კილოგრამი აიტაცა და ამ მოძრაობაში ოქროს მედალი ერგო. ამდენივე წონა დაძლია პოლონელმა პაველ ზმეიამ, მაგრამ იგი ქართველ სპორტსმენზე პირადი წონით მძიმე აღმოჩნდა და ვერცხლის მედალს დაყაბულდა.**

ირაკლი ჩხეიძემ აკვრაში 182-კილოგრამიანი შტანგა დაიმორჩილა და აქაც პირველი ადგილი დაიკავა. საბოლოოდ ორჭიდის ჯამით ადგილები კვარცხლბეკზე ასე განაწილდა: 1. ირაკლი ჩხეიძე (საქართველო) — 332 (150+182), 2. ეგორ პუშმინი (რუსეთი) — 320 (139+181), 3. პაველ ზმეია (პოლონეთი) — 319 (150+169).



15-წლამდელთა მძიმე წონაში (+94 კგ) თორნიკე ტაბატაძეს აცტაცში 134 კილოგრამით ვერცხლის მედალი ერგო. ასეთივე შედეგით დაასრულა ასპარეზობა ბულგარელმა ვასილ მარინოვმა, რომელიც პირადი წონით ქართველზე მსუბუქი აღმოჩნდა და ოქროს მედალიც მას ხვდა. აკვრაში ჩვენებური 145 კილოთი მე-5 ადგილს დასჯერდა, თუმცა, ორჭიდის ჯამში უმედლოდ არ დარჩენილა: 1. ვასილ მარინოვი — 294 (134+160), 2. თორნიკე ტაბატაძე — 279 (134+145), 3. იან პასიკოვსკი — 274 (131+143). სულ ჩვენმა ძალოსნებმა პოლონეთში 15 მედალი დაიმსახურეს.

**ლექსო ცინცაძე**

## ჭიდაობა

# „თავისუფალთა“ ნადავლი

**ერთი „ოქრო“ და ორი „ბრინჯაო“ - ასეთი მონაგრით დაასრულეს საქართველოს თავისუფალი სტილით მოჭიდავეებმა თბილისში დამთავრებული ჭაბუკთა მსოფლიოს პირველობა. კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე მირიან მაისურაძე (76 კგ) ავიდა, მესამე ადგილები კი გიორგი გეგელაშვილმა (42 კგ) და თორნიკე ქათამაძემ (50 კგ) დაიკავეს.**




მაისურაძემ ზედიზედ ოთხი მეტოქე ჩამოიშორა გზიდან — იტალიელი სალვატორე დიანა, უკრაინელი ანდრეი გიკა, სომეხი არმენ ავაქიანი, რუსეთის ნაკრების წევრი კამილ აბდულჯამალოვი და ოქროს მედალი დაისაკუთრა.

გეგელაშვილმა კანადელ მაურის მაკნეილსა და უკრაინელ ოლეგ გაიდარს მოუგო, ნახევარფინალში აზერბაიჯანელმა მაჰირ მამაზადემ გადაუღობა „ოქროსკენ“ მიმავალი გზა, „ბრინჯაოს ფინალში“ კი ყირგიზ აბდუმალიკ კარაჩოვს სძლია.

ქათამაძემ ხუთი ორთაბრძოლა გამართა: ჯერ უნგრელი რიჩარდ რაცი და მექსიკელი რობერტო ალეხანდრო ბლანკო დაჯაბნა, მეოთხედფინალში თავად წააგო მომავალ ჩემპიონთან — რუს პეტრე კოპილოვთან, რეპეშაჟში კი გერმანელი ჰორსტ ლერი და იაპონელი დაიგო ჰატორი დატოვა უმედლოდ.

**გივი გაგუა**

## ძიუდო




# გუნდური პირველობაც, ორი „ვერცხლიც“

**ესპანურ მალაგაში გამართული ახალგაზრდა ძიუდოისტთა (21-წლამდელები) ევროპის ჩემპიონატის პირველ დღეს საქართველოს ფალავნებმა ორი ვერცხლის მედალი მოიპოვეს — მეორე ადგილებზე გავიდნენ თორნიკე ნაგლიაშვილი (66 კგ) და გიორგი კაციაშვილი (73 კგ), ირაკლი კუპატაძე (55 კგ) და მარიამ ჯანაშვილი (52 კგ) კი რეპეშაჟის ფინალში დამარცხდნენ და საპრიზო სამეულს მიღმა დარჩნენ.**

ახალგაზრდებში ევროპის მეორე და მესამე პრიზიორმა თორნიკე ნაგლიაშვილმა ზედიზედ ოთხი მეტოქე იპონებით დაამარცხა — ბერძენი ალექსიოს ცარმანტიდისი, ფინელი ჰენრი მაატა, თურქი ჩენგიზხან დონმეზი და შვეიცარიელი ნილს სტამპი, გადამწყვეტი პაექრობა კი ბელარუს დმიტრი მინკოუსთან წააგო და ვერცხლის მედალს დასჯერდა.

ევროპის შარშანდელი პირველობის ბრინჯაოს პრიზიორმა გიორგი კაციაშვილმაც წმინდად სძლია მონტენეგროელ ბალსა სინანოვიჩს, იტალიელ ანდრეა ჯისმონდოს, აზერბაიჯანელ ჰასილ ჯაფაროვსა და რუმინელ მარსელ ჩერცეას, ხოლო ფინალი კიდევ ერთ აზერბაიჯანელ ჰიდაიატ ჰეიდაროვთან დათმო. დანარჩენ წონებში ჩვენები კვარცხლბეკს მიღმა აღმოჩნდნენ. სამაგიეროდ, უცხო ქვეყნების სახელით მოასპარეზე ქართველებმა იყოჩაღეს: 60 კილოში ევროპის ჩემპიონობა ჰოლანდიის სახელით მოჭიდავე თორნიკე ჭკადუამ მოიპოვა. ანრი ეგუტიძემ (81 კგ) პორტუგალიას, ხოლო ნიკოლოზ შერაზადიშვილმა (90 კგ) ესპანეთს შესძინეს ვერცხლის მედლები.

ქართველი ძიუდოისტებისთვის წარმატებული გამოდგა ევროპის ჩემპიონატის დასკვნითი დღე - ჩვენმა ნაკრებმა გუნდური პირველობა მოიგო და მალაგაში ქართული ჰიმნი ააჟღერა. შეჯიბრებაში ვაჟთა შორის 21-წლამდელთა 18 ქვეყნის ნაკრები ჩაება. „ჯვაროსნებმა“ სტარტზე რუმინეთი დაამარცხეს — 5:0, მერე ავსტრიას მოუგეს 4:1. ნახევარფინალში კი ტურნირის ერთ-ერთ ფავორიტს — რუსეთს აჯობეს 3:2. გადამწყვეტ პაექრობაში ქართველებმა აზერბაიჯანელებსაც მსგავსი ანგარიშით სძლიეს: 66 კილოში თორნიკე ნაგლიაშვილმა ილქინ ბაბაზადე გააკრა ბეჭებით ტატამს, 73 კილოგრამ წონით კატეგორიაში გიორგი კაციაშვილმა წააგო ჰიდაიატ ჰეიდაროვთან, კობა მჭედლიშვილმა (81 კგ) რუფატ ისმაილოვი შებოჭა, ონისე სანებლიძემ (90 კგ) ასლან მირზაიევთან დათმო შეხვედრა, .+90 კილოში ჯაბა მუმლაძემ აზარ იაგუბოვს წარმატების მცირედი შანსიც არ დაუტოვა. მესამე ადგილებისთვის იტალიელებმა ჰოლანდიელებს (3:2), ხოლო რუსებმა უკრაინელებს (4:1) მოუგეს.

*გოგონათა პირველობაში საქართველოს ნაკრები პირველივე წრეში ხორვატებთან დამარცხდა (1:4). ფინალში გერმანიამ რუსეთს აჯობა 4:1, მესამე საპრიზო ადგილები კი ხორვატეთმა და საფრანგეთმა დაიკავეს.*

**ლაშა დიდია**

## ფარიკაობა

# შენგელია კვარცხლბეკზე ავიდა

**თეირანში გამართულ მოფარიკავეთა მსოფლიოს თასის გათამაშების მორიგ ეტაპზე ექვსი ქართველი მოხმალავე მონაწილეობდა. მათგან ნიკა შენგელიამ გამოიჩინა თავი: ორი წლით უფროსებთან პაექრობაში მან ჯგუფში ზედიზედ სძლია მასპინძლებს — ალი აჰმადის (5:1), რეზვან საჰარხიზის (5:2), პურია ხალილს (5:3), ერაყელ მოჰამედ ალსაედის (5:0), ბელგიელ არნაუდ ბოტეჩიას (5:3) და ტუნისელ ფარეზ ფერჯანის (5:3). პლეი-ოფში ქართველმა მოხმალავემ ჯერ პურია ხალილს (ირანი, 15:10), მერე ანატოლი პიატროუსა (ბელარუსი, 15:7) და იუსეფ ალ-შამლანს (15:10) მოუგო. ნახევარფინალი ნიკამ დარიო კავალიერესთან (იტალია) დათმო 10:15 და ბრინჯაოს მედალი ხვდა, თან 20 სარეიტინგო ქულაც მოიპოვა. მეორე ნახევარფინალში იტალიელმა ლეონარდო დრეოსიმ მაქსიმ პინჩუკს (ბელარუსი) მოუგო — 15:10. აპენინელთა ფინალურ დაპირისპირებაში კავალიერემ იმარჯვა 15:13 და მთავარი პრიზი დაისაკუთრა.**

შეჯიბრების მონაწილე დანარჩენ ქართველთაგან ცოტნე ხომერიკმა 23-ე, ვაჟა რეჭიამ 25-ე, გივი მერკვილაძემ 33-ე, ნიკოლოზ ჭეიშვილმა მე-40 და გიორგი ჭუმბურიძემ 47-ე ადგილები დაიკავეს.

**თამაზ პატარიძე**



# საქართველოს ეროვნული ბანკის საააუქციონო კომისიის განცხადება

საქართველოს ეროვნული ბანკის სააუქციონო კომისია აცხადებს, რომ თანახმად საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2011 წლის 2 სექტემბრის №70/04 ბრძანებით დამტკიცებული დებულებისა და 2016 წლის 19 ივლისის №61 განკარგულებისა, 2016 წლის 7 ოქტომბერს, საქართველოს ეროვნული ბანკის ცენტრალურ ოფისში (სანაპიროს ქუჩა №2, ოთახი №416) დღის 12 საათზე ჩატარდება საჯარო აუქციონი, ეროვნული ბანკის საკუთრებაში არსებულ შემდეგ ქონებაზე:

**ცხრილი №1**

| N | საინვენტარო ნომერი | ძირითადი საშუალების დასახელება | სარეალიზაციო ღირებულება |
|---|---|---|---|
| 1 | 13691 | ლენტური ბიბლიოთეკა "Tape Lybrary MSL 6060 LTO4" | 270 |
| 2 | 14976 | HP Storage Works MSL6000 Series Library | 5805 |
| 3 | 13658 | სერვერი "HP 350" | 580 |
| 4 | 13684 | სერვერი "HP DL580 G5" | 2448 |
| 5 | 20043 | ინციდენტების ლოგირების სისტემა "Cisco Mars 25" | 2709 |
| 6 | 20051 | ქსელური მონაცემთა სანახის სისტემა "QNAP TS-659" | 459 |
| 7 | 20052 | ქსელური მონაცემთა სანახის სისტემა "QNAP TS-659" | 459 |
| 8 | 11727 | უწყვეტი კვების წყარო "APC-650" | 31 |
| 9 | 17006 | მონიტორი "HP 2245/liquidvideo" | 31 |
| 10 | 21737 | კომპიუტერი "Dell 745" | 115 |
| 11 | 21724 | კომპიუტერი "Compaq DC7900 Convertible Minitower PC" | 115 |
| 12 | 21897 | კომპიუტერი "Compaq DC7900 Convertible Minitower PC" | 115 |
| 13 | 21767 | კომპიუტერი "Compaq DC7900 Convertible Minitower PC" | 115 |
| 14 | 19532 | კომპიუტერი "Compaq DC7900 Convertible Minitower PC" | 115 |
| 15 | 19534 | კომპიუტერი "Compaq DC7900 Convertible Minitower PC" | 115 |
| 16 | 21851 | კომპიუტერი "Compaq DC7900 Convertible Minitower PC" | 115 |
| 17 | 19581 | კომპიუტერი "Compaq DC7900 Convertible Minitower PC" | 115 |
| 18 | 19526 | კომპიუტერი "Compaq DC7900 Convertible Minitower PC" | 115 |
| 19 | 21837 | კომპიუტერი "Compaq DC7900 Convertible Minitower PC" | 115 |
| 20 | 17537 | კომპიუტერი "HP DX 2400" | 78 |
| 21 | 17798 | კომპიუტერი "HP DX 2400" | 78 |
| 22 | 17521 | ნოუთბუქი "HP 4510s" | 215 |
| 23 | 17565 | ნოუთბუქი "HP 530" | 130 |
| 24 | 20039 | ნოუთბუქი "HP 6830" | 230 |
| 25 | 21559 | ნოუთბუქი "HP EliteBook 8440p" | 350 |
| 26 | 20028 | ნოუთბუქი "HP Probook 4520s Notebook PC" | 230 |
| 27 | 20016 | ნოუთბუქი "HP Probook 4520s Notebook PC" | 230 |
| 28 | 20027 | ნოუთბუქი "HP Probook 4520s Notebook PC" | 230 |
| 29 | 20017 | ნოუთბუქი "HP Probook 4520s Notebook PC" | 230 |
| 30 | 11804 | ფაქსი "Panasonik kx-ft67" | 31 |
| 31 | 14173 | ფაქსი "Panasonik kx ft-77" | 31 |
| 32 | 20176 | ხმოვანი ტელეფონი "Cisko ip phone 7911" | 54 |
| 33 | *0022* | ტონერი "Canon7161" | 8 |
| 34 | *0022* | ტონერი "Canon7161" | 8 |
| 35 | *0085* | კარტრიჯი "Epson FX-1170" | 8 |
| 36 | *0085* | კარტრიჯი "Epson FX-1170" | 8 |
| 37 | *0085* | კარტრიჯი "Epson FX-1170" | 8 |
| 38 | *0085* | კარტრიჯი "Epson FX-1170" | 8 |
| 39 | *0085* | კარტრიჯი "Epson FX-1170" | 8 |
| 40 | *0085* | კარტრიჯი "Epson FX-1170" | 8 |
| 41 | *0085* | კარტრიჯი "Epson FX-1170" | 8 |
| 42 | *0085* | კარტრიჯი "Epson FX-1170" | 8 |
| 43 | *0085* | კარტრიჯი "Epson FX-1170" | 8 |
| 44 | *0085* | კარტრიჯი "Epson FX-1170" | 8 |
| 45 | *0085* | კარტრიჯი "Epson FX-1170" | 8 |
| 46 | *0085* | კარტრიჯი "Epson FX-1170" | 8 |
| 47 | *0085* | კარტრიჯი "Epson FX-1170" | 8 |
| 48 | *0085* | კარტრიჯი "Epson FX-1170" | 8 |
| 49 | *0085* | კარტრიჯი "Epson FX-1170" | 8 |
| 50 | *0085* | კარტრიჯი "Epson FX-1170" | 8 |
| 51 | *0085* | კარტრიჯი "Epson FX-1170" | 8 |
| 52 | *0085* | კარტრიჯი "Epson FX-1170" | 8 |
| 53 | *0085* | კარტრიჯი "Epson FX-1170" | 8 |
| 54 | *0085* | კარტრიჯი "Epson FX-1170" | 8 |
| 55 | *0085* | კარტრიჯი "Epson FX-1170" | 8 |
| 56 | *0085* | კარტრიჯი "Epson FX-1170" | 8 |
| 57 | *0085* | კარტრიჯი "Epson FX-1170" | 8 |
| 58 | *0085* | კარტრიჯი "Epson FX-1170" | 8 |
| 59 | *0085* | კარტრიჯი "Epson FX-1170" | 8 |
| 60 | *0133* | ქსეროქსის "RX 5352 ტონერი" | 20 |
| 61 | *0133* | ქსეროქსის "RX 5352 ტონერი" | 20 |
| 62 | *0133* | ქსეროქსის "RX 5352 ტონერი" | 20 |
| 63 | *0220* | ტონერი "RX-5316/5317" | 12 |
| 64 | *0220* | ტონერი "RX-5316/5317" | 12 |
| 65 | *0220* | ტონერი "RX-5316/5317" | 12 |
| 66 | *0220* | ტონერი "RX-5316/5317" | 12 |
| 67 | *0220* | ტონერი "RX-5316/5317" | 12 |
| 68 | *0220* | ტონერი "RX-5316/5317" | 12 |
| 69 | *0220* | ტონერი "RX-5316/5317" | 12 |
| 70 | *0224* | ბარაბანი რაკელი "Canon 62/16" | 12 |
| 71 | *0224* | ბარაბანი რაკელი "Canon 62/16" | 12 |
| 72 | *0224* | ბარაბანი რაკელი "Canon 62/16" | 12 |
| 73 | *0224* | ბარაბანი რაკელი "Canon 62/16" | 12 |
| 74 | *0224* | ბარაბანი რაკელი "Canon 62/16" | 12 |
| 75 | *0224* | ბარაბანი რაკელი "Canon 62/16" | 12 |
| 76 | *0224* | ბარაბანი რაკელი "Canon 62/16" | 12 |
| 77 | *0224* | ბარაბანი რაკელი "Canon 62/16" | 12 |
| 78 | *0224* | ბარაბანი რაკელი "Canon 62/16" | 12 |
| 79 | *0227* | ტონერი "Canon 1215" | 4 |
| 80 | *0227* | ტონერი "Canon 1215" | 4 |
| 81 | *0227* | ტონერი "Canon 1215" | 4 |
| 82 | *0227* | ტონერი "Canon 1215" | 4 |
| 83 | *0227* | ტონერი "Canon 1215" | 4 |
| 84 | *0227* | ტონერი "Canon 1215" | 4 |
| 85 | *0227* | ტონერი "Canon 1215" | 4 |
| 86 | *0227* | ტონერი "Canon 1215" | 4 |
| 87 | *0227* | ტონერი "Canon 1215" | 4 |
| 88 | *0227* | ტონერი "Canon 1215" | 4 |
| 89 | *0227* | ტონერი "Canon 1215" | 4 |
| 90 | *0227* | ტონერი "Canon 1215" | 4 |
| 91 | *0227* | ტონერი "Canon 1215" | 4 |
| 92 | *0227* | ტონერი "Canon 1215" | 4 |
| 93 | *0227* | ტონერი "Canon 1215" | 4 |
| 94 | *0227* | ტონერი "Canon 1215" | 4 |
| 95 | *0227* | ტონერი "Canon 1215" | 4 |
| 96 | *0227* | ტონერი "Canon 1215" | 4 |
| 97 | *0227* | ტონერი "Canon 1215" | 4 |
| 98 | *0227* | ტონერი "Canon 1215" | 4 |

| | | | |
|---|---|---|---|
| 99 | 0227 | ტონერი "Canon 1215" | 4 |
| 100 | 0227 | ტონერი "Canon 1215" | 4 |
| 101 | 0227 | ტონერი "Canon 1215" | 4 |
| 102 | 0227 | ტონერი "Canon 1215" | 4 |
| 103 | 0227 | ტონერი "Canon 1215" | 4 |
| 104 | 0227 | ტონერი "Canon 1215" | 4 |
| 105 | 0227 | ტონერი "Canon 1215" | 4 |
| 106 | 0227 | ტონერი "Canon 1215" | 4 |
| 107 | 0964 | კარტრიჯი შავთეთრი "HP LJ 4550 " | 12 |
| 108 | 0964 | კარტრიჯი შავთეთრი "HP LJ 4550 " | 20 |
| 109 | 0965 | კარტრიჯი ფერადი "HP LJ 4550 col" | 31 |
| 110 | 0965 | კარტრიჯი ფერადი "HP LJ 4550 col" | 31 |
| 111 | 0965 | კარტრიჯი ფერადი "HP LJ 4550 col" | 39 |
| 112 | 1215 | ლაზერული პრინტერის 2300 კარტრიჯი | 16 |
| 113 | 1215 | ლაზერული პრინტერის 2300 კარტრიჯი | 16 |
| 114 | 1372 | კარტრიჯი "HP LJ 8150" | 16 |
| 115 | 1372 | კარტრიჯი "HP LJ 8150" | 16 |
| 116 | 1380 | კარტრიჯი "HP LJ 5500 BL" | 16 |
| 117 | 1423 | მეხსიერება "256 MB" | 12 |
| 118 | 1423 | მეხსიერება "256 MB" | 12 |
| 119 | 1470 | კატრიჯი "HPLJ-9000/9050" | 46 |
| 120 | 1940 | კარტრიჯი "HPLJ-3005 D" | 12 |
| 121 | 2022 | პრინტერის "HPLJ2605" კარტრიჯი შავთეთრი | 12 |
| 122 | 2022 | პრინტერის "HPLJ2605" კარტრიჯი შავთეთრი | 12 |
| 123 | 2023 | პრინტერის "HP LJ2605" კარტრიჯი ფერადი | 23 |
| 124 | 2024 | პრინტერის "HP DJ450/HP DJ5652" კარტრიჯი | 40 |
| | | შავთეთრი | |
| 125 | 2024 | პრინტერის "HP DJ450/HP DJ5652" კარტრიჯი შავთეთრი | 40 |
| 126 | 2025 | პრინტერის "HP DJ450/HP DJ5652" კარტრიჯი ფერადი | 40 |
| 127 | 2025 | პრინტერის "HP DJ450/HP DJ5652" კარტრიჯი ფერადი | 40 |
| 128 | 2146 | კარტრიჯი "HPL-1015" | 8 |
| 129 | 2146 | კარტრიჯი "HPL-1015" | 8 |
| 130 | 2146 | კარტრიჯი "HPL-1015" | 8 |
| 131 | 2146 | კარტრიჯი "HPL-1015" | 8 |
| 132 | 2197 | კარტრიჯი "HPDJ (C4836A)" | 8 |
| 133 | 2197 | კარტრიჯი "HPDJ (C4836A)" | 8 |
| 134 | 2197 | კარტრიჯი "HPDJ (C4836A)" | 8 |
| 135 | 2206 | კარტრიჯი "HPDJ (CD972AE)" | 8 |
| 136 | 18253 | კომპიუტერის მონიტორი "HP Compaq1530" | 27 |
| 137 | 13079 | კომპიუტერი "HP Compaq 6100 " | 51 |
| 138 | 13957 | კომპიუტერი "Ibm 2000" | 32 |
| 139 | 13960 | კომპიუტერის მონიტორი "Ibm 15" | 32 |
| 140 | 16968 | კომპიუტერი "DELL 210L" | 63 |
| 141 | 11208 | კომპიუტერის მონიტორი "DELL 15" | 63 |
| 142 | 14699 | სვიჩი "Cisco 2950" | 63 |
| 143 | 10402 | კომპიუტერის მონიტორი "Dell 15" | 63 |
| 144 | 15936 | პრინტერი "HP LJ 2420" | 63 |
| 145 | 13989 | კომპიუტერი "Ibm 2400"" | 63 |
| 146 | 13961 | კომპიუტერის მონიტორი "Ibm 15" | 32 |
| 147 | 17160 | ნოუთბუქი "Ibm R 40" | 63 |
| 148 | 20530 | ნოუთბუქი "DELL D520" | 90 |

| | | | |
|---|---|---|---|
| 149 | 14973 | სერვერი "IBMx346" | 90 |
| 150 | 14971 | სერვერი "IBMx445" | 90 |
| 151 | 15336 | სვიჩი "სისკო 2950" | 40 |
| 152 | 12013 | სკანერი "Hp 2400" | 27 |
| 153 | 10405 | პრინტერი "Hp lj 1012" | 32 |
| 154 | 10459 | პრინტერი "Hp lj 1012" | 32 |
| 155 | 13528 | კომპიუტერი "Hp compaq dx 6100" | 63 |
| 156 | 10504 | კომპიუტერი "Hp compaq dx 6100" | 63 |
| 157 | 12005 | კომპიუტერი "Hp compaq dx 6100" | 63 |
| 158 | 11248 | კომპიუტერი "Hp compaq dx 6100" | 63 |
| 159 | 12269 | კომპიუტერის მონიტორი "Hp 1530" | 32 |
| 160 | 12006 | კომპიუტერის მონიტორი "Hp 1530" | 32 |
| 161 | 11017 | კომპიუტერის მონიტორი "Hp 1530" | 40 |
| 162 | 15712 | კომპიუტერი "HP Compaq 6100 " | 63 |
| 163 | 17141 | დისტანციური ინტერნეტის ბლოკი "Netgear" | 32 |
| 164 | 13294 | დისტანციური ინტერნეტის ბლოკი "Linksys" | 32 |
| 165 | 13476 | კომპიუტერის მონიტორი "HP 1506" | 40 |
| 166 | 14795 | უწყვეტი კვების წყარო "MGE 1100" | 20 |
| 167 | 11549 | კომპიუტერი "Dell 210L" | 74 |
| 168 | 14517 | კომპიუტერი "Dell 210L" | 74 |
| 169 | 21507 | კომპიუტერი "Dell 210L" | 74 |
| 170 | 10426 | კომპიუტერი "Dell 210L" | 74 |
| 171 | 11411 | კომპიუტერი "Dell 210L" | 74 |
| 172 | 13191 | კომპიუტერი "Dell 210L" | 74 |
| 173 | 14002 | კომპიუტერი "Dell 210L" | 74 |
| 174 | 12090 | კომპიუტერის მონიტორი "HP 1530" | 40 |
| 175 | 11421 | კომპიუტერის მონიტორი "HP 1530" | 40 |
| 176 | 10046 | კომპიუტერის მონიტორი "HP 1530" | 40 |
| 177 | 17792 | ნოუთბუქი "Hp 6830 S" | 90 |
| 178 | 16001 | ნოუთბუქი "Dell D520" | 90 |
| 179 | 11751 | ნოუთბუქი"Dell D520" | 90 |
| 180 | 11371 | ნოუთბუქი "Dell D520" | 90 |
| 181 | 20029 | ნოუთბუქი"HP 530" | 107 |
| 182 | 13942 | ნოუთბუქი "Dell D520" | 90 |
| 183 | 13181 | პრინტერი "Hp lj 1020" | 52 |
| 184 | 13818 | პრინტერი "Hp lj 1020" | 52 |
| 185 | 12446 | პრინტერი "Hp lj 1020" | 52 |
| 186 | 11088 | პრინტერი "Hp lj 1020" | 52 |
| 187 | 10337 | პრინტერი "Hp lj 1020" | 52 |
| 188 | 10525 | პრინტერი "Hp lj 2420" | 107 |
| 189 | 14817 | პრინტერი "Hp lj 2420" | 107 |
| 190 | 14572 | პრინტერი "Hp lj 2420" | 107 |
| 191 | 13026 | პრინტერი "Hp lj 2420" | 107 |
| 192 | 10815 | პრინტერი "Hp lj 2420" | 107 |
| 193 | 10595 | პრინტერი "Hp lj 2420" | 107 |
| 194 | 13831 | კომპიუტერი "Dell 620" | 107 |
| 195 | 13760 | ნოუთბუქი "Dell D520" | 210 |
| 196 | 21575 | დისტანციური ინტერნეტის ბლოკი "Linksys" | 27 |
| 197 | 14065-13729 | ნოუთბუქი "Hp 2710"-სადგურით | 235 |
| 198 | 16991 | სერვერი "IBM xserver 445" | 270 |
| 199 | 12871-12872 | ნოუთბუქი"Sony Vaio" -სადგურით | 180 |
| 200 | 17148 | ნოუთბუქი "Samsung r710" | 150 |

| | | | |
|---|---|---|---|
| 201 | *17193-16933* | *ნოუთბუქი"Sony Vaio" -სადგურით* | 180 |
| 202 | *19546* | *პრინტერი "Hp lj p-1120"* | 52 |
| 203 | *21885* | *კომპიუტერი "Compaq DC7900 Convertible Minitower PC"* | 120 |
| 204 | *19580* | *კომპიუტერი "HP Compaq DC7900 Convertible Minitower PC"* | 120 |
| 205 | *19524* | *კომპიუტერი "HP Compaq DC7900 Convertible Minitower PC"* | 120 |
| 206 | *19582* | *კომპიუტერი "HP Compaq DC7900 Convertible Minitower PC"* | 120 |
| 207 | *21841* | *კომპიუტერი "HP Compaq DC7900 Convertible Minitower PC"* | 120 |
| 208 | *21776* | *კომპიუტერი "HP Compaq DC7900 Convertible Minitower PC"* | 120 |
| 209 | *19573* | *კომპიუტერი "HP Compaq DC7900 Convertible Minitower PC"* | 120 |
| 210 | *21795* | *კომპიუტერი "HP Compaq DC7900 Convertible Minitower PC"* | 120 |
| 211 | *22449* | *ნოუთბუქი"Hp 6930"* | 150 |
| 212 | *17542* | *კომპიუტერი "Hp dx 2400"* | 90 |
| 213 | *17545* | *კომპიუტერი "Hp dx 2400"* | 10 |
| 214 | *17590* | *კომპიუტერი "Hp dx 2400"* | 90 |
| 215 | *17522* | *კომპიუტერი "Hp dx 2400"* | 90 |
| 216 | *17529* | *კომპიუტერი "Hp dx 2400"* | 90 |
| 217 | *17786* | *კომპიუტერი "Hp dx 2400"* | 90 |
| 218 | *17532* | *კომპიუტერი "Hp dx 2400"* | 90 |
| 219 | *21212* | *ნოუთბუქი "Hp 4510s"* | 150 |
| 220 | *17582* | *ნოუთბუქი "Hp 4510s"* | 150 |
| 221 | *17599* | *ნოუთბუქი "Hp 4510s"* | 150 |
| 222 | *17561* | *ნოუთბუქი "Hp 4510s"* | 150 |
| 223 | *17581* | *ნოუთბუქი "Hp 4510s"* | 150 |
| 224 | *17197* | *ნოუთბუქი "Hp 530"* | 90 |
| 225 | *17562* | *ნოუთბუქი "Hp 530"* | 90 |
| 226 | *17567* | *ნოუთბუქი "Hp 530"* | 90 |
| 227 | *17535* | *ნოუთბუქი"Hp 530"* | 90 |
| 228 | *18290* | *ნოუთბუქი "Hp 530"* | 90 |
| 229 | *17575* | *ნოუთბუქი "Hp 530"* | 90 |
| 230 | *17598* | *ნოუთბუქი "Hp 530"* | 90 |
| 231 | *17568* | *ნოუთბუქი "Hp 530"* | 90 |
| 232 | *17576* | *ნოუთბუქი "Hp 530"* | 90 |
| 233 | *17198* | *ნოუთბუქი "Hp 530"* | 90 |
| 234 | *17784* | *ნოუთბუქი "Hp 530"* | 90 |
| 235 | *17574* | *ნოუთბუქი "Hp 530"* | 90 |
| 236 | *18229* | *ნოუთბუქი "HP Compaq 6830s"* | 150 |
| 237 | *17570* | *ნოუთბუქი "Hp 530"* | 81 |
| 238 | *17602* | *ნოუთბუქი "HP Compaq 6830s "* | 180 |
| 239 | *18326* | *საარქივო მონაცემების შემნახველი "Ibm ds 4700"* | 2350 |
| 240 | *15995* | *კომპიუტერი "HP Compaq DX6100"* | 110 |
| 241 | *20030* | *პრინტერი "HP Officejet 7000 Wide Format"* | 72 |
| 242 | *20013* | *ნოუთბუქი "HP Probook 4520 s Notebook PC"* | 210 |
| 243 | *20025* | *ნოუთბუქი "HP Probook 4520 s Notebook PC"* | 210 |
| 244 | *20018* | *ნოუთბუქი "HP Probook 4520 s Notebook PC"* | 210 |
| 245 | *19576* | *კომპიუტერი "HP Compaq DC7900 Convertible Minitower PC"* | 110 |
| 246 | *1861* | *3 დონის ქსელური კომუტატორი "CISCO WS-C3750 G-24"* | 3520 |
| 247 | *1862* | *3 დონის ქსელური კომუტატორი "CISCO WS-C3750 G-24"* | 3520 |
| 248 | *1979* | *უწყვეტი კვების წყარო "APC SMART_UPS SC 450VA"* | 72 |
| 249 | *13240* | *ტელევიზორი "Filipsi" დასადგამით* | 90 |
| 250 | *11768* | *ქსეროქსი "Canon PC 860"* | 52 |
| 251 | *13550* | *ქსეროქსი "Canon lb mf 3228"* | 40 |
| 252 | *20050* | *ვირტუალიზაციის სერვერი "HP DL 180 G6"* | 210 |
| 253 | *213* | *უწყვეტი კვების ბლოკი "UPS APC BACK/BK "500-RS,500VA, 230V* | 32 |
| 254 | *221* | *უწყვეტი კვების ბლოკი "UPS APC BACK/BK "500-RS,500VA, 230V* | 32 |
| 255 | *231* | *უწყვეტი კვების ბლოკი "UPS APC BACK/BK "500-RS,500VA, 230V* | 32 |
| 256 | *232* | *უწყვეტი კვების ბლოკი "UPS APC BACK/BK "500-RS,500VA, 230V* | 32 |
| 257 | *237* | *კომპიუტერი "Ibm 2400"* | 63 |
| 258 | *248* | *კომპიუტერი "Ibm 2400"* | 63 |
| 259 | *261* | *კომპიუტერი "Ibm 2400"* | 63 |
| 260 | *357* | *ქსეროქსი "Canon pc 120"* | 52 |
| 261 | *464* | *სერვერი "HP Server ML 110"* | 90 |
| 262 | *612* | *სვიჩი "Cisco WS-C3550-24-SMI"* | 180 |
| 263 | *613* | *სვიჩი " Cisco WS-2950T-24"* | 63 |
| 264 | *803* | *კომპიუტერი "HP 2400 "* | 63 |
| 265 | *814* | *პრინტერი "HP 1150"* | 40 |
| 266 | *896* | *ლეპტოპი "FUJITSU AMILO PRO PI 1505 "* | 110 |
| 267 | *897* | *ლეპტოპი "FUJITSU AMILO PRO PI 1505 "* | 110 |
| 268 | *898* | *ლეპტოპი "FUJITSU AMILO PRO PI 3405 "* | 90 |
| 269 | *1863* | *3 დონის ქსელური კომუტატორი "CISCO WS-C3750 G-24 T-E"* | 3520 |
| 270 | *1864* | *3 დონის ქსელური კომუტატორი "CISCO WS-C3750 G-24 T-E"* | 3520 |
| 271 | 15901, 16978, 16979 | ვიდეო სათვალთვალო სისტემა (1 ც მულტიპლექსორი VideoTronic"; 2 ცალი სერვერი; 5 ცალი | 480 |
| | | ვიდეოკამერა "VideoTronic") | |
| 272 | 27627 | ვიდეოკონტროლის აპარატურა (1 ცალი ციფრული ვიდეო ჩამწერი "H. 264 Digital Video Recorder; 15 ცალი ვიდეოკამერა "VideoTronic") | 720 |
| 273 | 27630, 27643, 27642, 15889 | ვიდეოკონტროლის აპარატურა (1 ცალი გადამყვანი " NT-2416R"; 1 ც მონიტორი "Videotronic"; 1 ცალი მართვის პულტი Videotronic 1 ცალი მართვის პულტი "Panasonic"; 5 ცალი "Dome" კამერა) | 950 |
| 274 | 15492 | ვიდეოკონტროლის აპარატურა (1 ცალი ვიდეო ჩამწერი "Hitachi"; 15 ცალი ვიდეოკამერა "VideoTronic") | 720 |
| 275 | 27634, 27628 | ვიდეოკონტროლის აპარატურა (1 ცალი სერვერი "Honeywell"; 1 ცალი "UPS MGE - 1500"; 1 ცალი "Dome" კამერა) | 480 |
| 276 | 15493, 15662 | ვიდეოკონტროლის აპარატურა (1 ცალი ვიდეო ჩამწერი "Hitachi"; 8 ცალი ვიდეოკამერა "Panasonic") | 720 |
| 277 | 15491 | ვიდეოკონტროლის აპარატურა (5 ცალი მულტიპლექსორი; 1 ცალი მონიტორი "VideoTronic 10 ცალი ვიდეოკამერა "VideoTronic" და "Panasonic"; 3 ცალი ვიდეოკამერის სამაგრი ფეხი) | 720 |
| 278 | 27629 | ვიდეო კონტროლის სისტემის აპარატურა (1 ცალი ვიდეო ჩამწერი "QX 1600"; 7 ცალი ვიდეოკამერა "YC 67 M") | 2850 |
| 279 | 18951 | დაშვების ელექტრონული სისტემა (5 ც კონტროლერი პლატა; 1 ცალი საზარიერო ავეჯი) | 7120 |
| 280 | 27641 | ვიდეოკონტროლის აპარატურა (1 ცალი მართვის პულტი "Panasonic"; 8 ცალი კამერა "VS-115NSHN-3") | 950 |
| 281 | 15490 | ვიდეოკონტროლის სისტემა (1 ცალი ვიდეო ჩამწერი "Hitachi"; 10 ცალი ვიდეოკამერა "Panasonic") | 720 |

| | | | |
|---|---|---|---|
| 282 | | დაშვების ელექტრონული სისტემა (1 ც კონტროლერი პლატა; 1 ცალი საზარიერო ავეჯი) | 950 |
| 283 | 15905 | ვიდეო კონტროლის აპარატურა (ვიდეოჩამწერი "Panasonic") | 100 |
| 284 | 27635,27636, 13233,13230, 13221,13226, 13227, 13225 | ვიდეო კონტროლის აპარატურა–სვიჩი (5 ცალი სერვერი "Honeywell"; 2 ცალი გადამყვანი "SLT-1610R 1 ცალი სვიჩი "Cisco 3560"; 17 ცალი ვიდეო კამერა "YC 491W") | 3800 |
| 285 | 27639 | ვიდეო კონტროლის აპარატურა (1 ცალი მოდემი; 1 ცალი გადამყვანი "SLT-1610R") | 480 |
| 286 | 15806, 15907 | ვიდეო კონტროლის აპარატურა (1 ცალი სისტემის კონტროლი"VideoTronic"; 1 ცალი გადამყვანი ,,Everplex") | 480 |
| 287 | 15659 | ვიდეო მონიტორი "VideoTronic" | 100 |
| 288 | 15406 | ვიდეო მონიტორი "VideoTronic" | 100 |
| 289 | 15889 | ვიდეო მონიტორი "VideoTronic" | 145 |
| 290 | 18072-27640 | ვიდეო კონტროლის აპარატურა (2 ცალი ვიდეო ჩამწერი "QX 1600"; 10 ცალი "Dome" კამერა) | 2140 |
| 291 | 18073 | ვიდეო კონტროლის აპარატურა (1 ცალი ვიდეო ჩამწერი "QX 1600"; 5 ცალი "Dome" კამერა) | 1670 |
| 292 | 27632 | ვიდეო კონტროლის აპარატურა (1 ცალი გადამყვანი "NT-2416R"; 8 ცალი "Dome" კამერა) | 1670 |
| 293 | 27631 | ვიდეო–საკონტროლო სისტემის აპარატურა (1 ცალი გადამყვანი "NT-2416R"; 2 ცალი "Dome" კამერა) | 480 |
| 294 | 27637 | ვიდეო კონტროლის აპარატურა (1 ცალი ვიდეო ჩამწერი "QX 1600"; 3 ცალი "Dome" კამერა) | 2380 |
| 295 | 27638 | ვიდეო კონტროლის აპარატურა (2 ცალი ვიდეო ჩამწერი "QX 1600"; 8 ცალი "Dome" კამერა) | 7120 |
| | | *ჯამი* | *83149* |

ლოტების საწყისი საუქციონო ფასი განსაზღვრულია №1 ცხრილში მითითებული ფასების მიხედვით.

აუქციონში მონაწილეობისათვის შესატანი „ბე-ს" მოცულობა შეადგენს ქონების საწყისი სააუქციონო ფასის 10%-ს, რომელიც ჩარიცხული უნდა იქნეს საქართველოს ეროვნული ბანკის № GE88NB0450100117904101 ანგარიშზე, (ს/კ 203 824 148, ბანკის ,,SWIFT" კოდი: BNLNGE22). აუქციონის დასრულების შემდეგ დაფიქსირებული თანხის გადახდა სავალდებულოა დადგენილ ვადებში. მყიდველს გადახდილი ბე-ს თანხა ჩაეთვლება საბოლოო ანგარიშსწორებისას. განაცხადი (რომელიც შეიცავს ინფორმაციას მონაწილის და ობიექტის შესახებ), „ბე"-ს შეტანის ქვითარი, აუქციონში მონაწილე ფიზიკური პირის პირადობის დამადასტურებელი მოწმობა, იურიდიული პირების მონაწილეობის შემთხვევაში, დამატებით, წარმომადგენლობითი უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი და ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან, წარედგინება სააუქციონო კომისიის მდივანს რეგისტრაციისათვის, რის შემდეგაც გაიცემა „მონაწილის ბილეთი". უმცირესი „ბიჯი" შეადგენს 5 (ხუთი) ლარს. აუქციონის დასრულების შემდეგ დგება ოქმი, რომლის ხელმოწერიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღეში მყიდველმა ოქმში მითითებულ ანგარიშზე უნდა ჩარიცხოს ობიექტის მთლიანი თანხა ან ნახევარი მაინც, რომელიც შეესაბამება მის მიერ აუქციონზე დასახელებულ საბოლოო ფასს. იმ შემთხვევაში თუ ზემოაღნიშნულ ვადაში მყიდველმა გადაიხადა ობიექტის ღირებულების მხოლოდ ნახევარი, გადახდის ვადა გახანგრძლივდება ოქმის ხელმოწერიდან კიდევ 30 კალენდარული დღით. თუ მყიდველი უარს იტყვის ნაყიდ ქონებაზე ან დროულად არ შეიტანს საჭირო თანხას, მას ჩამოერთმევა უფლება ქონების შეძენაზე და გადახდილი თანხა და ,,ბე" არ დაუბრუნდება. საჯარო აუქციონის ფორმით სახელმწიფო ქონების რეალიზაციის მიზანია, საკუთრების უფლება მიენიჭოს საჯარო აუქციონში მონაწილე იმ პირს, რომელიც ვაჭრობის პროცესში სახელმწიფო ქონების განმკარგავ სუბიექტს ყველაზე მაღალ ფასს შესთავაზებს. ასევე აუქციონში გამარჯვებულის დადგენის და მის მიერ აუქციონზე შეთავაზებული თანხის სრულად დაფარვის შემდეგ მოხდება ქონების მყიდველისათვის გადაცემა.

პირს უფლება აქვს ბეს დაუკავებლად უარი განაცხადოს წერილობითი ფორმით საჯარო აუქციონში მონაწილეობაზე, განაცხადების მიღების ვადის ამოწურვამდე 48 საათით ადრე.

აუქციონში მონაწილეობაზე განცხადების მიღებას კომისია იწყებს აუქციონის გამოცხადების დღიდან და ამთავრებს აუქციონის დაწყებამდე 24 საათით ადრე. დადგენილი ვადის გასვლის შემდეგ განცხადებები არ მიიღება. დაინტერესების შემთხვევაში, დაწვრილებითი ინფორმაციის მიღების მიზნით და ლოტების სანახავად შეგიძლიათ მიმართოთ ბექა ბარბაქაძეს (ტელ: 2 40-63-97, მობ: 577 98-40-34).

**საქართველოს ეროვნული ბანკის სააუქციონო კომისია**

# საჯარო განხილვა

**სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა"-ს მიერ ქ. გარდაბანში „ქვესადგური „BP-ჯანდარა 110/10 კვ"-ის და 110 კვ ელექტროგადამცემი ხაზი „ბიპის" (არსებული 110 კვ ეგხ „უდაბნოს" და „ძმობას" ცალკეული უბნების რეკონსტრუქციის პროექტი) მშენებლობის და ექსპლოატაციის" გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის საჯარო განხილვა**

**საჯარო განხილვის ჩატარების ადგილი:** ქ. გარდაბნის მუნიციპალიტეტის გამგეობის შენობა, მისამართი: ქ. გარდაბანი, დ. აღმაშენებლის ქ. №172;
**საჯარო განხილვის ჩატარების თარიღი და დრო:** 2016 წელი, 14 ნოემბერი, 15:00 სთ;
**დაგეგმილი საქმიანობის დასახელება:** ქ. გარდაბანში „ქვესადგური „BP-ჯანდარა 110/10 კვ"-ის და 110 კვ ელექტროგადამცემი ხაზი „ბიპის" (არსებული 110 კვ ეგხ „უდაბნოს" და „ძმობას" ცალკეული უბნების რეკონსტრუქციის პროექტი) მშენებლობა და ექსპლოატაცია;
**დაგეგმილი საქმიანობის განმახორციელებელი:** სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა";
**დაგეგმილი საქმიანობის განხორციელების ადგილი:** გარდაბნის მუნიციპალიტეტის ტერიტორია;

დაგეგმილი საქმიანობის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშთან დაკავშირებული წერილობითი შენიშვნები და კომენტარები შეგიძლიათ მიაწოდოთ სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა"-ს 2016 წლის 4 ნოემბრის ჩათვლით, მისამართზე: ქ. თბილისი, ნ. ბარათაშვილის ქ.2. საკონტაქტო პირები: თინათინ ჟიჟიაშვილი, ტელ: 577380113, ელ. ფოსტა: tinatin.zhizhiashvili@gse.com.ge; ირაკლი ჯინორია, ტელ: 577 38 11 11 ელ. ფოსტა: irakli.jinoria@gse.com.ge

გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიში და მასთან დაკავშირებული დეტალური ინფორმაცია ხელმისაწვდომია შემდეგ მისამართებზე:
– სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა"-ს სათაო ოფისი. ქ. თბილისი, ბარათაშვილის ქ.2;
– გარდაბნის მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციული შენობა, ქ. გარდაბანი, დ. აღმაშენებლის ქ. №172;
– საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს გარემოზე ზემოქმედების ნებართვების დეპარტამენტი, ქ. თბილისი, გულუას ქ. №6; ტელ.: +995 (32) 272-72-60

# კუდ-ის ყოფილი მაღალჩინოსანი „ნაცის" აღიარება

**თბილისის საქალაქო სასამართლოში ე.წ. ნავთლუღის სპეცოპერაციის საქმეზე კუდ-ის ყოფილი მაღალჩინოსანი გიორგი მერებაშვილი, მეტსახელად „ნაცი" დაიკითხა.** მერებაშვილის განცხადებით, ის უშუალოდ სპეცოპერაციაში არ მონაწილეობდა და ნავთლუღის ავტოსადგურთან ახლოს იმყოფებოდა, ხოლო შემთხვევის ადგილზე მას შემდეგ მივიდა, რაც სროლების ხმა გაიგო. მისივე თქმით, როდესაც ის ავტოსადგურში მივიდა, სამი ახალგაზრდა უკვე გარდაცვლილი იყო, მათ წინ იარაღი ეყარა, ხოლო ადგილზე უკვე იმყოფებოდნენ კუდ-ის ყოფილი უფროსი დათა ახალაია, ასევე შალვა თათუხაშვილი, გიორგი დგებუაძე და სხვა პირები. როგორც მოწმემ აღნიშნა, მოგვიანებით დავით ჩხატარაშვილისგან, რომელიც დათა ახალაიას მოადგილის თანამდებობას იკავებდა, მიიღო დავალება, რომ მოეძებნა აღნიშნული სპეცოპერაციისთვის ცრუ მოწმეები – **„დავით ჩხატარაშვილმა მითხრა, მომეძებნა ორი პიროვნება, რომლებიც იტყოდნენ, რომ შეესწრნენ სამი ადამიანის მიერ შეიარაღებულ წინააღმდეგობას. მე შევარჩიე ორი პირი, რომელთა შესაძლებლობებსაც ვიყენებდი ოპერატიული საქმიანობის მასალების შეგროვებისას",** – განაცხადა გიორგი მერებაშვილმა.



ე.წ. ნავთლუღის სპეცოპერაციის საქმეზე ბრალი კუდ-ის ყოფილ უფროსს დათა ახალაიას და კუდ-ის ყოფილ მაღალჩინოსანს გია დგებუაძეს, მეტსახელად „მასტერას" აქვთ წარდგენილი.

# ორი ბანკის მძარცველები დაკავებული არიან

**შსს-ს თბილისის პოლიციის დეპარტამენტის, ისანი-სამგორის სამმართველოს, ქვემო ქართლის პოლიციის დეპარტამენტის და საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის ქვემო ქართლის მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა ერთობლივად ცხელ კვალზე ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, წარსულში ნასამართლევი ორი პირი: 1973 წელს დაბადებული ლ.გ. და 1974 წელს დაბადებული შ.ლ. ჯგუფურად ჩადენილი ყაჩაღობის ბრალდებით დააკავეს.**

მიმდინარე წლის 17 სექტემბერს ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღებით შეიარაღებული, ნიღბიანი ბრალდებულები თბილისში, ვაზისუბნის დასახლებაში მდებარე სავაჭრო ცენტრ „სმარტში" განთავსებულ „საქართველოს ბანკისა" და „ლიბერთი ბანკის" ფილიალებს თავს დაესხნენ და დიდი ოდენობით ფული გაიტაცეს. შემდეგ სავაჭრო ცენტრის მიმდებარე ტერიტორიაზე მოქალაქე ი.ბ.-ს იარაღის მუქარით ავტომანქანა „ჰონდა ფიტი" გასტაცეს და მიიმალნენ.



სამართალდამცველებმა მომხდარიდან მეორე დღეს შ.ლ. – მარნეულის რაიონის სოფელ შაუმიანში დააკავეს, ხოლო ლ.გ. – საქართველო-სომხეთის სასაზღვრო გამტარ პუნქტ „სადახლოში". გამოძიებით ასევე დადგინდა, რომ ლ.გ. ადრე ჩადენილ სხვა დანაშაულშიც არის მხილებული.

პოლიციამ გატაცებული ავტომანქანა და ბანკებიდან წაღებული თანხის ნაწილი ნივთმტკიცებად ამოიღო.

# ბუმბერაზი კაცი მოგვიკვდა ჩვენ ყველას - შენ, მე, სრულიად საქართველოს!



ბუმბერაზი კაცი მოგვიკვდა ჩვენ ყველას — შენ, მე, სრულიად საქართველოს!

დღევანდელ ქართულ კულტურას მისი ტოლი, მისი მასშტაბის კაცი არ ჰყავდა.

სამწუხაროდ!

იყვნენ და წავიდნენ!

იყო დრო, როცა მას არ აკლდა დაფასება, პატივისცემა, სიყვარული!

ჰოდა, როცა წასვლის დრო მოუწია, ამხელა კაცი, გულნატკენი წავიდა.

მემორიალი აუფეთქეს!

ის ამაზრზენი საქციელი, რომელსაც „ისლამური სახელმწიფოს“ მესვეურები სჩადიან ქრისტიანული კულტურის ძეგლების განადგურებით, მთელი მსოფლიო ბარბაროსებად რომ თვლის, აგერ, რამდენიმე წლის წინათ ჩაიდინეს ქუთაისში, ევროპა-ამერიკის უნივერსიტეტებში გადაბალახებით მიღებული განათლების დამადასტურებელი დიპლომებით თავმომწონე იდიოტებმა. თანაც სისხლიანად...

მერე, ეცნენ და დიდი დავითი „გააძევეს“ რესპუბლიკის მოედნიდან, რათა აღმაშენებლის საქართველოს სიმბოლო(!) „ვარდების“ ველოსიპედით(!) შეეცვალათ.

მოჰკითხე ახლა მათ ჭკუა!

გული კი მაგრად ატკინეს ამ ბუმბერაზს პატარა კაცებმა! „დიდი“ თანამდებობების მქონე კაცუნებმა, გრძელმა (და არა მაღალმა) ლილიპუტებმა.



კიდევ უფრო სამწუხაროა, რომ მავანმა, ვისაც პრეტენზია აქვს (და არც მთლად უსაფუძვლოდ) პატრიოტობაზე, ვერ „მოახერხა“ თუ ვერ „მოასწრო“ ის, რასაც სამართლიანობის აღდგენა ჰქვია... თუნდაც ამ სფეროში!

სამწუხაროა!

მაგრამ, ყველაფერი დამთავრებული მაინც არ არის ჯერ! რამეთუ კიდევაც დაიზრდებიან ალგეთს ლეკვები მგლისანი!..

**ნუგზარ ფოფხაძე**

## სანთელი



**საქართველოს თეატრალური საზოგადოება ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა დიდი ქართველი მოქანდაკე, ჩვენი საზოგადოების წევრი, ბევრი ქართული სპექტაკლის უზადო მხატვარი, თავდადებული მამულიშვილი**

**მერაბ ბერძენიშვილი**

**და სამძიმარს უცხადებს მის ოჯახს და ახლობლებს.**

---

**ეთერ ქემერტელიძე ღრმა გულისტკივილს გამოთქვამს კეთილი მეგობრის, დიდი**

**მერაბ ბერძენიშვილის**

**გარდაცვალების გამო. თანაუგრძნობს მეუღლეს, ქალბატონ კირას, ძმას, ბატონ ელგუჯას და სრულიად საქართველოს.**

---

**გარდაიცვალა დიდი ქართველი მოქანდაკე, უბადლო ხელოვანი, ჩემი მეგობარი**

**მერაბ ბერძენიშვილი**

**ვუსამძიმრებ ოჯახს და სრულიად საქართველოს**

**მერაბ მერაბიშვილი**

---

**მერაბ! — შენ დაამთავრე ამქვეყნიური ცხოვრება და გადახვედი სამარადისო სიცოცხლეში. საოცრად მთლიანი იყავი, როგორც კაცი, როგორც მხატვარი, ესეისტი, მთხრობელი. შენს მეგობრებს ძალიან მოგვენატრება შენი ხმა. ძლიერ გტკიოდა შენი საქართველო...**

**წავიდა დიდი მოქანდაკე და ერისკაცი. გაიყოლია ტკივილები.**

**შენ მხოლოდ ცხოვრების წესი შეიცვალე, უკვდავი ხარ!..**

**ვახტანგ დავითაია**

---

**გივი მესხიშვილი ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა უახლოესი მეგობარი, დიდი ქართველი მოქანდაკე**

**მერაბ ბერძენიშვილი**

**და თანაგრძნობას უცხადებს განსვენებულის ოჯახს.**

# გლდანში ყვითელი ავტობუსი მაღაზიას დაეჯახა

**გლდანში, მეტროსადგურ ახმეტელის მიმდებარედ, მუნიციპალური ე. წ. ყვითელი ავტობუსი ერთ-ერთ მაღაზიას დაეჯახა. შემთხვევის შედეგად ავტობუსში მყოფი სამი ადამიანი დაშავდა.**

მომხდარზე გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 276-ე მუხლის პირველი ნაწილით მიმდინარეობს, რაც გულისხმობს სატრანსპორტო საშუალების ექსპლუატაციის ან უსაფრთხოების წესის დარღვევას, რამაც გამოიწვია ჯანმრთელობის მსუბუქი დაზიანება.



შემთხვევა კვირას, ღამის საათებში მოხდა. არსებული ინფორმაციით, მორიგე მძღოლი თბილისის სატრანსპორტო კომპანიის თანამშრომლებს ემსახურებოდა სახლებში წასაყვანად, რა დროსაც შეუძლოდ გახდა და ავტობუსის მართვაზე კონტროლი დაკარგა. დაშავებულები საავადმყოფოში გადაიყვანეს, მგზავრები მალევე გაწერეს, მძღოლის მდგომარეობა კი შედარებით მძიმეა.

თბილისის სატრანსპორტო კომპანიის ცნობით, ავტოსაგზაო შემთხვევა მძღოლის ჯანმრთელობის გაუარესებამ გამოიწვია. ამჟამად მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა მძიმეა და იმყოფება ექიმების მეთვალყურეობის ქვეშ.

# ბაგრატის ტაძართან მოკლული მამაკაცი მრევლმა იპოვა

**ქუთაისში, ბაგრატის ტაძართან მოკლული მამაკაცის ცხედარი იპოვეს, — ინფორმაცია შს სამინისტრო ადასტურებს. გავრცელებული ინფორმაციით, ცხედარი მრევლმა იპოვა და საპატრულო პოლიცია გამოიძახა.** შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, მომხდარზე გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 117-ე მუხლითაა დაწყებული, რაც სხეულის განზრახ მძიმე დაზიანებას გულისხმობს. უწყების ინფორმაციით, მკვლელობაში ბრალდებული დაკავებულია.

## განცხადება

იყიდება უშუალოდ კურორტ „საირმის“ ტერიტორიაზე, სამკურნალო წყლებიდან რამდენიმე ათეული მეტრის დაშორებით მდებარე 2433 კვ. მეტრი საუკეთესო მიწის ნაკვეთი. ფასი — შეთანხმებით. ტელ.: 599 36 00 35; 599 17 21 21; 599 79 76 79.

**საერთაშორისო საქველმოქმედო ფონდი „მამულიშვილთა გახსენება“ და მისი პრეზიდენტი ბონდო კობაძე ღრმა მწუხარებას გამოთქვამს დიდი ქართველი მამულიშვილის, თანამედროვეობის უდიდესი მოქანდაკის, დავით აღმაშენებლის, შოთა რუსთაველის, გიორგი სააკაძის და სხვა უბრწყინვალესი ძეგლების ავტორის, ფონდის მიერ განხორციელებული ეროვნული პროექტების მხარდამჭერისა და მისი ბრწყინვალე შემფასებლის, საქართველოს სახალხო მხატვრის, შოთა რუსთაველისა და სახელმწიფო პრემიების ლაურეატის, აკადემიკოს**

**მერაბ ბერძენიშვილის**

**გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებს მის უკეთილშობილეს და სათნოებით მოსილ მეუღლეს, ქალბატონ კირა მიქელაძეს, ნათესავებს, კოლეგებს, მეგობრებს და სრულიად საქართველოს.**

---

**საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია სამძიმარს უცხადებს აკადემიის კანცელარიის უფროსს ზაირა ძირკველიშვილს ძმის**

**კონსტანტინე (კოტე) ძირკველიშვილის**

**გარდაცვალების გამო.**

# ქართული სამხედრო ავიაცია 24 წლის გახდა

**ალექსეევკის შერეული საავიაციო ესკადრილიის სამხედრო აეროდრომზე ქართული სამხედრო ავიაციის 24-ე წლის იუბილე აღინიშნა. ავიაციისა და საჰაერო თავდაცვის სარდლობის პირად შემადგენლობას სამხედრო ავიაციის იუბილე საქართველოს თავდაცვის მინისტრმა ლევან იზორიამ და ავიაციისა და საჰაერო თავდაცვის სარდლის მოვალეობის შემსრულებელმა პოლკოვნიკმა დავით აბრამიშვილმა მიულოცეს.**

საზეიმო ცერემონიალი საქართველოს სახელმწიფო ჰიმნით გაიხსნა. ღონისძიებაზე მოწვეულმა სტუმრებმა საბრძოლო მოქმედებებსა და საერთაშორისო მისიებში დაღუპული სამხედრო მოსამსახურეების ხსოვნას წუთიერი დუმილით პატივი მიაგეს.

საქართველოს თავდაცვის მინისტრმა ავიაციისა და საჰაერო თავდაცვის სარდლობის პირად შემადგენლობას სამხედრო ავიაციის იუბილე მიულოცა და ყურადღება საქართველოს საჰაერო თავდაცვის სისტემების გაუმჯობესებაზე გაამახვილა: „გულითადად გილოცავთ დღევანდელ იუბილეს. მე აქ ვისმენდი თქვენ ისტორიას, მოვისმინე სახელები და გვარები იმ გმირებისა, რომლებმაც ჩვენი ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის დაცვისთვის თავი გაწირეს. ამიტომ ეს მოგონება, მათი სახელების ჩამოთვლა ამ სახელების გახსენებას კი არა, იმ დიდი ისტორიის გახსენებას უკავშირდება, რა ისტორიასაც თქვენი დანაყოფი ატარებს, იმ ვაჟკაცობას უკავშირდება, იმ ქვეყნისადმი ერთგულებას უკავშირდება, რომლითაც თქვენ გამოირჩევით. ამიტომ ამ სახელების გახსენება არის თქვენი, ჩვენი განმტკიცება იმ სამსახურისთვის, რასაც სამშობლოსათვის სამსახური ქვია. დარწმუნებული ვარ, თქვენ თქვენი სამსახურით მუდამ დარჩებით ერთგული მათი პატივის და მათი სახელების წინაშე.

---

**საქართველოს ილია ჭავჭავაძის სახელობის მწიგნობართა ასოციაცია ღრმა მწუხარებას გამოთქვამს შესანიშნავი მეცნიერისა და პედაგოგის, ქართველ ჟურნალისტთა მრავალი თაობის აღმზრდელის, მწიგნობართა ასოციაციის რესპუბლიკური გამგეობის წევრისა და ბიბლიოფილთა ალმანახ „მწიგნობრის“ მთავარი რედაქტორის**

**ნოდარ ტაბიძის**

**გარდაცვალების გამო და თანაგრძნობას უცხადებს ოჯახის წევრებსა და ახლობლებს.**

---

**მეუღლე ლეილა ქსოვრელი, შვილები თინიკო, თამუნა მეიშვილები, შვილიშვილი ნინო გვახარია, სიძე ვანო იმერლიშვილი იუწყებიან, რომ გარდაიცვალა**

**იური მეიშვილი**

**პანაშვიდი 20, 21 IX, გამოსვენება 22 IX, 14 საათზე. მისამართი: მიცკევიჩის 25, I სადარბაზო, V სართული.**

# როცა ძალიან მიჭირს...

**„როცა ძალიან მიჭირს, ვიხსენებ, როგორ წვება ზღვაში კვიპაროსის ჩრდილი“, – ასე გვამშვიდებდა პროფესორი ნოდარ ტაბიძე ამა თუ იმ ცხოვრებისეული პრობლემით შეჭირვებულ შეგირდებს.**

ახლა ეს უებარი „წამალიც“ ველარ გვიშველის...

* * *

ძალიან ბევრი იცნობდა, აფასებდა, პატივს სცემდა – ჯიშით, ოჯახიშვილობით, დარბაისლობით, თამადობით, წიგნებით, გამოკვლევებით, გენიოსის ძმისწულობით, საკუთარი ღვაწლით...

და მაინც, ნოდარ ტაბიძის ნამდვილი ფასი ბოლომდე ვერ ეცოდინებოდა მას, ვინც მისი სტუდენტი არ ყოფილა.

რაგინდ მრავალმხრივიც იყოს ადამიანი, უფალი მას მაინც ერთ მთავარ მისიას აკისრებს.

ნოდარ ტაბიძე, მარინე ყიფშიძეს დავესესხები, პროფესორად იყო დაბადებული და ეს წოდება საკუთარი გვარ-სახელივით უხდებოდა.

ამიტომაც ვერ დავეთანხმე ვახტანგ ჯავახაძეს, როცა თავის განუყრელ მეგობარს საჯაროდ მიმართა – სხვა საქმეებს სხვებიც მიხედავენ, დაჯექი და დაწერე ის, რასაც შენს გარდა ვერავინ დაგვიწერსო. ბატონი ვახტანგი, რა თქმა უნდა, გალაკტიონის ცხოვრებისა და შემოქმედების ჯერ კიდევ დაფარულ საიდუმლოთა ახსნას გულისხმობდა...

გალაკტიონზე ბევრი ფასდაუდებელი რამ დაწერა, მაგრამ გული არც ჩვენ დაგვწყვიტა და, კიდევ კარგი, სხვა ნაშრომებთან ერთად, „პუბლიცისტიკის საკითხების“ პირველი ტომი მაინც დაგვიტოვა.

* * *

ჩვიდმეტი წელი ჟურნალისტიკის ფაკულტეტის დეკანი იყო, ოცდახუთი წელი - კათედრის გამგე.

და როცა დედაუნივერსიტეტს ამოძირკვით დაემუქრნენ, ნაჯახი პირველად სწორედ მას მოუქნიეს, თანაც, რაც მისთვის განსაკუთრებით გულსაკლავი იყო , ყოფილი სტუდენტის ხელით – იუდა ხომ მარად ცოცხალია!

როცა თავისი სათაყვანებელი უნივერსიტეტი დაატოვებინეს, არაფერი თქვა, შეურაცხყოფა არ შეიმჩნია, ნაღველი გულში ჩაიკლა. გული დიდი და ძლიერი ჰქონდა და გაუძლო, სამაგიეროდ, გაუმჟღავნებელმა დარდმა ის ხერხემალი დაუზიანა, მაღალსა და წარმოსადეგს მუდამ წელგამართულს რომ დაატარებდა.

იმ შეუბრალებელი კომისიის წევრებმა ჯილდოდ გრანტები და თანამდებობები მიიღეს, ზოგი ახლა შეწყალების კომისიას ხელმძღვანელობს, ზოგიც - „სამოქალაქო განვითარების ინსტიტუტს“ ...

მოკლედ, სამართლიანობისა და დემოკრატიის დამცველებად(?!) გვევლინებიან...


გალაკტიონ და ნოდარ ტაბიძეები

* * *

ეს ერთხელ უკვე დავწერე:

„ლექტორი ბევრია, მოძღვარი - ცოტა. ნოდარ ტაბიძე მოძღვარია“...

„არც ერთი დღე სტრიქონის გარეშე!“ – გამუდმებით გვიმეორებდა იგი და, პარალელურად, ცხოვრებასაც გვასწავლიდა. საქართველოს სხვადასხვა კუთხეში დაგვატარებდა და გალაკტიონისეულ სამშობლოს გრნობას გასაკვირველს განგვაცდევინებდა...

იმ კომუნისტურ ეპოქაში მას შეეძლო, ეთქვა,: „ გაზაფხულის ასეთ დღეს სტუდენტი რომ აუდიტორიაში დაჯდება, მისგან ჟურნალისტი არ დადგება!“ არადა, მის ლექციას ვინ გააცდენდა?!

სხვათა შორის, ამ ფრაზამ პაროლის ფუნქცია შეიძინა ისტორიულ 14 აპრილს – გასაგები იყო, სადაც უნდა წავსულიყავით...

ერთხელ, როგორც ზვიადისტი, მეუღლესთან, ქალბატონ ფიქრია ზანდუკელთან ერთად, „სადაც ჯერ არს“ დაიბარეს და მკაცრად გააფრთხილეს: „ თუ სტუდენტებისთვის გონების ამღვრევას არ შეეშვებით“...

მაინც არ ეშვებოდა.

ბუნებით ლიბერალიც კი ეთქმოდა (ოღონდ, არა დღევანდელი გაგებით), მაგრამ როცა საქმე პრინციპების დაცვაზე მიდგებოდა, საოცარი გაკერპება იცოდა...

მთავარი კი ის იყო, რომ მუდამ გვამხნევებდა თავისი განუყრელი ფრაზით: „არ მაქვს უფლება ცუდად ყოფნისა“...

* * *

საკმაოდ დიდხანს იწვალა, მაგრამ ერთხელაც არ დაუწუწუნია.

– ბატონო ნოდარ, რაიმე გტკივათ?

– არა.

ასე იყო ბოლომდე.

„სასთუმალთან ერთხელაც არ დავიკვნესებ“ – ლადო ასათიანის ეს სიტყვები ასე , ალბათ, არავის აუცხადებია.

* * *

„როცა ძალიან მიჭირს, ვიხსენებ, როგორ წვება ზღვაში კვიპაროსის ჩრდილი“ – ასე გვამშვიდებდა ხოლმე თავის შეგირდებს.

ახლა ეს უებარი „წამალიც“ ველარ გვიშველის.

აი, თურმე როგორ წვება ზღვაში თვითონ კვიპაროსი!..

**იოსებ ჭუმბურიძე**

---

**◎ პირველად საქართველოში**

# „ერთა ფილარმონია“ თბილისში

**ასოციაცია „კულტურათა დიალოგი XXI“-ის თაოსნობით 27 სექტემბერს 19 საათზე თბილისის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის სცენაზე საქართველოში პირველად გამართავს კონცერტს მსოფლიოს ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი და წარმატებული საერთაშორისო სიმფონიური ორკესტრი „ერთა ფილარმონია“ (მსოფლიო მშვიდობის ორკესტრი) მისი დამფუძნებლის, გამოჩენილი მუსიკოსის იუსტუს ფრანცის დირიჟორობით. კონცერტის პროგრამაშია ლუდვიგ ვან ბეთჰოვენის მეშვიდე სიმფონია, ყარა ყარაევის მესამე საფორტეპიანო კონცერტი, რომელშიც იუსტუს ფრანცი სოლისტის ამპლუაშიც წარსდგება.**




**„მეგობრობით ერთად შევქმნათ მუსიკა“** – ლეონარდ ბერნსტაინის ლაკონურად გამოთქმულმა ხედვამ მუსიკის რაობისა ერების, ხალხების გაერთიანების საქმეში, იეჰუდი მენუჰინის ინსპირაციამ შთააგონა ცნობილი მუსიკოსი – დირიჟორი და პიანისტი იუსტუს ფრანცი 1995 წელს შეექმნა „ერთა ფილარმონია“ – საერთაშორისო, ინტერნაციონალური პროფესიული ორკესტრი. მას შემდეგ, ორი ათეული წლის მანილზე გერმანიაში მოღვაწეობამ და მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში გამართულმა საგასტროლო ტურნეებმა „ერთა ფილარმონია“ ჰუმანიზმის მშვიდობიანი მშენებლობის ბგერითი, ჟღერადი მშვენიერების სიმბოლოდ აქცია.

მრავალი ეროვნების მუსიკოსი წელიწადში რამდენჯერმე იკრიბება ინტენსიური შემოქმედებითი მუშაობისა და მუსიკალური ტურნეების განსახორციელებლად. სერბი, სლოვენი, ებრაელი, ჩინელი, ფრანგი, რუსი, უკრაინელი, გერმანელი, ქართველი, რუმინელი, უნგრელი, პოლონელი, ბელარუსი, ბულგარელი მუსიკოსები ერთობლივად ქმნიან მუსიკას. მათი მშვიდობიანი თანაარსებობის საიდუმლო კი, თავად მუსიკაა – მათი გამაერთიანებელი საერთო ენა. იუსტუს ფრანცმა დიდი წარმატებით შექმნა სამაგალითო და სიმბოლური ანსამბლი მსოფლიოს ყველაზე ნიჭიერი მუსიკოსებისგან. ამის დასტურს კი ათას სამასზე მეტი კონცერტის გარდა, ათეულობით გამოცემული კომპაქტ-დისკიც წარმოადგენს.

ორკესტრ „ერთა ფილარმონიის“ კოლოსალურ შემოქმედებით ბიოგრაფიაში, არის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი და გამორჩეულად სიმბოლური ღონისძიებები, აი, ზოგიერთი მათგანი: 1996 წელს ორკესტრი მთავარი შემოქმედებითი სტუმრის სტატუსით მონაწილეობდა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის პრეზიდენტის რომან ჰერცოგის ჩინეთში ოფიციალური ვიზიტის კულტურულ ნაწილში; 1998 წელს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივნის კოფი ანანის მიწვევით „ერთა ფილარმონიამ“ კონცერტი გამართა ნიუ-იორკში გაეროს გენერალური ასამბლეის ჰოლში; 2000 წელს გერმანიის ფედერალური პრეზიდენტის იოჰანეს რაუს მიწვევით ორკესტრმა კონცერტი გამართა ბერლინში, რაიხსტაგის თაღის ქვეშ; 2001 წელს რომის პაპის იოანე პავლე II-ის მიწვევით „ერთა ფილარმონიამ“ კონცერტი გამართა პაპის საზაფხულო რეზიდენციაში; 2003 წელს ბეთჰოვენის მეცხრე სიმფონიის ხელნაწერისთვის მსოფლიო დოკუმენტური მემკვიდრეობის ინდექსის „მსოფლიო მეხსიერების“ მინიჭებასთან დაკავშირებულ საზეიმო კონცერტზე ბერლინის საკონცერტო დარბაზში ეს სიმფონია იუსტუს ფრანცის დირიჟორობით სწორედ „ერთა ფილარმონიამ“ ააჟღერა; 2004 წელს სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის პრეზიდენტის ტაბო მბეკის მიწვევით აპარტეიდის დასრულების 10 წლისთავისადმი მიძღვნილ კონცერტზე „ერთა ფილარმონია“ მსმენელთა წინაშე წარსდგა კვაზულუ-ნატალის ფილარმონიულ ორკესტრთან და სამხრეთ აფრიკის გუნდთან ერთად; 2006 წლის ოქტომბერში „მონბლანის მეგობრობის ტურნეს“ ფარგლებში ორკესტრმა კონცერტები გამართა პეკინსა და შანხაიში; 2015 წლის ოქტომბერში „ერთა ფილარმონიისა“ და ისრაელის სინფონიეტას ერთობლივი მუსიცირებით რვა კონცერტი გაიმართა გერმანიასა და ისრაელში; ამავე წელს ვატიკანის საეკლესიო მუსიკის ფესტივალზე რომში ამ ორკესტრებმა ერთობლივად შეასრულეს გუსტავ მალერის მეორე სიმფონია „აღდგომა“.

წლევანდელ 2016 წელს იუსტუს ფრანცი და „ერთა ფილარმონია“ 15 საქველმოქმედო კონცერტით შეეგება სირიელ დევნილთა დახმარებისა და განათლების ხელშეწყობის დაფინანსების მიზნით.

„ერთა ფილარმონია“ იუსტუს ფრანცის ხელდასხმით დიდი წარმატებით უწევს პოპულარიზაციას კლასიკური მუსიკის გლობალურ მემკვიდრეობას და ქმედითად ემსახურება მშვიდობის დამყარებას მთელს მსოფლიოში.

კონცერტის მხარდამჭერები არიან თბილისის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრი, საქართველოს კულტურის ფონდი, მერაბ ბერძენიშვილის კულტურის საერთაშორისო ცენტრი „მუზა“ და ღონისძიებების მართვის საერთაშორისო ცენტრი „VIPR“.

**ზურაბ ოიკაშვილი**






# გილოცავთ!

**პროფესორ გივი მინდელის საზოგადოების წევრები რევაზ თევზაძე, დემურ მიქაძე, დათო დათოშვილი, გაიოზ გალდავაძე, ბონდო ქობულია, ივიკო საყვარელიძე, მერაბ მახარაძე, თამაზ ყაჭეიშვილი, როლანდ იოსელიანი, ჯუმბერ გონაშვილი, რევაზ არველაძე, გია მახარაძე, ომარ ცაავა, გია რამიშვილი, ვალერი ვარდოსანიძე ულრმესი პატივისცემითა და სიყვარულით ულოცავენ ამავე საზოგადოების წევრს, საქართველოს სოფლის მეურნეობისა და კვების სამინისტროების წამყვანი დარგების ყოფილ თავკაცს, მეგობრებისა და ახლობლების სიყვარულის ეტალონს, ღვთისნიერ პიროვნებას, ბატონ**

**გურამ ახრახაძეს**

დაბადების დღეს.

## მოუფრთხილდით გულს!



**სახელოვანი კარდიოქირურგი რენატ აკჩურინი ოთხ რჩევას აძლევს მათ, ვისაც გულთან დაკავშირებით გარკვეული პრობლემები აქვს და მისი მაქსიმალურად გაფრთხილება ჰმართებთ.**

გიყვარდეთ თქვენი ახლობლები – გახსოვდეთ, მათაც გული აქვთ და თქვენი „ძრავის“ ჯანმრთელობა უშუალოდაა დამოკიდებული თქვენთვის ძვირფასი ხალხის ჯანმრთელობასა და ბედნიერებაზე;

**გაუფრთხილდით საკუთარ თავს** – ზომიერად იკვებეთ, უარი თქვით ცხიმიან საჭმელზე, მოერიდეთ ხორციან კერძებს, მეტად მიირთვით ბოსტნეული და ხილი;

**მეტი იმოძრავეთ** – უმოძრაო „ძრავა“ მალევე „ქრება“;

**თავს ზედმეტად ნუ დაიტვირთავთ** – ტყუილუბრალოდ ნუ ინერვიულებთ, ერთბაშად ყველა საქმის კეთებას ნუ მოინდომებთ, რადგან გულს აუცილებლად შესვენება სჭირდება.

## ◉ ანეკდოტები

**ორი** თანაკურსელი ხვდება ერთმანეთს, ერთი მილიონერია, მეორე – უსახლკარო.

– რას შვრები, როგორაა საქმეები?

– აუჰ, თავი სად წავიღო, აღარ ვიცი – სულ შეხვედრები, მოლაპარაკებები, ფურშეტები, ბანკეტები... გავსუქდი, კანში ველარ ვეტევი!..

– ჰო... მე კიდე ერთი კვირაა ლუკმა არ ჩამიდია პირში!..

– აჰ, ასე არ ვარგა, ძამიკო! თავს უნდა მიხედო, ძალა დაატანო!..



* * *

**სად** გავცივდი ამ სიცხეში, წარმოდგენა არა მაქვს, მაგრამ მირჩიეს ხალხური საშუალებით – არყით და თაფლით მემკურნალა. კაი წამალი კია, მაგრამ უკვე სამჯერ ჩავირბინე მაღაზიაში, ვერაფრით პროპორციები ვერ შევუფარდე ერთმანეთს – ხან არაყი მაკლდება, ხან თაფლი.

* * *

– **ტიტუ**, ტიტუ, რავარი ლამაზი გოგონა გყავს, ნაზიბროლა, თლა შენ გგავს!

– აი, გოგო კი არა, ვერ ხედავ, ბიჭია, შე ქალო!

– ტიტუ, ტიტუ, რავარი ჭკვიანი ბიჭი გყოლია, შენ მეისპე, ნაზიბროლა, თლა გამოცხადებული მამამისია!

* * *

**ძალიან** ძნელია კაცი ძუძუს გადააჩვიო – გინდა ექვსი თვის იყოს, გინდა ორი წლისა და გინდა ორმოცის!..

* * *

**ფეხბურთი** – ეს ისეთი თამაშია, როცა 22 კაცი, თავიანთ მწვრთნელებიანად და სათადარიგოებიანად, არ სვამს, თამბაქოს არ ეწევა, ქალებში ნაკლებად დადის და სპორტს მისდევს. მილიონობით დანარჩენი საცოდავი კი მათ გამო გულსაც იხეთქავს, სვამს კიდეც, თამბაქოსაც ეწევა, თვითონაც თავს იკლავს და სხვასაც სპობს.

## „ზვიგენა“ ლოქო



**იტალიის ერთ-ერთ მდინარეში 30 წლის ლოქო დაიჭირეს, რომელიც 120 კილოგრამს იწონიდა(!). მანამდე, ცნობილი იყო 50 კილოგრამამდე ლოქოები, რომლებიც ბელორუსში დაუჭერიათ, თუმცა იქ ამას რადიაციის შედეგად თევზებისა და ცხოველების მუტაციებით ხსნიან, მაგრამ იტალიური ფენომენის ახსნა მეცნიერებმა ჯერჯერობით ვერ შეძლეს.**

თან საქმე ისაა, რომ სინამდვილეში, მუტაციის შედეგად, ლოქოები ზომით კი არ იზრდეიბან, პირიქით, პატარავდებიან, რაც გარემოს დაბინძურების შედეგია. ამჟამად მეთევზეები იშვიათად იჭერენ 50 კილოგრამზე მეტ და 15 წელზე დიდი ასაკის ლოქოებს. ამ ფონზე „იტალიური სასწაული“ მართლაც გამორჩეულია. თუმცა კი ისიცაა, რომ ჯერ კიდევ მე-20 საუკუნის დასაწყისში ასეთი ლოქო „საშუალოში“ გავიდოდა. იმ ხანებში დნეპრში 5 მეტრამდე სიგრძის და 320 კილოგრამზე მძიმე ლოქოებს იჭერდნენ!

## ორიოდ სიტყვით...

● **როდის შექმნეს გლობუსი?** – ჩვენს წელთაღრიცხვამდე მე-2 საუკუნეში.

● **სკდება თუ არა საპნის ბუშტები ხმამაღალი ბგერისგან?** – კი.

● **რად ეკუთვნის ინგლისის დედოფალ ელისაბედ I-ეს დედოფალი ვიქტორია?** – დიდი ბებიის ბებიად.

● **ფრჩხილი – ცოცხალი ქსოვილია თუ მკვდარი?** – მკვდარი.

● **რატომაა, რომ წვიმა ზოგჯერ თქეშად მოდის, ზოგჯერ კი ცრის?** ეს წვიმის ღრუბლებში ტემპერატურების სხვაობაზეა დამოკიდებული: როცა სხვაობა ღრუბლების შიგნით აღმავალი და დაღმავალი ნაკადების ტემპერატურებს შორის დიდია, მაშინ წვიმა თქეშად მოდის, თუ არა – მაშინ ცრის. პირველ შემთხვევაში წვეთები ჰაერში დიდ ხანს ჩერდებიან და იზრდებიან, მეორეში კი დამძიმებას ველარ ასწრებენ.



● **მოხერხებული ჯიბის საათების კეთება,** რომლებსაც საწონების მაგივრად ზამბარიანი მექანიზმი ჰქონდა, პირველად მე-16 საუკუნეში გერმანელმა ხარატმა პეტერ პენლაინმა გააკეთა.

● **აცტეკების ქალაქ-სახელმწიფოს ტესკოკოს მმართველის გარდაცვალების შემდეგ,** მთელი იმპერიის ხელმწიფემ მონტესუმა II-მ მის ვაჟიშვილს იშტილშოჩიტლს მამის მემკვიდრეობაში მხარი არ დაუჭირა. ამან მთელი ერი დაღუპა: რამდენიმე წელიწადში ის კონკისტადორ ერნან კორტესს მიემხრო, რითაც ხელი შეუწყო იმპერიის დასამარებას.



● **წიგნი „მთავარი“ ფლორენტიელმა დიპლომატმა ნიკოლო მაკიაველმა გადასახლებაში დაწერა.** მასში ძალაუფლების მოსაპოვებლად ზნეობრიობის სრული უგულებელყოფის პრინციპია გატარებული, რამაც ტერმინი „მაკიაველიზმიც“ კი წარმოშვა. 1559 წელს ეს წიგნი, რომელმაც ავტორს საქვეყნო დიდება მოუტანა, კათოლიკურმა ეკლესიამ აკრძალა, თუმცა კი დღესდღეობითაც აქტუალურად ითვლება.

● **მე-16 საუკუნეში ოსმალეთის სულთანმა სელიმ I-მა „იავუზმა“, რაც „ულმობელს“ ნიშნავს,** ქვეყნის უპირველესი მოქიშპის – სპარსეთის ჯარი გაანადგურა და მისი დედაქალაქი თემრიზი დაიპყრო. მას შემდეგ მუსლიმანურ აღმოსავლეთში ოსმალეთს ღირსეული მოწინააღმდეგე აღარ ჰყოლია.

## ◉ ინტერნეტიდან

## ემილიას მსოფლიოს ჩემპიონატის თილისმობა სურს



**სულ რაღაც ორ წელიწადში ჩვენს „ტკბილ“ მეზობელ რუსეთში, როგორც იცით, მსოფლიოს საფეხბურთო ჩემპიონატი იმართება და, ბუნებრივია, ამ მნიშვნელოვანი ღონისძიების მასპინძლობისათვის ჩრდილოელი ლამაზმანებიც ემზადებიან. დიდი კონკურენციაა გაჩაღებული იმასთან დაკავშირებით, თუ ვინ იქნება მუნდიალის თილისმა და სახე.**

ამ ბრძოლაში ბოლო დროს ერთგვარი უპირატესობა ცნობილმა რუსმა ტოპ-მოდელმა ემილია ვიშნევსკაიამ მოიპოვა, რომელმაც ოფიციალურად დააფიქსირა თავისი სურვილი ჩემპიონატის მასპინძლობის ღონისძიებებში ჩართვაზე და ეს, რა თქმა უნდა, ბევრ მის კონკურენტს გულზე ეკლად დაესო.

ემილია ფეხბურთის დიდი სიყვარულითა და ცოდნით არასოდეს გამოირჩეოდა, მაგრამ მან, როგორც ჩანს, მშვენივრად იცის, რომ მუნდიალი მისი პოპულარობისათვის უზომოდ დიდი ტრამპლინი იქნება და ვითომ რატომ არ უნდა გამოიყენოს ეს შანსი? თან შეხედავ კაცი და ტან-ფეხი აკლია თუ სიკეკლუცე?...

**როსტომ რაჭველიშვილი**

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
სულხან-საბას ქ. №3

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ქობულია
293-13-34
599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;
რუსლან რუსია
599 17-21-21;

პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება გამომცემლობა „კოლორში“
რკინიგზის ჩიხი №20

uac(უაკ)070.4(479.22)
ს–323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

**ავტორთა საყურადღებოდ!**
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

„საქართველოს რესპუბლიკა“ შენი გაზეთია, აუცილებლად წაიკითხე!

**უცხოური ვალუტის კურსი:**
აშშ დოლარი - 2.3111; ევრო - 2.5940;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.0428;
100 რუბლი - 3.5561; თურქული ლირა - 0.7768;
აზერბაიჯანული მანათი - 1.3922;
1000 სომხური დრამი - 4.8809.

**ამინდი 20 სექტემბრისთვის**

| | | |
|---|---|---|
| **აღმოსავლეთი საქართველო:** | | |
| ბარი - | ღამე +9, | დღე +32 |
| მთიანი რაიონები - | ღამე +5, | დღე +31 |
| **დასავლეთი საქართველო:** | | |
| ბარი - | ღამე +14, | დღე +34 |
| მთიანი რაიონები - | ღამე +9, | დღე +31 |
| თბილისი: | ღამე +13, | დღე +30 |

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 293-13-34, 599-79-76-79
WWW.SAKRESP.GE